

წიგნის სახე

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЛИ САКАРТВЕЛО

12 ივლისი 2024წ. №11 (4089) გამომცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

დათო მალრაძე

წიგნის წიგნი

რა ფარისეველი სიტყვაა – კოლეგა, მეტადრე, საკითხი თუ პოეტს ეხება... ვინც სთქვა, რომ მე ვარო ალფა და ომეგა, სხეული უმანკო სისხლით ვინც შეღება, რადგან არც მინაზე არა ჰყავს კოლეგა... რადგან არც ზეცაში არა ჰყავს კოლეგა... როგორც გოლიაძე იტყოდა ოლეგა: არა, ტო, – სუფრაზე მნამს ოდენ კოლეგა!

... სუფრიდან დევნილი მოგმართავ, უფალო, გთხოვ, პოლიტიკური რომ თავშესაფარი მომცე და ცის ვიზა გამიხსნა, უბრალოდ, გამიცვდა ეშვი და გამცვივდა ფაფარი.

რადგანაც მოინევეს პირქუში ბინდივით საფრთხე და... – ვის ვენდო? არა მყავს მოკეთე, „ჩვენ, ხელისმომწერნი ქვემოთ“, ინდივიდს, ცას თუ არ გამიხსნა, მინაზე მომკვეთენ.

– უფალო, საბაოთ, შეგთხოვ, რომ ჩვენს შორის ორმხრივად ნაშალო რეჟიმი სავიზო, სიტყვები ლექსად რომ ვაქციო, სენსორი მკარნახობს, რომ უნდა ჯერ შენით ავივსო.

და ჟურნალისტიკის დახვეწილ ფრაზებით, მოკლე სიტყვებით, იმედად იკონის, სასწაულს მოვახდენ ფურცლებზე გაზეთის, – ჯვარცმული აღვდგები სალექსო სტრიქონით. ცას ვეროკავშირის ჩემთვის სულ სცალია, მაგრამ ემოცია თუ ვანდე აკვარელს, – ლონდონი, ვფიქრობ, რომ მცოვანი ქალია, პარიზი ვამსგავსე მომხიბლავ საყვარელს, რომელიც შემთხვევით გამეცნო კაფეში და კადრში მაშინვე სასტუმროს საწოლი გაკრთა და ქუჩაში გამაკრა აფიშად, მონმარტრზე გამომყვა ხელკავით საცოლის.

... ზეცა იმპერიის კვლავ ბინდისფერია, ფინალი ახლოა, ვიცანი ანონსით... რადგან ამჯერადაც რომის იმპერიამ დაუშვა ხმალი და აღმართა ფალოსი.

ქალბატონს, რომც შეეხვედ ერთ დღეში, მესაქედ მარჯვენას მომანდის, თუ მომცემს ცაცისა, ბაგეს რომ შევახებ ხელის თხელ მტევანზე, იქნებ პოლიტიკურ არგუმენტაციად



„სხვიტორი“ მეორედ

21 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ლიტერატურული პრემია „სხვიტორის“ ლაურეატების დაჯილდოება. პრემია „სხვიტორი-2024“ გადაეცათ: გურამ ჯახუტაშვილს – პოეზია; გიორგი სოსიაშვილს – პროზა; მარიამ ნიკლაურს – საყმაწვილო ლიტერატურა; ივანე ამირხანაშვილს – კრიტიკა და ესეისტიკა.

საპატიო სიგელითა და მედლით სხვიტორის მუზეუმისათვის განუვლი ქველმოქმედებისათვის დაჯილდოვდნენ ელგუჯა ნოზაძე და ბორის ივანაშვილი.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელები, მწერლები, საეკლესიო მოღვაწენი, ლიტერატურის მოყვარულები ქუთაისიდან, თბილისიდან, გორიდან, ჭიათურისა და საჩხერისიდან. კერძოდ, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ივანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიგა დარბაიძე, მერის მოადგილე ოთარ ოშიაძე, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ნადირაძე, მწერლები - ელგუჯა თავბერიძე, გიზო თავაძე, ქეთევან ჯოღობორდი, გივი ჩილენიძე, ფირმა „ავერსის“ დამფუძნებელი ნიკოლოზ კურტანიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის დირექტორი ცეზარ ლაშვი და სხვანი.

ცერემონიას უძღვებოდა აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციის მთავარი კურატორი ლეილა ზაბახიძე. მუსიკალური ნაწილი წარმოადგინეს ვოკალურმა კვარტეტმა „ჯრუჭმა“ და საჩხერის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლემ თათა ზაბახიძემ.

ლიტერატურული კონკურსი „სხვიტორი“ ორი წლის წინ დააარსეს საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმმა.

სტუმრები შალვა დადიანი – 150

ლირსების დასველი



ეს ამბავი შორეული 1919 წლის ზაფხულში მოხდა კახეთში, ალაზნის პირას. მტვრიან გზაზე ძველი, დანჯღრეული ტარანტასი მოხრიგინობს. მოხეტიალე მსახიობები ლაგოდებიდან თბილისს ბრუნდებიან. უცებ ჭიაურის ტყიდან შეიარაღებული ყაჩაღები გამოცვივდებიან და ტარანტასს გადაუდგებიან: „ან ფული, ან სული!“ ატყდება ნივილ-კვიციანი, შიშით დაზაფრული მსახიობები აქეთ-იქით გარბიან – ვინ ტყეს აფარებს თავს, ვინ სიმინდის ყანას.

ტარანტასზე ერთადერთი კაცი რჩება. ის გაუნძრევლად დგას და მშვიდად შეჰყურებს ყაჩაღთა მეთაურს. შემდეგ, თითქოს გამოერეკავო, ჩამოვა, დინჯად მოიწხრეკს ჯიბეს, ამოიღებს ორ აბაზს, ღიმილით გაუნდის და ამ დროს, ელვის უსწრაფესად, ცაციათი ალიყურს აჭმევს მოძალადეს.

ნირი ნაუხდებათ ყაჩაღებს. ამ უშიშარი კაცის გრძნულ ღიმილში ისეთი რამ დაინახეს, რასაც ვერაფრით ვერ მოერეოდნენ.

მეთაური ფულს უკან დაუბრუნებს, ოდნავ თავს დაუქრავს, თავისიანებს ნიშნებს მისცემს და მათთან ერთად ტყეს შეერევა.

ის კაცი კი დგას ტარანტასთან და ილიმის.

გმირები ანგელოზებით უბრალონი არიან.

იცით, გასაკვირი კიდევ რა არის? იმ კაცმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა, მაგრამ არ დაბერებულა, სახიდან ღიმილი არ მოსცილებია.

მაღალი, ახოვანი მამაკაცი ვარსკვლავით მოციმციმე თვალებით, განიერი შუბლით, ხუჭუჭი გრუზა თმით, აკვარნილი უღვამითა და მოუშორებელი ღიმილით, რომელიც მომწუსხველად მოქმედებდა ყველაზე, ვინც კი მას შეხედდრია – ასეთი იყო შალვა დადიანი, მწერალი, არტისტი, რეჟისორი, ეროვნულ ხალიჩას ჩაქსოვილი სამფერი ძაფი, როგორც მას იოსებ გრიშაშვილმა უწოდა.

„გასაკვირი ის კი არ არის, რაცა ვარ, არამედ ის – რატომ უკეთესი არა ვარ“. – წერდა ეს ლალი და გულალალი, ამაყი და კეთილმოხილი, თავაზიანი და თავმდაბალი რაინდი.

სამეგრელოს მთავართა შთამომავალი იყო და უფლებაც არ ჰქონდა სხვანაირი ყოფილიყო.

არტისტი იყო და არტისტულად წერდა, თუმცა ლიტერატურულ მოდას არ აპყობდა, სიტყვასთან კეკლუცობა არ დაუნყია, ტრადიციის ჩარჩოებს არ გასცდენია, მიუხედავად ამისა, ბევრი რამ საინტერესო და ფასეული შესძინა ქართულ მწერლობას. გულახდილად რომ ვთქვათ, დიდი შემოქმედი არ ყოფილა, მაგრამ იყო დიდი ადამიანი, დიდი პიროვნება, საიმედო კაცი, რომლის საჭიროებას ყოველთვის იგრძნობს ჩვენი ქვეყანა.

ამიტომ არ გაგვიკვირდეთ, ჭიაურის ტყესთან, ტარანტასზე, ახლაც დგას ის მოღიშარი, თვალებმოციმციმე გმირი, რომელიც შეგვახსენებს, რომ არაფერია ამ ცხოვრებაში უფრო ძვირფასი და სასახელო, ვიდრე ზნეობისა და ღირსების დაცვა.

ივანე ამირხანაშვილი (თემის გაგრძელება იხილეთ მე-2 კვერდზე)

<p>თამაზ ნიჟვიძის ბახსენება</p>  <p>რეზო ბალანჩიშვილის წარილი</p> <p>83.3</p>	<p>„ქიზიყური ბელკანტო“</p>  <p>ადა ნაშაძე</p> <p>83.5</p>	<p>ღაბიუტი</p>  <p>გვანცა ფიფია</p> <p>83.9</p>	<p>ოთარ ჭილაძის პორტრატისათვის</p>  <p>გუზა მგალაძის წარილი</p> <p>83.14</p>	<p>ჰანდკე - უმეური განიოსი</p>  <p>გვანცა შუბითია</p> <p>83.15</p>
---	---	--	--	--

პირველი გვერდი

გამოდგეს, ეპოქის მორალურ ქაოსის ფონზე და გამიხსნა ცის კიდე ამაღამ, თუ არა, ცარიელ საფულეს დაფოსის ეკონომფორუმზე წარვადგენ ამაყად. ... ნვიმს, ნვიმა ასფალტზე ასრულებს პა-დე-დეს, წამი საუკუნედ, ვფიქრობ, რომ გადიდე – ბულია, სეფისკვერს ღვინოსთან ვადიდებ. – ვადიდებ! – ვადიდებ! – ვადიდებ! – ვადიდებ!


თუ რობერ ბრესონის უბრალო მანერა ვერ ავსებს დარბაზს და ვერ ივებს არჩვენებს, სანაცვლოდ ასკეტი მესტროს კამერას სურს, რომ ის გაჩვენოს, რასაც არ გაჩვენებს. მეც, სანამ ვსუნთქავ და მწყემსებთან ვკაფიობ, სანამდე ამ სხეულს გასცვივა ბათქაში, ვცდილობ, რომ არ შევცდე, თუ ვამბობ მკაფიოდ, უფრო კი, სათქმელის უთქმელად ნათქვამში.

... სულიერ კავშირის თუ დაჯდა ქიმია, ჯვარცმულის სამოსელს რად უნდა მაქმანი... და ვფიქრობ ბოლო დროს, მწვერვალის ქიმია, დიადი სათქმელი – უთქმელად ნათქვამი.

სხეულით შობილი თუ არის სხეული, ვინც სულით იშობა, ის სული იქნება, რადგან სისადავე, გარეშე ხვეულის, თავად წარმოადგენს ღვთაებრივ მიგნებას. ... მოხუცი წყვილი რომ მიჰყვება ალექს, ეს კადრი, ვფიქრობ, რომ არ ითხოვს დიალოგს, Melody-ს გარეშეც რა სიალაღეა, ფიქრებში საფრენად და სახეტილოდ.

ან იქნებ, ეპიზოდს მოვარგო Melody, რომ ვიგრძნო ფინალის მჩქეფარე სათავე... – უფალო, მე შენთან შეხებას ველოდი, ჩუქურთმას ვარჩიე როცა სისადავე.

ბზების და პალმების აურას – საღამო! მალღობზე ქალაქი... იესომ გახედა... იცნო ბედისწერად იერუსალიმი, ტრანსპორტის თემა რომ მინანოდ სახედარს. ამ თემას შემდგომში Cinema-ც არ დაზარ – და, თავისუფლებს მიეცათ მონათა... გაუნვდის იესოს ბრესონი ბალთაზარს, წამით რომ შეწყვიტოს შუბერტის სონატა. ღვთაებრივ მუსიკას პარტურში უსმენენ, იერუსალიმის ნიავის მონატანს და მუხის კვილი, – გოლგოთის ლურსმანი შეაკრობს შუბერტის მეოცე სონატას.



№5 მთავარი თემა: მოთხრობის ჟანრი.

№6 „გამოცემის შემდეგ არასოდეს წამიკითხავს ჩემი არც ერთი წიგნი თავიდან ბოლომდე, არც ვაპირებ ამის გაკეთებას“. – ამბობს არჩილ ქიქოძე თინათინ ჭავჭავაძესთან ინტერვიუში.

როგორ იქცა ობად, ანუ როგორ დაობდა სახელგანთქმული საბჭოთა მეცნიერი, იოსკას მამა, უშიშროების მაიორი. ალექო შულაძის მოთხრობა.

„სხვას ეძებდნენ და მის ძებნაში მე მიპოვეს“. ანნა ჯავახიშვილის ლექსები.

ლელა კურტიანიძის ლექსებიდან: „ღმერთი დროში განიბნინა. რა უნდა ვაკეთო ამ უღმერთო სამყაროში!“

ისევ დათო ტურაშვილი სა-მოგზაურო ჩანაწერებით.

ერთადერთი მოლოდინი, რაც მცირე პროზის მკითხველს აქვს, ფორმის სინმინდია... ამბავი განსაზღვრავს ფორმას და არა პირიქით“. – რუსუდან რუხაძე;

– მოთხრობის ჟანრი ბოლო დროს ძალიან იჩაგრება, თითქოს თვალში ევატარავება, ცხვირს უბზუებენ, მაღალ ლიტერატურად არ მიაჩნიათ. – ინტერვიუ დავით გორგილაძესთან (ესაუბრა ირაკლი კაკაბაძე);

აგრეთვე: ზვიად რატიანის ლექსი „წავიდეთ, შვილებო, – საქართველო უნდა გიჩვენოთ“;



ბუბა კუდავა, „გარდაცვალების გეოგრაფია“: – საკვირველია პირდაპირ: ერთიანი საქართველოს თითქმის არცერთი მეფე არ გარდაცვლილა დასავლეთ საქართველოში. ისინი სიცოცხლეს ძირითადად აღმოსავლეთში ასრულებდნენ... თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია ესპანურ

გოგა ქობალიას მოთხრობა „მოგზაურობა ქალაქში“;

მათე ნიკლაურის წერილი ხავიერ მარიასის რომანზე „ბერტა ისლა“;

გოდე გორგილაძის მოთხრობა „მეფე და თონის პური“;

ნატო ინგოროყვას ახალი ლექსები;

დათო ტურაშვილი სამოგზაურო ჩანაწერებით;

ბუბა კუდავა, „მებრძოლი საფლავები“ – მეფეთა საქვალეების ისტორია და საქართველოს ერთიანობის საკითხი;

რონა კუპრეიშვილის „მეფისტო და სხვები (კლავს მანი,

„მეფისტოფელი“. ერთი კარიერის რომანი“;

ნოდარ არონიშვილი, „კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკის რამდენიმე ფრაგმენტის გამო“;

ილია ჭანტუიას მოთხრობა „მკვლელები“;

ეკა ქვენიშვილის წერილი „ომში გადარჩენილი სიტყვები“. უკრაინელი მწერლის, ოსტაპ სლივიანსკის „ომის ლექსიკონის“ შესახებ;

გიორგი შარაშენიძე ზაალ სამადაშვილის ახალ კრებულზე „რასაც ყველა ვერ ხედავს“.

ენაზე. შეადგინეს და თარგმნეს რუდოლფო პესლერმა და ლანა კალანდია. „პირველად გვაქვს შესაძლებლობა, ესპანურ ენაზე გავცნოთ ზოგიერთ ყველაზე ემბლემურ ავტორს ქვეყნისა, რომელიც ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობს. ჩვენი მიზანია, – ამბობს მთარგმნელი“, – მკითხველს უცნობი სამყაროს კარი გაუხსნათ. ამ წიგნით ვცდილობთ ესპანურენოვან სამყაროში არსებული სიცარიელის შევსებას.

უილიამ გონსალესის მცირე რეცენზია-წარდგინება მკითხველთა წინაშე.

მარიამ ჯანელიძის წერილი ზაზა ბურჭულაძის რომანზე „ჩემი სიმღერა“.

დიდი ტრუმენ კაპოტე უფრო დიდი მარლონ ბრანდოს კი-

ნემატოგრაფიული ცხოვრების მემბრანა: „ჰერცოგი თავის სამფლობელოში“. როგორ მუშაობდა მსახიობი იაპონიაში, ჯოშუა ლოგანის ფილმ „საინონარას“ გადაღებაზე. ყურნა-ლისტური ნარკვევი თუ მოთხრობა: რა მნიშვნელობა აქვს, კარგია.

საადი შირაზელი, რამდენიმე თავი „ბუსთანადან“. სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავაძე.

ბესიკ ხარანაულის ლექსი „შენია სული საქართველოსი“. მეტაფორებად გადაღებული თანამედროვეობა: „წყალი არ გაიცრა, მინა არ ამოშრა, მარილმა თითქოს არ მისცა ადგილი და ღმერთმა მიმოწმა კვლავ სიტყვა თავისი – ვითარმედ: შენია სული საქართველოსი!“

№7 ივა ფეზუაშვილისა და მამო სამადაშვილის დიალოგი – „პატარა ქვეყნის დიდი სევდა“.

გაგა ნახუცრიშვილის ფრაგმენტები პოემიდან „ოთხი თავი“.

ზაურ გერგედა, ლექსები.

თამაზ დოლიძის მოთხრობა „მოგონების ღმერთი“.

ზაალ სამადაშვილი, „ფილმებს რომ დავატარებდით“. მოთხრობა.

გიორგი შარაშენიძე მარტოობის ერთი დღე ანუ შთაბეჭდი-

ლება მარკესის წიგნზე „შეხვედებით ავგისტოში“ (თარგმნა ქეთევან ხუსკივაძემ).

ნატო ინგოროყვა ნათია ნაცვლიშვილის წიგნზე „ანატომიები“.

მელანო კობახიძე, „როგორ უბრალოდ იღვრება წყალი“. ლეილა ბეროშვილის მოთხრობებზე.

გია ბენიძე ზურა მესხის „სპაზმების“ შესახებ.

დათო ტურაშვილი, „გზაში დანერვილი წიგნიდან“.



ბუბა კუდავა, „ჩვენი მეფე სიმონი“. სამი ამბავი საქართველოს ისტორიიდან.

ტრუმენ კაპოტე, „ჰერცოგი თავის სამფლობელოში“. ინგლისურიდან თარგმნა ია ჯე-ჯელავამ.

დუსლე მარია ლოინასი, გაბრიელა მისტრალი, კრისტინა პერი როსი, ლექსები. თარგმნა ზაალ ჩხეიძემ.

ლანა კალანდია, „წყალი ოლიგარქისთვის“.

შალვა დადიანის საიუბილეოდ



ბროსი ხელაიას სიტყვები: „საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება, ეძებოს იდეალები თავისი წინაპრების ცხოვრებაში“.

სალამოს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ეჯიბია, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის მოადგილე ლაშა გრიგოლია, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები

სიტყვით გამოვიდნენ: მწერალი ბორის დავითაია, დადიანთა შთამომავალი ნატო დადიანი, ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი დამირ კუჭავა, ექიმი პაატა ქურდოვანიძე, პედაგოგები ტრისტან ბალათურია და თეონა ჯოჯუა.

სალამოზე ისმოდა სიმღერები ანსამბლ „ერისის“ შესრულებით. მოსწავლეებმა ნაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ცეკვები.

ბოლოს ჩატარდა სპორტული აქტივობები.

ბოლოს ჩატარდა სპორტული აქტივობები.

ბორის დავითაია

პოეზიის კრებულის წარდგინება

3 ივლისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა თორნიკე გოგინიაშვილის ახალი პოეტური კრებულის წარდგინება.

ახალგაზრდა ავტორის კრებულსა და მის შემოქმედებით თავისებურებებზე ისაუბრა პოეტმა დალილა ბედიანიძემ.



მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წიგნი თვალნათლივ წარმოგვიდგენს თორნიკე გოგინიაშვილის პოეტურ კონცეფციას, რომელშიც გაერთიანებულია ტრადიციის ერთგულება და სიახლეებისაკენ სწრაფვა.

დამსწრე საზოგადოებას წარმოადგინდა პოეტური კრებულის შესახებ თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ლია კარიჭაშვილმა, საბა მეტრეველმა, ნინო მამარდაშვილმა, ირმა რატიანიამ, მაკა ელბაქიძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, ლევან ბებურიშვილმა, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს ლექსების ემოციურ მხარეზე, თემებზე, მოტივებზე, ფორმისმიერ ძიებებსა და შინაარსობრივ თავისებურებებზე.

ბოლოს თორნიკე გოგინიაშვილმა უპასუხა მკითხველთა შეკითხვებს.

ბელა ცინცაძე



ზუსტად ექვსი წლის წინ, 2018 წლის 12 ივლისს, თამაზ ნივნივაძე განემორა ნუთისოფელს. რაც დრო გადის, მით უფრო გამოიკვეთება მისი პიროვნული და შემოქმედებითი ბუნების ის შტრიხები, რომელთა გამო ასე ძალიან უყვარდათ და აფასებდნენ ამ დიდებულ ადამიანს.

ბატონი თამაზ ნივნივაძე უნიკალური მოვლენა ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, ერთგან იგი წერს, რომ იგი პროფესიით ჟურნალისტი იყო და მონოდებით ლიტერატორი, მაგრამ სინამდვილეში იგი ერთმეტი იყო და - მეორემეტ, იგი უმაღლესი რანგის ჟურნალისტი იყო და თვალსაჩინო მწერალიც, საგამომცემლო საქმის უზადო ორგანიზატორიც და სახელგანთქმული რედაქტორიც, მწერალთა თავაკიც და უპოპულარესი საზოგადო მოღვაწეც. მაგრამ ამგვარად მე ვილაპარაკებ მასზე, როგორც ჟურნალისტზე და იმ ტერმინზე, რომელიც ბატონი თამაზის შემოქმედების დასახსიათებლად პირველად მე გამოვიყენე. ლაპარაკია ტერმინზე „სიბრძნე იუმორისა“.

როგორც მკითხველი თავად მიხვდება, ტერმინი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ანალოგიითაა შექმნილი. რამდენადაც ტერმინი ჩემი შემოტანისაა, ხოლო საკუთარ თავზე ლაპარაკი საკმარისად უხერხულია, მე მხოლოდ იმას გავიმეორებ, რაც ბატონმა თამაზმა ბრძანა როგორც ჩემ, ისე ჩემ მიერ შემოტანილი ამ ტერმინის შესახებ და საამისოდ მივმართავ ბატონი თამაზის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ წიგნზე „რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობთ“. როგორც ბატონი თამაზი ბრძანებდა, მთავარი და უმნიშვნელოვანესი, რაც მე გავაკეთე, ის იყო, რომ მე პირველმა მივასხევე მისი ხელისუფლება. აქ ბატონი თამაზი გულისხმობდა ჩემ მიერ 2017 წლის 27 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ნერილს „ყური ვუგდით ბრძენკაცებს, ღვთივკურთხეულ ადამიანებს“, რომელშიც მე მივმართავდი როგორც პრეზიდენტს, ისე პრემიერ-მინისტრს: თავად რომ არაფერს აკეთებთ ქვეყნისათვის, სხვებს მაინც მიუგდეთ ყური, კერძოდ, იმ ბრძენკაცებს და ღვთივკურთხეულ ადამიანებს, რომელთა შორის უპირველესი თამაზ ნივნივაძეა-მეთქი. როცა გარკვეული დრო გავიდა და ხელისუფლებამ „შეაყარე კედელს ცერცვის“ პოზიცია დაიჭირა, მე ბატონ თამაზს გახსნილად ვუთხარი ის, რასაც წინა წერილში „მოარაკებულად“ ვუზნებოდი: „რაკი საქართველოში თქვენზე დიდი ეროვნული მოღვაწე მე არ მეგულება, ამიტომაც „ქართული სულის, ქართული გენისა და ქართული ჯიშის მქონე ყოველი ქრისტიანის სახელით მოგმართავთ: „ყური უგდეთ ღვთისა და ხალხის ხმას და აღასრულეთ მათი ნება“. ამ შემთხვევაში უკვე ლაპარაკ-

ია მის წარდგენაზე პრეზიდენტობის კანდიდატად. წარმოუდგენელია ის რეაქცია, რაც ჩემს ამ წინადადებას მოჰყვა: დაინერა ბატონი თამაზისადმი მიძღვნილი უმარავი ლექსი, წამოვიდა წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან! ერთმანეთს ეცილებოდნენ ცალკეული ორგანიზაციები, სხვადასხვა დარგის და პროფესიის ადამიანები, რამდენჯერმე ბატონმა თამაზმა ხუმრობით ისიც კი

ისევ „სიბრძნე იუმორისა“ თამაზ ნივნივაძის ჟურნალისტურ-პუბლიცისტური მოღვაწეობა

მითხრა: „ეს რა მიქენი, ბატონო რეზო, აფეთქდა ტელეფონიო“. ხალხისგან ამდენი ყურადღება და სიბრძნე რომ იგრძნო, ამკარად ბედნიერი იყო.

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ არჩევნები ბატონი თამაზის ტრიუმფალური გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, იმას, ცხადია, არავინ ელოდა. ძნელია იმის აღწერა, რასაც განიცდიდა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ტრაგედიის შემდეგ. ახლა იმის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ ამ ტრაგედიით ჩვენმა მრავალტანჯულმა ქვეყანამ წინსვლის, აყვავებისა და გაბრწყინების რეალური შანსი დაკარგა.

ახლა კი ისევ ტერმინს „სიბრძნე იუმორისას“ მივუბრუნდეთ: ამის შესახებ მე ვწერდი „ლიტერატურული საქართველოს“ 2017 წლის 27 იანვრის ნომერში: „ყური ვუგდით ხალხის რჩეულებს, ღვთივკურთხეულ ადამიანებს“ და ასეთად ვსარეოდ ბატონ თამაზ ნივნივაძეს სწავსებლებდი. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, იგი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ანალოგიით შევარჩიე. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ დიდმა კლასიკოსმა სულხან-საბა ორბელიანმა მთელი თავისი დიდაქტიკა, სიბრძნე და ღრმა აზრები გარეგნულ სამოსში /არსებითად ზღაპარში, იგავში/ შეფუთა და ისე მიანოდა მის მკითხველს. ანალოგიურად მოიქცა ბატონი თამაზ ნივნივაძე, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი აზრები იუმორის ფორმით მიანოდა მკითხველს. და, რაკი სულხან-საბამ მას „სიბრძნე სიცრუისა“ დაარქვა, მისი ანალოგიით ბატონი თამაზის შემოქმედებას მე „სიბრძნე იუმორისა“ ვუნოდე. ჩემი ეს აზრი ბატონმა თამაზმა მისსავე გაზეთში დაბეჭდა და, არათუ დაბეჭდა, არამედ მოინონა კიდევ მისი ამგვარი შეფასება.

რაკი „სიბრძნე იუმორისა“ ბატონი თამაზის მთელი შემოქმედების დასახსიათებლად გამოყენებული ტერმინია, აქ, ცხადია, მარტო სტილი და ჟანრი კი არ იგულისხმება, არამედ ბატონი თამაზის წერის კულტურა, სიმართლის რაც შეიძლება მეტი დოზით მიწოდება მკითხველისათვის. ყოველივე ამით ბატონმა თამაზმა ქართული ჟურნალისტიკა საგრძნობლად წინა წინ და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა იგი, რამაც იგი ოქროს ასოებით შეიყვანა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და მარადიული უკვდავებაც დაუქვეყნდა. სხვათა შორის, იუმორით გამოთქმულ სიბრძნეს დიდი წარმატებით იყენებდნენ დიდი ილია ჭავჭავაძე /„კაცი-ა-ადამიანი?“/ და დავით კლდიაშვილი /„სამანიშვილის დედინაცვალი“/, იყენებდა ბატონი ნოდარ დუმბაძე /„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რაც ღირსეულად გააგრძელა ბატონმა თამაზ ნივნივაძემ.

თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობით ბატონმა თამაზმა ისეთი რამ შეძლო, რომლის მსგავსი ილია ჭავჭავაძის შემდეგ ვერავინ მოახერ-

ხა. ლაპარაკია გამოფხიზლებისაკენ იმ მოწოდებაზე, დიდი ილია ძიღბურანში გახვეულ ქართველობას რომ ამუნათებდა.

დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო ბატონი თამაზის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას. 72 წლიანმა კომუნისტურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ადამიანები პასიურები, ინდოფერენტულები გახადა. მათ კატეგორიულად ეკრძალებოდათ მართლის თქმა, თავისუფალი

აზროვნება, კრიტიკა საზოგადოდ. და, თუ მაინც ვინმე გაბედავდა სიმართლის თქმას, მას „დისიდენტის“ სახელით ნათლავდნენ და ციხეში ამწყვედებდნენ, ადრე ხვრეტდნენ კიდევ, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განუსაზღვრული ვადით ათავსებდნენ.

არადა, ამასობაში ამ პასიურობას და გულგრილობაში ეროვნული მუხტი იმრიტებოდა და ქართული გენი და ჯიშის სასიკვდილოდ იწირებოდა. ქვეყანაში ტოტალურად იყო გაბატონებული შიშის სინდრომი. ადამიანებს ემინოდათ სიმართლის თქმისა, უწინოდ და დასჯის, დაბეზღების, დაჭერის, სამსახურიდან დათხოვნის, პარტიის რიგებიდან გარიცხვისა.

თავისი წინასწარმეტყველური ნიჭი და უტყუარი ალლო ბატონ თამაზს კარნახობდა, რომ პატარა-პატარა პროტესტები ან კონკრეტული წერილი, მოხელეების თუნდაც მძაფრი კრიტიკა, საქმეს ვერ უშველიდა, ყინულს ვერ გააღებდა, ღრმა ძილიდან ვერ გამოიყვანდა საზოგადოებას. საჭირო იყო რადიკალური ცვლილებების გატარება. პირველ რიგში, შიშის სინდრომის დაძლევა. ეს კი დიდ რისკთან, დიდ თავგანწირვასთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო ისეთი ადამიანი, რომელიც იქნებოდა „უშიში, ვითარცა უხორცი“.

ღვთის ნებითა და ჩაგონებით, ასეთი ადამიანიც გამოჩნდა. ეს იყო ბატონი თამაზ ნივნივაძე.

ღვთის ნებითა და ჩაგონებით ასეთი ადამიანიც გამოჩნდა. ეს იყო ბატონი თამაზ ნივნივაძე. პირველ რიგში, საჭირო იყო კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის და მისი იდეოლოგიის ნგრევა თუ რღვევა. ადამიანთა ცნობიერების მთელი იმ ღირებულებებისაგან გათავისუფლება, რაც კომუნისტურ იდეოლოგიად იწოდებოდა...

და დაიწყო ერთი „თავზებელალებული“ უშიშარი ადამიანის ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ასე შეიქმნა ბატონი თამაზის უკუდავი პამფლეტი „გაიღვიძე, გრიშ ბიძა, დეპოში ვართ“, რომელშიც ფაქტობრივად დაიწყო ძველი ღირებულებების ნგრევა და ახალი ტიპის აზროვნება. ეს იყო პირველი მწვავე კრიტიკული წერილი, მარქსისტი პროფესორის გრიგოლ ბრეგაძისადმი. ამას მოჰყვა „ლოზუნების ქვეყანა“, ანუ ასეთივე მწარე კრიტიკა ლოზუნებისა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!“.

მერე კი ბატონმა თამაზმა მკითხველთა ყურადღება იმ მიმართულეობით წარმართა, თუ რა ბითურობაა ლოზუნები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როცა მარქსი რომ პროლეტარიატში გულისხმობდა, ის პროლეტარები უკვე კარგა ხანია აღარ არსებობდნენ.

რაც შეეხება კომუნისტური იდეოლოგიის ნამდვილ ნგრევას, იგი ბატონმა თამაზმა მარქსისა და ენგე-

ლსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ლაფში ამოსვრით და სრული გაბითურებით დაიწყო. ამ საქმეში მთელი ძალით ჩართო თავისი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. მან იგი /იგულისხმება გაზეთი / რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის უმძლავრეს იარაღად გამოიყენა.

შიშის სინდრომის დაზღვევის გზაზე უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბატონი თამაზის „დაპირისპირება“ ბატონ შევარდნაძესთან. ეს „დაპირისპირება“ ორ მეგობარს შორის გარდაუვალი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ხალხი დარწმუნებულიყო, რომ მიდიოდა არა ერთგვარად ოპერაცია, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარსულსა და მომავალს შორის. პირველი სიგნალი ამისა იყო ბატონი თამაზის გამოსვლა ერთ-ერთ სამთავრობო სხდომაზე, სადაც ბატონმა თამაზმა ასე მიმართა შევარდნაძეს: ბატონო პრეზიდენტო, ვერ ხედავთ, რომ ქვეყანა კორუფციის ქაობშია ჩაფლული... თქვენი მინისტრები და პარლამენტარები ძარცვავენ ქვეყანას და ხალხს. რატომ მოქმედებთ არ გადადისხართ. რაღას ელოდებით?!

მეორე შემთხვევაშიც ისევ შევარდნაძეს მიმართა: „რაღაც დიდი ხანი მოგინია თვალდახუჭული ყოფნა. ან ისროლე, ან თვალი მაინც გაახილეო“.

ეს გამოსვლები მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. დარბაზი გაისუსა. არავინ იცოდა - რა რეაქცია ექნებოდა შევარდნაძეს. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. შევარდნაძემ მიიღო ეს კრიტიკა. მთავარი შედეგი კი მაინც ის იყო, რომ დაიწყო მონური ფსიქოლოგიის დაძლევა. ხალხმა შეშინებულად გაიღვიძა! მართლის თქმა ცხოვრების წესად იქცა, წარმოუდგენლად გააქტიურდა მკითხველ ხელისუფლება. „ჟურნალისტიკის პროფესიასაც ფასი დაედო. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თავისუფალი სიტყვის ნამდვილი ტრიბუნი გახდა. დაიწყო პროცესი, რომელსაც მალე „ქართული პრესის ნივნივაძიზაცია“ ეწოდა. გაზეთმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც /სახელმწიფო დაფინანსების გარეშე გაზეთი რომ არ გაუქმებულიყო გაზეთის გადარჩენა დაისახეს მიზნად. გაზეთის სრული დაფინანსების ღვაწლით ბატონი თამაზი და ამ უხერხულობას უხსნის მოკამათეს. ასე კი ის იქცევა, ვინც ბუნებით კეთილია და მოკამათესაც, როგორც პიროვნებას, პატივს სცემს.

ინსტიტუტების სრულ გაუქმებაზე, კათედრების შემცირებაზე, ან საერთოდ გაუქმებაზე, სადისერტაციო საბჭოების დახურვაზე და ა. შ. /ეს კი უკვე პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლის ამკარა გამოცხადებას ნიშნავდა, რაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ასეთ რისკზე კი მხოლოდ გაბედული მამულიშვილები და ნამდვილი ქართველები მიდიან /საერთოდ, ბატონი ვახტანგ ნივნივაძის ფენომენი ცალკე თემაა და სათანადო შესწავლა-შეფასებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ მასზე რამდენიმე წიგნია დაწერილი, ვფიქრობ, მისი მოღვაწეობის ეს ასპექტი მაინც არ არის ბოლომდე კვლეული/.

ბატონი თამაზის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას უცილობლად, გარდა ცინცხალი ნიჭისა და მომავლის წინასწარგანჭვრეტის უნარისა, უნდა მივაკუთვნოთ მისი ღრმა განსწავლულობა, კერძოდ: მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიის, მითოლოგიის, კულტუროლოგიის საკითხებში. აღარაფერს ვამბობ ბიბლიის, „ვეფხისტყაოსნის“, „გამსახურდას, გალაკტიონის და სხვა ქართველ კლასიკოსთა ღრმა და საფუძვლიან ცოდნაზე, ეს კარგად ჩანს მის წერილებსა და სხვა სახის პუბლიკაციებში.

რაც შეეხება ქართულს, მის მართლწერასა და მართლმეტყველებას ამაში მას ბადალი იშვიათად მოუძებნება. აქედან კი მარტივი დასკვნა კეთდება: სანიშნო ჟურნალისტი რომ იყო, უნდა გქონდეს, გარდა დიდი ნიჭისა, ღრმა ცოდნა, ფართო ერუდიცია და დიდი დიპლომატი. მაგრამ ასეთ მრავალმხრივ განსწავლულ ადამიანს, მით უმეტეს, უნდა ჰქონდეს მაღალი ზნეობა. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, როგორც ბატონ თამაზს ჰქონდა, თანაც უნდა იყო ისეთი კეთილი, როგორც ბატონი თამაზი იყო! რაო, გაგიკვირდათ? ხომ ასე მწვავედ გამოიყურება მისი კრიტიკა, ხომ ასე დაუნდობელია ვიღაცების მიმართ, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით მის პუბლიკაციებს, აუცილებლად მივხვდებით, რომ იგი ისკეთით სასეუ ადამიანია, კერძოდ, იგი არავის შეურაცხყოფს, არავის ამცირებს, არავის გულს არ სტკენს, თუ ის ქვეყნის ამკარა მტერი არ არის. სხვა შემთხვევაში, იგი მწვავედ აკრიტიკებს მინისტრებს, კომიტეტის თავმჯდომარეებს, პარლამენტარებს, მაგრამ აკრიტიკებს ზოგადად და ყოველთვის თავს იკავებს რომელიმე ერთის ან ორის დასახელებისაგან. ზოგადი კრიტიკის დროს კი გამოიხატოს ყოველთვის იგულისხმება.

და კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს მკითხველს. ბატონი თამაზი წერის, ან პოლემიკის დროს ხშირად ასხენებს პერსონაჟებს მითოლოგიიდან, ან ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურიდან, ფილოსოფიიდან. მაგრამ იგი არასოდეს კმაყოფილდება მარტო მათი დასახელებით. იგი აუცილებლად მიყვება იმ ისტორიას, რის გამოც ეს პერსონაჟი გაიხსენა. რატომ? იმიტომ, რომ ხომ შეიძლება, მისმა მოკამათებმა არაფერი იცოდეს ამ პერსონაჟის შესახებ და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სწორედ ამას ითვალისწინებს ბატონი თამაზი და ამ უხერხულობას უხსნის მოკამათეს. ასე კი ის იქცევა, ვინც ბუნებით კეთილია და მოკამათესაც, როგორც პიროვნებას, პატივს სცემს.

ასეთია მოკლედ ბატონი თამაზ ნივნივაძის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი, ჟურნალისტური ასპექტი. თავისი ყველა თვისებით და მრავალმხრივი ნიჭიერებით ის ერთი იყო და განუმეორებელი და ასეთადვე დარჩება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

რეზო ბალანჩივაძე



მაია ჯალიაშვილი

ცხოვრებაში ყველა თავისი გზა აქვს. გზათა სიმრავლე და მრავალფეროვნება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების არსსა და მდინარეებს. ის არის უმთავრესი ფენომენი ლიტერატურისა, რომელიც თანაბარი სიმძაფრითა და ვნებით აღწერს ზეციურსა თუ მიწიერ გზებს და ამ გზებზე მიმავალ ადამიანებსაც, რომლებიც სასრულსა თუ უსასრულო ბილიკებზე ხეტიალისას ან იკარგებიან, ან საკუთარ თავსა თუ დანიშნულებას, სიცოცხლის აზრსა და მიზანს აღმოაჩენენ.

გზა არჩილ ქიქოძის რომანში „სამხრეთული სპილო“ მთავარი პარადიგმაა. მისი უსახელო პერსონაჟი, რომლის თვალთაც აღვიქვამთ წარსულისა და აწმყოს მოვლენებს, ერთი დღის განმავლობაში თანამედროვე თბილისის ქუჩებსა და საკუთარ თავში ისევე დახეტიალობს, როგორც ჯოისის „ულისეს“ გმირები დუბლინის ქუჩებში. თავდაპირველად ეს ხეტიალი უფუნქციოა, მხოლოდ დროის მოსაკლავად გამოიწველი, თუმცა შემდგომ ყველაფერი იცვლება და მნიშვნელობას იძენს. ამ რომანშიც ისეთი ზუსტი და ცხადია პერსონაჟის მოძრაობის გრაფიკი, შეიძლება რუკაც დაიხატოს, ხოლო რომელიმე მოცლილმა მკითხველმა არა მხოლოდ წარმოსახვით, არამედ თავისი ფეხით „გაიმეოროს“ ეს გზა, რათა ნაკითხული რეალური შეგრძნებებით გაამდიდროს.

რომანი, როგორც უმბერტო ეკო შენიშნავს „ვარდის სახელისთვის“ დაწერილ ბოლოთქმში, ვარაიანტებისა და ინტერპრეტაციების წყაროა. ყოველი მკითხველი საკუთარ წარმოსახვაში უკვე დაწერილის თავისებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აღქმისა და ინტელექტის შესაბამისად ქმნის ახალ მოდელებს. სწორედ მკითხველები აძლევენ სიცოცხლეს სიტყვებით შექმნილ სამყაროებს. ეკოს აზრით, „ავტორი უნდა მოკვდეს ნაწარმოების დასრულების შემდეგ. ტექსტის სელა რომ არ დაბრკოლოს.“ არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილოც“ იქნება წყარო ინტერპრეტაციებისა, რადგან ფიქრისა და განსჯის საბაზს აძლევს მკითხველს.

მწერალი ხატავს მთავარი გმირის მეტამორფოზას, თუ როგორ მიაგნებს ის თავისი არსებობის აზრსა და მიზანს. სახარებისეული ჭეშმარიტება „გაცვივრდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ რომანში ღირებულებას იძენს და წარმოჩნდება, როგორც ადამიანის თვითგადარჩენის გზა და საშუალება. პერსონაჟი ერთდროულად მოძრაობს რეალურ დროსა, აწმყოსა და წარსულში. დროის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ქმნიან ჯვარს და ამგვარი „ჯვარსახოვნებით“ სიღრმისეულად წარმოჩნდება მისი შინაგანი სამყარო, ის სირთულეები, რომლებსაც ცხოვრება „ცდუნებებისა და ილუზიების“ სახით სთავაზობს, როგორც დაბრკოლებებს „მეს“ შემეცნების გზაზე.

არჩილ ქიქოძის სჯერა ადამიანისა, ამიტომაცაა, რომ ერთნაირი შთაბეჭდილობით ხატავს დაცემულსა და ამაღლებულსაც. დემონური თუ ანგელოზური თანაბრად ნიშნულია მისი პერსონაჟებისთვის, მაგრამ მანაც სიყვარული და თანაგანცდა ჭარბობს. რომანი სავსეა ადამიანური ამბებითა და ისტორიებით, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ მწერლისთვის ყოველი ადამიანი, რომელიც რაიმე შემთხვევით, აბსურდულ თუ კანონზომიერი მიზეზით შემოიჭრება მისი აღქმის ორბიტაზე, მნიშვნელობას იძენს. ეპიზოდურად გაელვებულ პერსონაჟებსაც თავიანთი მშვიდი თუ ბოძოქარი ვნებებით სავსე სამყაროები მოჰყვებათ, ისინიც თავიანთ გზებს მიჰყვებიან და დროდადრო სხვებს ხვდებიან, ასე იქმნება გზაჯვარედინები, როგორც ადგილები, სადაც ყოველმა მათგანმა არჩევანი უნდა გააკეთოს. მასაც სჯერა, რომ „არ არსებობს ადამიანი, რომლის შესახებაც რომანი არ შეიძლება დაინეროს“ (მიხეილ ჯავახიშვილი). ყველა ისინი, თავიანთი ცხოვრებით, პერსონაჟთან სიახლოვის მასშტაბების მიუხედავად, ღრმა კვალს ტოვებენ არა მხოლოდ გმირის, არამედ მკითხველის შთაბეჭდილებაში. „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა კაცს, რომ საკუთარ თავსა და ღმერთს მიავნოს“ (კონსტანტინე გამსახურდია).

რომანის გმირი, საკუთარ თავსა და სამყაროსთან გაუცხოებული, თავისი ტკივილიანი

ფიქრებისავე ტყვე, ერთ ჩვეულებრივ დღეს შინიდან გადის და მკითხველის თვალწინ იხატება მხოლოდ ერთი რეალური დღე, რომელიც წუთისოფელზე უფრო გრძელი აღმოჩნდება. ეს არის თბილისური ოდისეა, გმირის შინიდან გასვლით, გზაში თავსაგადამხდარი ფატურაკებითა და შინ დაბრუნებით. როგორც იტალო კალვინო წერს: „ეჭვი არაა,

მოგზაურობა დროში

არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“



ლიტერატურა არ იარსებებდა, ადამიანთა ნაწილი გულჩახვეული და მარტოსული რომ არ ყოფილიყო, გარემომცველი სამყაროთი უკმაყოფილო, უდრტვინველად, დღეობით, თვეობით უხმოდ ჩაჩერებული მუნჯ სიტყვათა უძრაობას.“

გმირის გზა რეალურსა და წარმოსახულ სივრცეში არ არის სწორხაზოვანი, ის გამუდმებით გადაუხვევს მთავარი ხაზიდან და ასე შემოიჭრება რომანში სხვადასხვა ამბავი. ამგვარად, ერთგვარად ინელება თხრობა, თუმცა სისხარტეს მაინც არ კარგავს.

შინიდან გასვლა თვითშემეცნების საფუძველია. გმირისთვისაც შინ მრავალმნიშვნელოვან ცნებად იქცევა და გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ-მატერიალური ბინიდან, არამედ საკუთარი თავიდან გასვლასაც. გზა, რომელსაც გმირი ადგება, ნაცნობი და ჩვეულია, მაგრამ მანაც რაღაც საიდუმლოებით სავსე, რადგან საგნები თითქოს განსხვავებული რაკურსებით შემოიჭრებიან და ახალ სახეებს აჩვენებენ. ქიქოძის ქუჩიდან ვაკის პარკამდე და მერე ისევ ქიქოძის ქუჩაზე დაბრუნებული გმირი, დილიდან საღამომდე, თითქოს მთელ ცხოვრებას გაივლის. მისი აღქმის ველში და, შესაბამისად, მკითხველის წარმოსახვაშიც შემოიჭრება აწმყოსა და წარსულის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის, საბჭოთა ეპოქა, ტოტალიტარული რეჟიმი, იდეოლოგიური წნეხი, ბერიას მსგავსი ადამიანი-ურჩხულები თუ ნამებული მიხეილ ჯავახიშვილი. ალუზიები კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის, კინოს, მუსიკის სფეროდან. ყოველივე ეს ქმნის იმ ფერადოვნებას, რომელიც ატყვევებს მკითხველს და აღწერილი მოვლენებისა და შეგრძნებების თანამონაწილედ აქცევს.

შინიდან გასვლისთანავე გზა თითქოს ორად იყოფა – ერთ გზას ავსებს რეალურ დროში ნაცნობსა თუ უცნობ ადამიანებთან შეხვედრები, საუბრები, შთაბეჭდილებები, მეორე გზა კი მესხიერების სიღრმეებისკენ მიიმართება და მოგონებების სახით შემოიჭრება თხრობაში. ამგვარად იქმნება ასოციაციების მრავალფეროვანი ჯაჭვი, რომლის ყველა რგოლი ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში, მკითხველი არ იბნევა და იოლად მიჰყვება მწერალს.

თავდაპირველად შინიდან მხოლოდ ბუნალური მიზეზით (მეგობარმა სთხოვა ბინა ქალის მისაცემად) გასული გმირი არაცნობიერად გრძნობს თითქოს, რომ მისი არსებობის საზღვრები უნდა გაფართოვდეს, არა იმ აზრით, რომ რაღაც გააკეთოს, არამედ რაღაც აღმოაჩინოს, უპირველეს ყოვლისა, დაკარგული საკუთარი თავი. ის, ქუჩაში გა-

სული რიგითი უსაქმური, ცხოვრებისეული აბსურდით გაბეზრებული, ყოფილი რეჟისორი, ყოფილი ქმარი, ყოფილი საყვარელი, მოულოდნელად, ერთი შეხედვით, შემთხვევით გარემოებათა წყალობით, ცარიელი „ყოფილობიდან“, მხოლოდ წარსულის მოგონებებით რომ საზრდოობს და აწმყოში პასიური დამკვირვებლის როლს სჯერდება,

„უცებ ცხოვრების აქტიურ მონაწილედ იქცევა. ის იტანჯება შეგრძნებით: „კლასიკური ფორმით შეპყრობილი ვიყავი და გარეთ მივსვამ, მაგრამ უბრალოდ გასვლა კი არა, გარღვევა მიხდება, უცებ მიჩნდება დაუნდობელი სურვილი, ვლენო მინები და ფანჯრიდან გავიდე“, „ფანჯრებს პირდაპირ შუბლით მიხდა ვეხეთქო“.

გმირს სახელი არა აქვს და არც ეს არის შემთხვევითი. ის არის თავის მეგობარი, ქეთოს მამა, ელენეს ქმარი, ნელიკოს საყვარელი და ა. შ. შესაბამისად, ის მათი ნაწილია, ერთგვარი სარკეა, რომლებშიც დანარჩენები ირეკლებიან. მისი „სისუფთავე“ ერთგვარად განსაზღვრავს მასში „მეაყურებელთა“ გამოსახულების სიმკვეთრე-ბუნდოვანებას, სილამაზე-სიმახინჯეს.

სარკე პირველივე ეპიზოდებიდან ჩნდება ნაწარმოებში. ის გმირის სადარბაზოში ჩამოკიდებული „მედლოს სარკეა“, ვერტიკალურად აყირავებული თვალი, რომელშიც კიბეზე ამვლელ-ჩამვლელი ირეკლებიან. ეს თვალის ფორმის სარკე უნებურად ნამოტივიტივებს ღვთის ყოვლისმხედველ თვალსაც, რომელსაც არაფერი გამოეპარება და მარადიული მოწმეა ჩვენი სიკეთისა თუ ცოდვისა.

რომანი სათაურიდანვე იქცევა ყურადღებას. სამხრეთული სპილო იმ რიგის სათაურებს განეკუთვნება, რომლებიც ეგზოტიკურობით იზიდავენ მკითხველს, თავისი მრავალმნიშვნელოვნებით ერთგვარი საიდუმლოების ბურუსში ახვევენ და გამოცნობისკენ უბიძგებენ. თუმცა, რომანის კითხვისას სათაურის გამოცანას იოლად ექებება გასაღები, ის ბავშვობისეულ „სამოთხეს“ განასახიერებს. მთხრობლისთვის ძვირფას რელიკვიად იქცა ფოტო, რომელზეც მეგობარ თავოსთან ერთად სამხრეთული სპილოს ჩონჩხის ფონზე არის გადაღებული მუზეუმის ეზოში. ეს ფოტო დროდადრო ამოყვინთავს რომანში, როგორც გადამრჩენილი კუნძული, რომელიც ცხოვრების ტალღებში ჩასაძირავად განწირული გმირს, არაფრობის, სიცარიელის, ამაოების შეგრძნებით, დაღლილსა და გამოფიტულს, სასიცოცხლო ენერჯის მიანვდის. თვითონ ავტორი ერთ ინტერვიუში ამ სათაურთან დაკავშირებით ამბობს: „სპილოს პრეისტორიული ჩონჩხი გამოდგა იმ ქალაქის სიმბოლოდ, რომელიც აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორც იყო, გინდაც ადამიანების სიმბოლოდ, რომლებიც გადაშენების გზაზე დგანან იმიტომ კი არა, რომ სხვებზე უკეთესები არიან, უბრალოდ, ქალაქთან ერთად ადამიანებიც იცვლებიან და აღარასოდეს იქნებიან ისეთები, როგორებიც კონკრეტულ ეპოქაში იყვნენ. იმის თქმა მიხდა, რომ წესიერად არც ვიცი, რისი სიმბოლოა ეს სპილო და მოდი ამაზე სხვამ იფიქროს“.

თხრობაში ბუნებრივად შემოიჭრება ხსენება ოთარ იოსელიანის ფილმისა „იყო შაშვი მგალობელი“. მკითხველს უჩნდება განცდა, რომ გმირის გულში იბადება წყურვილი, თუნდაც კედელზე ერთი ლურსმნის ჩარჭობისა, რომელზეც ვიღაც რაიმეს ჩამოკიდებს. წყურვილი რადგან ჩნდება, წყაროც გამოჩნდება, რადგან ვინც ექებს, ის პოულობს კიდევ. ფიზიკურად ერთმა ფოტომ, რომელზეც მეგობარ თავოს შვილის, გიოს, შიშველი მუშტი იყო აღბეჭდილი, მისი მე შეძრა და ჩვეული, რუტინად ქცეული ერთფეროვანი ყოფის მდინარეებიდან ამოაგდო და იმ გზაზე დააყენა, რომელსაც სინათლისკენ უნდა წაეყვანა. მასში რაღაც ახალი, ავთანდილისეული თავგამეტების მსგავსი, სურვილი დაიბადა, რომელსაც ჩვეული მელანქოლიური გულგრილობა ვეღარ გადაეღობებოდა.

მწერალი ხატავს ადამიანს, საკმაოდ ნიჭიერს იმისთვის, რომ საკუთარი ადგილი

ეპოვა ცხოვრებაში. მისმა ერთადერთმა ფილმმა საერთაშორისო ფესტივალებზე არაერთი ვიდეო მოიპოვა, მაგრამ: „მაშინაც კი, როცა ჩემი ფილმით ვმოგზაურობდი, უკვე მქონდა შეგრძნება, რომ იმ ჩვეულებრივ სამყაროში სრულიად დროებით და ლამის შემთხვევითი ვიყავი მოხვედრილი“. მან შეიძულა პრაგმატულ-ანგარიშიანი, მლიქვნელობითა და ფარისევლობით, ყალბი ურთიერთობებით სავსე სამყარო, ყველა ვიდეოს ერთ ტომარაში უკრა თავი და კუთხეში მიაგდო. ყველასა და ყველაფრისგან გაუცხოვდა, შესაბამისად, ასევე აღიქვამდა სამყაროსაც, თუმცა არ დაუკარგავს ადამიანების, მათი პატარა სიხარულისა და ტკივილის დანახვის ნიჭი. ამიტომაც იცნება მისი აწმყო სხვადასხვა ადამიანის ამბებით.

რომანის გმირის ცხოვრებისეულ გზაჯვარედინებს ქმნის მისი ურთიერთობა საყვარელ ნელისთან, ცოლ ელენესა, შვილ ქეთოსთან, მეგობარ თავოსთან თუ სხვა ნაცნობსა თუ შემთხვევით შეხვედრით ადამიანებთან. ნელის სიყვარულისა და მათი ურთიერთობის რომანტიკული ამბები წარსულის დრო-სივრცეიდან შემოიჭრებიან. სანამ ნელი ცნობდა, ისეთი ამბავი გადახდა, ჰიჩკოკის ფილმში ეგონა თავი, ძალმა უკბინა „ნეორეალისტურ“ ჩიხში. მერე „ოკუპაციური თერაპევტი“, ნელი, დასჭირდა თითების ასამოდრავებლად და ასე გაიცნო შავგვრემანი ქალი: „ნელისთან ერთად როცა ვარ, ყველაფერი მიხდა ამქვეყნად, ტაჯმაშალიდან დანყებულნი, ნიაგარის ჩანჩქერით დათავრებული, ჩემია ყველაფერი. ერთ სიგარეტთან ერთად შემოძლია, მთელი სამყარო შევისრუტო და კიდევ მიხდოდეს“. ნელის შეუძლია „ურთიერთობა ლამაზ თამაშად გადააქციოს“. თხრობის რეალურ დროში ნელისთან ურთიერთობა ისტორიაა, აწმყოში იგი სხვისი ცოლია, უცხოეთში გადაკარგული. თუმცა მასზე მოგონებები, ფეისბუქზე ნახაბი მისი ფოტოები კვლავ ცხოვრების ნაწილია. მკითხველიც გრძნობს, რომ სიყვარულის ნაკვალევს დრო ვერასოდეს წაშლის. „თავისუფლად აწყდები სამყაროს ერთი კიდიდან მეორეს, მე ნელისაც მოვწყდი და ამიერიდან ჩემთვის აღარ არსებობს მიზნულობის ცენტრი, არსებობს მხოლოდ ხიბლისა და სასონარკვეთის ზღვარზე გამართული მარათონი“.

რომანის გმირის გული, სული და გონება თითქოს პალიმფსესტად ქცეულა, რომლის ყველა შრე ძნელად თუ იოლად, მაგრამ მაინც იკითხება. სიყვარულის კიდევ ერთი ამბავი ელვასათვის შემონახავს მოთხრობაში. ეს არის ის ეპიზოდები, რომლებშიც დახატულია ქეთოსა და „პარკურის ბიჭის“, კასკადიორის ერთი ნახვით შეყვარება. „პატარა ბიჭი ყვითელქოლგიან პატარა გოგოს კოცნის და მათ ქოლგას აწვიმს, და მთელი სადგური, მთელი სამყარო ნვიმაში და ძილბურანშია ჩაფლული“. ამგვარი ფერწერული დეტალებით, როცა შეიგრძნობ და შეისუნთქავ რომანის ფერებს, ჰაერსა თუ განწყობილებებს, სავსეა თხრობა.

ეს „პარკურის ბიჭიც“ საბედისწეროდ შემოიჭრა გმირის ცხოვრებაში, მისი ფილმის გადაღებისას ბიჭი ვაგონიდან გადმოხტომისას დაიღუპა. ამან კი საბოლოოდ ხელი ააღებინა ისედაც უკვე აცრუებულ საქმეზე, რეჟისორობაზე. აქ მისი ზნეობრივი არჩევანიც ჩანს, მას შეეძლო ეს სცენა შეეტანა ფილმში, მაგრამ ეს მის სინდისს ეწინააღმდეგებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა კინოს ისტორიიდან მსგავსი მაგალითი, ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს. რომანში შემოჭრილ სიყვარულის თემას ამძაფრებს საქართველოს დამოუკიდებლობის საწმლიანი დროის ერთი „ანექდოტური“ ამბავიც, რომლის გადაღებაც დაიწყო, მაგრამ ტრაგიკული შემთხვევის გამო ვეღარ შეძლო დასრულება. ინგლისელებმა მასობრივად იქორწინეს ქართველ ქალებზე. შემდეგ, როცა მატარებლით ტოვებდნენ საქართველოს, თან ქართველი ცოლებიც წაიყვანეს ცალკე, ბოლო ვაგონით, რომელიც გზაში, ლისი იქით, ჩახსნეს. მხოლოდ ერთ ინგლისელს ვერ აუტანია ეს, გადმოხტარა და საყვარელი ქალი საკუთარ ვაგონში გადაუყვანა. მთხრობელმა ჯონათან ჰოუპი დაარქვა ამ ინგლისელს. როგორც თვითონ ამბობს, ეს იყო „ტრაგიკული კარნავალური ისტორია, როგორც მთელი ის სამი წელიწადი“.

►► დასასრული იქნება

„არ ჩაკეტოთ მოშვეპული სინათლე“

ვანო ჩხიკვაძის „ქიზიყური ბელკანტო“

ალა ნემსაძე

„ვანათო – ესაა ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა. მე სხვა არაფერი ვარ, თუ არა ის, რაც ანათებს. როცა სამყარო ჩანს, ეს მე ვარ, ვინც ასხივებს.“
„აშტავაკრა გიტა“.

(ანდრო დგებუაძის თარგმანი)

სინათლისა და სიბნელის დაპირისპირება სამყაროს მთავარი ოპოზიციონა და ესაა ლიტერატურის მთავარი თემაც და პრობლემაც. ამ მიჯნაზე იქმნება ყველა მხატვრული ტექსტი, ყველა მწერლის წინაშე ეს დილემაა და თითოეული მათგანი თავისებურად ასახავს მას თავისი აზრით, გადაჭრის გზას გვთავაზობს თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად და ჩვენც, მკითხველები, ჩვენი ალტერნატივა და ანალიზის უნარით ვხედავთ, ვფიქრობთ, ინტერპრეტაციას ვახდენთ. ამ ყველაფრით კი, ჩვენი მხრივ, ადამიანის უმთავრეს დანიშნულებას ვასრულებთ – ვაზროვნებთ და სამყაროს შეცნობას ვცდილობთ.

არ ვიცი, სიმბოლურია თუ შემთხვევითი, რომ ვანო ჩხიკვაძის მოთხრობების კრებულის, „ქიზიყური ბელკანტო“ (2019), პირველი მოთხრობა „პარაპეტია“, ანუ მიჯნა. მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის ნებისმიერი მცდელობაც ხომ მიჯნის გადალახვა და სხვის სააზროვნო სივრცეში გადასვლაა.

პარაპეტია – მისი სალექსიკონო მნიშვნელობები: ზღუდე, მოაჯირი, დაბალი კედელი – მხატვრულ აზროვნებაში მეტაფორულად მრავალნაირად შეიძლება გაეიზაროს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს მიჯნა ორ განსხვავებულ სივრცეს შორის, გამყოფია, ზღვარია. ამის საინტერესო ვარიანტებს გვთავაზობს მოთხრობა „პარაპეტია“: „მაშინდელს და დღევანდელს შორის პარაპეტია დეფინიციით არის ჩამდგარი“, – ვკითხულობთ ტექსტში. რაზეა საუბარი ან რისი ზღვარი და გამყოფია? წარსულისა და აწმყო, დაკარგული ბედნიერებისა და მოწყენილი, უმიზნო დღევანდლობის, ცხოვრების პროზისა და წარმოსახვის პოეზიის, რომელიც საშუალოდ მიუხედავად რჩება, რითაც ინარჩუნებს ამ პოეტურ-რომანს. მოთხრობის იდეური ცენტრი დასაწყისშია, როცა მწერარი დაპირისპირებაზე მიანიშნებს და მას მოთხრობაში საინტერესო რაკურსით ხსნის. ტექსტში ორი ფენა განირჩევა – წარსული და აწმყო, რომლებიც პარალელურად მიდის: მწერალი ხან ერთს ამოწმებს, ხან – მეორეს. თანამედროვე ყოფას ფონად გასდევს ვენის საოპერო დარბაზის კონცერტი და შტრაუსის ჰანგები „ზღაპრები აღმოსავლეთიდან“. ეს შეფარული ირონიით მიმდინარე ნარატივი უნებურად მიგვანიშნებს დღევანდლობისთვის დამახასიათებელ დაჟინებულ ევროპეიზაციას; წარსულის ამბების გახსენება კი პერსონაჟის ბედნიერ განვილი დღეებს აცოცხლებს, რისი დადებითი კონოტაციაც მარიტას სახეა (გიორგი ლეონიძის „მარიტას“ ალუზია). „ხომ შეიძლება, პარაპეტს შუშაბანდის ფარდა ავაფარო და მუსიკით მოყოლილი ზღაპრებით ვიცხოვრო?“ – კითხულობს პერსონაჟი. ეს არაა ცხოვრებისგან გაქცევა ან დამარცხება, ეს დაკარგული ბედნიერების ფიქრებში გაცოცხლების მცდელობაა სასტიკი რეალისტისგან დასაცავად და მის გასაძლევად. დღევანდლობა კი დაუნდობელია:

„ჩვენ ამ დროით ვცხოვრობთ, ამ დროში ვნალობთ და ვიხარებებით...“

ჩვენ მძიმე ოთხმოცდაათიანის დაიწყება ვცადეთ...
დავიწყება ვცადეთ იმ ჩვენი წარსულის და არ გვეპატივა.
ომგადახდელი პარაპეტის წვიმზე ჰკიდია!..“

მწერალი კონტრასტს ქვამდებთ გაჩირაღდებული ვენის მდიდრული საკონცერტო დარბაზისა და ჩაბნელებული, სიღარიბის ზღვარზე მცხოვრები ქვეყნის სურათებით ქმნის. იქ ბედნიერი მოქალაქეები სხედან, აქ ნაგავში ეძებენ ფეხსაცმელს. მათ შორის კი პარაპეტია, რომელიც ამ ფონზე გადაულახავად აღიქმება. ბოლოს კი მაინც ერთ წერტილთან მიდის ყველაფერი, მთავარ და ყველაზე საერთო პარაპეტთან:

„ო, ხარბო მენავე, ნუთუ იმდენს მაინც ვერ დავაგროვებ, რომ სტიქსზე დაუყვადრებლად გადამიყვანო!“

მე-20 საუკუნის დასასრულს ყოფილ პოსტსაბჭოთა საქართველოში მკვეთრად შეიცვალა ვითარება, ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც საუკეთესო განათლება მიიღეს და, შესაბამისად, პერსპექტიულებად ითვლებოდნენ ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში, უეცრად იმდენად შეცვლილ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რომ ვეღარც საკუთარი ცოდნა, ვეღარც გამოცდილება ვერ შეუსაბამებს ახალ დროს და საერთოდ გარიყულნი აღმოჩნდნენ ცხოვრების განსა. „სკოლაში და კომაროვში ორივე მაგრები იყვნენ. მერეც არა უშავდათ, ვიდრე ეროვნულ მოძრაობას უძრაობა შეცვლიდა და ამათ, როგორც „მრგვალი მაგიდის“ აქტივისტებს, ქვეშ მოიყოლებდა“. თანამედროვე ქართულ მწერლობაში ეს ერთ-ერთი მტკივნეული თემაა, რადგან რამდენიმე თაობას მოარგო ცხოვრებამ „დაკარგული თაობის“ როლი; საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სასამელოში ჩამხრჩველი ბოლშევიკთა ერთად რომ ტვირთად დაეკიდათ და ვეღარაფრით მოიშორეს. „ნიჭიერები უფრო ადვილად ეფლობიან ქაობში. ვინც აქედან გაასწრო, ან სხვა საქმეს მაინც მოეკიდა, კიდევ არა უშავებ; ვინც არა – საერთო ქვაბში იხარშებიან, გულგატეხილთა და ხელჩაქნულთა „ბრიგადები“ ნელ-ნელა მომრავლდნენ, შეეჩვივნენ ასეთ გამაჟრებულ ყოფას, საერთო ბოთლებიდან მორიგეობით წრუპავს და სამათხოვროდ აღარც ხელის გაშვება ეთავილება“. მწერალი ამგვარ ადამიანთა ტრაგიკულ ყოფას უკიდურესობამდე ამძაფრებს, ყველაზე მძიმე ფერებით ხატავს. გაორებული გრძობა გეუფლება ასეთი ადამიანების საქციელისგან, ერთდროულად გზაფარავს კიდევ და თან უაღრესად გებრალეხს ცხოვრებისგან უმოწყალოდ გათელილი, დაცემული



საზოგადოებისთვის პრობლემატურ რამდენიმე საკითხს – თანამედროვე სკოლა, ურთიერთობის ფორმები თაობებს შორის სასკოლო სივრცეში, ეთიკის ნორმები და მასწავლებელ-მოსწავლის კომუნიკაციის სწორი თუ არასწორი ფორმები, ემიგრაციაში წასული დედების „უდედო“ შვილები – ეხება მწერალი მოთხრობაში „შვიდი ბელურა და ორი გვრიტი“. იგი გვიჩვენებს, თუ რა შეცდომას უშვებს ხოლმე პედაგოგი, როდესაც მოზარდს, ასე ვთქვათ, არასრულფასოვან მოქალაქედ მიიჩნევს და მასთან კომუნიკაციის ფორმად ზემოდან მაყურებლის პოზიციას ირჩევს. ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც პატარების ფსიქიკის ყველა ნიუანსს წვდება, სრულიად მოულოდნელად „იავნანამ რა ქმნა“-ს ახსნისა და თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას შეეჩვენება. დედა-შვილის განცდები, რომელიც დიდი ოსტატობითაა მოცემული ტექსტში და ასეთივე განცდით გადაცემული პედაგოგის მიერ, „უდედოდ“ დარჩენილი პატარასთვის უდიდესი ტკივილი აღმოჩნდება. პედაგოგი მაშინვე იგრძნობს, ბავშვის ფაქიზი ბუნებისთვის რა რთული გასაზრებელი და გადასატანია ეს ყველაფერი. მომხდარი იმდენად შეძრავს მის ბუნებას, რომ სრულიად სერიოზულად დაფიქრდება – უნდა ასწავლოს თუ არა ასეთი ტექსტი. სწორედ ამ დროს ოცდათხუთმეტწლიანი სტაჟის მქონე სასწავლო ნაწილის გამგე უდიდეს შეცდომას უშვებს. ტექსტში კარგად ჩანს, რომ წლები ვერაფერს მატებს ადამიანს, თუ მას მოზარდთან სწორი დამოკიდებულება, ბავშვის უპირობო სიყვარული არ შეუძლია, თუ არ შეუძლია მისი ტკივილის საკუთარ ტკივილად გააზრება. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ისეთ კონფლიქტს იწვევს, რომ ახალგაზრდა მასწავლებელს სკოლის დატოვების გადაწყვეტილება აღებინებს. მწერალი აქ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას სვამს: ვინ უნდა ასწავლიდეს მომავალ თაობას, რა უნდა იყოს განმსაზღვრელი პედაგოგის ავ-კარგიანობისა, რამდენად მნიშვნელოვანია, სრულფასოვნად ჰქონდეს გააზრებული აღმზრდელს ის უდიდესი მისია, რასაც ეს პროფესია აკისრებს.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის ყველაზე მტკივნეული, ომის თემის ეხება მოთხრობა „ძარა“. აქ სურათი პატარა ბიჭის თვალთა ალქმული და ამდენად უფრო ემოციური და დამთრგუნველია. ბიჭის ფიზიკური ნაკლი, კოჭლობა, კიდევ უფრო მძიმდება მისი უშეშობით – იგი ავლანთში დაღუპული ჯარისკაცის შვილია. დაჩაგრულად გრძნობს ამის გამო თავს ბიჭი და მისი თითქოს შურიანი თუ მტრული განწყობა კუნთებიანი ჯარისკაცების მიმართ ამ ორმაგი დაჩაგრულობით შეიძლება აეხსნათ. ჩანს, რომ მას უჭირს ამ სიმძიმით ცხოვრება, ამიტომ როგორცაა უნდობლობით ესაუბრება წყაროსთან გასაგრილებლად ჩამომხტარ ჯარისკაცს, თუმცა, მისი მხრიდან სხვაგვარი დამოკიდებულებას როგორც კი იგრძნობს, მაშინვე ეცვლება დამოკიდებულება და გრძნობაც. მოთხრობაში სროლა, ბრძოლა, დაჭრილი და მომაკვდავი ჯარისკაცები არსად ჩანან, სულ ორი ეპიზოდია: ბიჭისა და ჯარისკაცის დიალოგი (ფონად ჯარისკაცებით სავსე სატვირთო) და შემდეგ დაღუპული ჯარისკაცებით სავსე სატვირთოს შემოსვლა სოფელში. ამითაა ნაჩვენები ომის მთელი ტრაგედიუმი. ბიჭს კი, რომელიც მეომარი ვერასოდეს გახდება, სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს – არ უნდა დაიფიქროს. ამას ზუსტად ხვდება დედა, ამიტომაც ჯერ კიდევ ბავშვს ახლოს მიიყვანს და დაანახებს მოკლული ჯარისკაცებით სავსე მანქანის ძარას:

„– დაიმახსოვრე ეს საშინელი დღე!.. კარგად დაიმახსოვრე, გესმის?“

ეს არაა უმნიშვნელო მისია. „მტრის ჯვარი გულში მიდგია შავი ალაზნის გუბედა“, – ამბობს ლელა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“. სამშობლოსთვის ბრძოლა მისი მტრის არდაიფიქრებასა და ჯვარის ამოყრის მუდმივ სურვილზე გადის.

„საიდანაღაც მზის სხივებმა გამოჟონეს. ფანჯარა ნელ-ნელა ყვითელმა ფერმა შეავსო...“

გადმოსის კედლებზე სინათლის ჩქერი, გაანათებს კუთხე-კუთხულებს, მორიადდება იატაკზე, მტვრიან ტახტზე ოთახის ყვავილებზე, ბოთლებზე, ქოთნებზე, ავსებს ვინრო შუშაბანდს. საცაა დაბლა, მეზობელსაც ჩაუვა და ისიც იატაკის ჯოხს ჭერს დაუკაკუნებს, მოშვეპული სინათლე ჩაკეტეთო“.

არამხოლოდ ამ მოთხრობის, ვანო ჩხიკვაძის მთელი ამ კრებულის სათქმელია ეს, მწერლის შემოძახილი თანამედროვე გულგაციებულ სამყაროს: შემოუშვით სინათლე ადამიანებო, შემოუშვით გულში, სულში, სამყაროში. და თქვენც გაანათებთ ისევ და ისევ თქვენთვის და მერე ერთმანეთისთვის, იმიტომ რომ ადამიანი მანათობელი ვარსკვლავია და საკუთარი ცხოვრებით ამ სინათლის მოფენას უნდა ცდილობდეს.



„წმინდა ნინოს ჯვარი“

ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალი

29 ივნისს მწერალთა სახლში ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ლონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონმა ლია დაუშვილმა.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა მაკა ჯოხაძე და ვაჟა ხორნაბუღი.



ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ არავინ დაჯილდოებულა.

ფესტივალის უფრომ (ზაალ ბოტკოველი (თავმჯდომარე), ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩიღვინაძე, აკაკი დაუშვილი) ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალიონი“ დააჯილდოვა მათა მინდელი, ელდარ ჭიჭიაშვილი, მაკა გელაშვილი, თაა ყავრელიშვილი, ალა დათუკოშვილი და ციური მესხიშვილი.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალი“ დააჯილდოვა მაგდა ჩანქსელიანი, ჯემალ შანიძე, გიორგი ზუბიტაშვილი, იაშვი არველაძე-ხეცურიანი, ფიქრია ყუშიტაშვილი, დალი მაშვილი, ივეტა პავლიაშვილი და ლია მამულაშვილი.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

„ოლე“ №3

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ III ნომერი. რუბრიკაში „მხატვრული ლიტერატურა“ იბეჭდება ფარნა რაინას, გიორგი ზუბიტაშვილის, აკაკი ბიძინაშვილის, ნესტან ლამბაშიძის, ანა მანოშვილის ლექსები; როლანდ გიორგაძისა და მარიამ ძამუკაშვილის მოთხრობები.

რუბრიკით „დოკუმენტური პროზა“ ქვეყნდება ელგუჯა თავბერიძის „სადაც არ ელი...“ და „უნრფეველესი ჩივილი“.

„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკით ნაიკითხავთ ნინო მუხესელის საბავშვო მოთხრობას. „თარგმანის“ რუბრიკაში გაეცნობით ედნა სენტ ვინსენტ მილეს ლექსს. თარგმნა ნინო ძამუკაშვილმა.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ იბეჭდება ინტერვიუ გიორგი ბუნდოვანთან.

„კრიტიკა პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში ქვეყნდება როინ ჭიკაძის, იკა ქადაგიძის, ზაალ ბოტკოველის, ნინო დარბაისელი სტრონის წერილები.

ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია გურამ რჩეულიშვილის პოსტერი. მხატვარი სოფიო ქვიციანი.

ჟურნალის ეს ნომერი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ ხელშეწყობით.

ბაბუნაშვილას ნიგნისა

ილია ბაბუნაშვილის საფეხბურთო ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა ოლიმპიურ კომპლექტში. ნიგნი, მართალია, საფეხბურთოა, მაგრამ სრულიად არასაფეხბურთო სათაური ჰქვია – „ბაბუნაშვილას თასი“.

„ბაბუნაშვილას თასი“ არ არის პატარა – 300 გვერდზე მეტია. მაგრამ ეს არის ერთ ლამაზი წიგნი, თანაც ყველასთვის ერთნაირად საინტერესო. ნიგნს სულმოუთქმელად გადაყლაპავენ სტაჟიანი გულშემატიკერებიც და ქართველი ფეხბურთელებით სულ ბოლო დროს მოხიბული სტუდენტი გოგონებიც.

ნიგნში ასამდე ტექსტია. ეს არის „ლიდერსპორტის“, „ფეხბურთის“, „ათიანის“, „სარბილის“ ან სხვა ასეთ საიტებზე თუ ბლოგოფორში გამოქვეყნებული პატარა ბლოგები, ნატიფი ჩანახატები თუ მინიატურული ჩანახატები ფეხბურთზე – სიუჟეტები თუ უსიუჟეტონი, მაგრამ მოქმედი სიტყვებით და ფრაზებით. თუმცა არის რამდენიმე ტექსტი, რომლებიც ფეხბურთს არ ეხება, მაგრამ ფეხბურთია მათი მთავარი!

სხვისი არ ვიცი და მე თითქმის ყოველ გვერდზე ფანქრით მოვიწმინდე ადგილები, ავტორის მშვენიერი მიგნებები თუ ზუსტი დეტალები, რომლებიც საკუთარ შთაბეჭდილებებს გაგონებს, საკუთარ ბიოგრაფიას გახსენებს და რომლებსაც მერე და მერე სიამოვნებით გადავიკითხავ კიდევ და კიდევ. აი, მაგალითად ასეთები:

„ქვეყანა, რომელიც შეიარაღებით ამერიკას ეჯიბრებოდა, თავის მოსახლეობას ტანსაცმელს ვერ ახმევდა და კარაქს მოზომილად აჭმევდა. სამაგიეროდ, დინამო გლიჯავდა და ბედნიერები ვიყავით.“

„სანაკრებო ფეხბურთს ადრე გამოჩენილი ადგილი რომ ეკავა, დღეს ბევრი ცხვირს უზღუბებს, ფიფა ცდილობს მისი კალენდარი ისე დაჭმუჭნოს, რომ საკლუბო ფეხბურთს ხელი არ შეეშალოს.“



„ფუფურებ კვარას გარშემო ატეხილ ამბავს და ეჭვი მიჩნდება, რომ ამ ბიჭს მისია აქვს. კითხვას – თამაში თუ სამუშაო, მან თამაშის სასარგებლოდ უნდა გასცეს პასუხი. თუმცა არა, არ ვამბობ სწორად. თავისთვის კი არ უნდა გასცეს ასეთი პასუხი, საფეხბურთო სამყაროს უნდა გადაუტრიალოს ჭკუა. ცხადია, ხვიჩას გარდა აუცილებლად იქნებოდა სხვა ფეხბურთელები, რომლებიც ეპოქის შეცვლაში მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ ამ შემოდგომაზე ფეხბურთის ღმერთებმა ეს ფუნქცია ქართველ ბიჭუნას დააკისრეს.“

„აიაქსის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი კარელ გაბლერი კი ამტკიცებდა, რომ იოჰან კრუიფი ჰოლანდიისთვის იგივე იყო, რაც ჯონ ლენონი ბრიტანეთისთვის.“

„ფერნანდო სინიორი, მისმა პირადმა მწვრთნელმა, რომელსაც არგენტინელი მთელი ცხოვრება ემადლიერებოდა, ასე თქვა: მე ვიცნობდი

ორ პიროვნებას, დიეგოსა და მარადონას. დიეგო კარგი, უბრალო ბიჭი იყო. მასთან მუშაობა მსიამოვნებდა. მარადონა კი არ მიყვარდა. სხვა იყო. მარადონა დღითიდღე შორდებოდა დიეგოს.“

„ბალალო... იცით ვინ იყო ბალალო? ეს იყო უფიგურესი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ისე ლაზათიანად თამაშობდა, ცქერით ვერ გაძლებოდი. ხომ გახსოვთ, ძველმა ბრაზილიელებმა რომ იცოდნენ – გადმოგდებულ ბურთს ფეხზე მიიწე-



ლიბროკუბიკულარისშის შთანთქმარები

პაატა ნასვლიშვილი

ბედნიერ და მერე ისეთ პას გადააწოდებდნენ, გეგონება დანით კარაქი გაჭრესო. რალაც ხავერდოვანი და ეშხიანად მოგუდული იყო მათ ტექნიკაში.“

„შოთა ხინჩაგაშვილი 70 წლისა გამხდარა და მე, მისთვის ტრიბუნის ერთმა შავმა წერტილმა, მინდა საყვარელ ფეხბურთელს იუბილე მივულოცო.“

ისე, როგორ დააკლდა ჩვენს ამ ბოლოდროინდელ საფეხბურთო აჟიოტაჟს ძველი ფეხბურთელების გახსენება.

ილია ბაბუნაშვილი, ახლებით აღფრთოვანებული, არც ძველებს ივიწყებს თავის ამ ნიგნში. საერთოდაც არ ივიწყებს.

მშვენიერი ჩანახატია მამარდაზე – „ერთი დღე ვალენსიაში“, და გვერდზე ამბავი ბორის პაიჭაძის მიერ მაიმუნის გახვეწის:

„მაიმუნი პაიჭაძემ გახია. იმას კი არ გაუხეხია რა გვარია ის“...

გინდაც შორიდან ეთაყვანებოდე ფეხბურთს, გირჩევთ ნაკითხვით, მაგალითად ამ ნიგნში შესული ბლოგები: „თქვენ არ იცით, რა იყო ჩემი ასანთის კოლოფი“, „დღი მგავთ ნომერი“, „ბოლოს კი იყო 13 მაისი“, „ჩენალიტი“, „შეხება ღმერთკაცთან“, „დიდუბე“, „პირველად იყო მერცხალი“, „ლაბირინთი სახელად გიო ქინქლაძე“, „თბილისიდან ზესტაფონში მიმავლი მოკროავტობუსის მგზავრის ჩანაწერები“, „ერთხელ ბორჯომში“, „ხვიჩა და რიჩარდ მესამე“, „სამადლობელი“...

კარგი რა! ყველას ხომ არ გავიხსენებ!

ვერც ყველა ფრაზას ამოვწერ და ვერც ყველა ჩანაწერს ჩამოვთვლი, ის კი აუცილებლად უნდ ვთქვა, რომ ნიგნი გემოვნებით გაუფორმებია ილიას ქალიშვილს – კესანე ბაბუნაშვილს.

არავინ იფიქროს, რომ ნახვალთ ახლა და ამ მშვენიერ ნიგნს იყიდით.

ველარ იყიდით. ცოტა იყო და გათავდა. ცალკე ფეხბურთის გულშემატიკერებმა შეიძინეს და ცალკე არაგულშემატიკერებმა.

ბარემ იმასაც ვიტყვი, ვისი წინასიტყვაობა უძღვის ნიგნს. ვისი და აკა მორჩილაძისა, ოღონდ უკვე თავისი ნამდვილი გვართი – ვისაც გიო ახველიანის საფეხბურთო ოპუსები არ ნაუკითხავს, არ თქვას, ფეხბურთი ვიცი და მიყვარსო.

ხოლო გიო ახველიანმა და ილია ბაბუნაშვილმა კარგად იციან ერთმანეთის ფასი.

„ბოლოსდაბოლოს, ამ ნიგნის ავტორთან ერთად წლების განმავლობაში ვიჯექი ერთ სამუშაო ოთახში, – ნერს გიო თავის წინასიტყვაობაში, –

26 თებერვალი – ჯანი ინფანტინოს ფიფას პრეზიდენტად არჩევის დღე.

26 მარტი – საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გასვლის დღე.

26 აპრილი – დიმიტრი ყიფიანის დაბადების დღე.

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ისედაც უქმე დღეა.

26 ივნისი – კვარაცხელოვანების ანუ საქართველოსგან პორტუგალიის ძღვევის დღე.

26 ივლისი – ლამა ბექაურის დაბადების დღე.

სადაც ბევრი ფურცლები, გამოლევაზე მისული კალმისტრები, უფარდო ფანჯარა და ბევრი სანერი გვექონდა.“

26 რიცხვისა

მარტიდან მოყოლებული საქართველო ფეხბურთით ცხოვრობს.

26 მარტს საბერძნეთთან პენალტების სერიით გაიმარჯვეთ, ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ და გუნდი გერმანიას გაემგზავრა.

იქ კი ჯერ თურქეთთან წაგებით დავიწყეთ დორტმუნდში, მერე ჩეხეთთან ფრე ვითამაშეთ ჰამბურგში და ბოლოს 26 ივლისს პორტუგალიას 2:0 მოუვუეთ გელზენხინენში და თუმცა...“

26 მარტი. 26 ივნისი.

26 მაისი – სულაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

ჰოდა, აურიაშულდა სატელევიზიო და ფეისბუქის სივრცე – 26 ჩვენი რიცხვიაო!

ამას ლევან თაქთაქიშვილის მისთვის ჩვეული მაკვარანცხული პოსტი მოჰყვა ესპანეთთან თამაშის წინა დღეებში:

„ახლა ერთი რამ მანუხებს: ამ უსაქმურმა ერმა 26 ივნისი უქმედ არ გამოაცხადოს. გაუჭირდებათ? დაარქმევინ – ლაზარეს აღდგინების დღეს ან კვარაცხელოვანების დღეს!“

ლაზარეს აღდგინებისა რა გითხრა, ჩემო ლევან, ისე კი კვარაცხელოვანების დღე ძალიან მომწონს, ერის უსაქმურობაში კი მაინცდამაინც ვერ დაგეთანხმები. თუ ერს შენნაირი საქმიანი ადამიანები ჰყავს, უსაქმურობას ვერ დასწამებ.

ხოლო თუ მართლა გამართლდა შენი შიში და 26 ივნისი მართლა უქმედ გამოცხადდა, ამას ალბათ ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება და ყველა თვის „ჩვენი რიცხვი“ უქმედ გამოცხადდება.

თან ვერ წარმოიდგენ, რა კარგი მიზეზითა თუ საბუთით.

26 იანვარი – შალვა პაპუაშვილის დაბადების დღე.

რამ თბილისიდან მალაგამდე და მერე – ჯიბრალტარამდე ფეხბურთელებთან და მათ შორის ხვიჩა კვარაცხელიასთან ერთად ვიმგზავრე. დღემდე საამაყოდ მაქვს ეს ამბავი.

ვინ იცის, გაივლის წლები და ხვიჩა – დახუნძლილი ოქროს ბურთებითა და ოქროს ბუცებით, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით დადაფნული, სადმე იქნებ ამ ჩემს შთანაწერს და ამ ფოტოს გადაეყაროს და სიამაყით თუ არა, ვინმე სინანულით გაიფიქროს: ვახ, 2022 წლის სექტემბერში თბილისიდან მალაგამდე და მერე ჯიბრალტარამდე პაატა ნაცვლიშვილთან ერთად მიმგზავრია და არ ვიცოდით! ან არ მახსოვდაო!

ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

იმ ძველი არასაფეხბურთო ანეკდოტისა

თბილისში ოპერის თეატრის სოლისტის სულხან გველესიანს ვარსკვლავი გაიხსნა. მერე თუ მესამე დღეს ავტობუსში მოსმენილი დიალოგიდან: – გოგო, გველესიანს გიორგი არ ჰქვია?

– ალბათ ირანში სულხანს ეძახიან! მე კი ამ ამბის მომსწრეს ერთი ნევრებიანი ანექტოდი მახსენდება:

მისჩერებია თბილისელი კინტო თბილისის სულ-სულ პირველ ბიუსტს და ვინ არისო, კითხულობს. პუშკინიაო – მეფოვემ. ვაჰ, ეს ის არის, „ვინა ი მირი“ რომ დაწერაო? არაო, „ომი და მშვიდობა“ – ტოლსტოიმ დაწერაო, მეფოვემ. ვა, მამ პუშკინი რა შუაშიაო, – გაუკვირდა კინტოს.

გულშემატიკერისა

თუ თბილისელები და ქუთაისელები ან თელაველები ან ზუგდიდელები ხვდებიან ერთმანეთს, რა თქმა უნდა, მე თბილისელებს ვგულშემატიკერობ. თუ ორივე თბილისელია, – ნაცნობს. ან უფრო სიმპათიურს.

თუ საქართველო რომელმე ქვეყნის გუნდს ეჯიბრება, რასაკვირველია, – საქართველოს.

თუ ევროპა – აზიას ან აფრიკას, რა თქმა უნდა, ევროპას.

თუ დედაამინელი ხვდება მარსელს ან ანდრომედას ნისლეულელებს, რა თქმა უნდა, დედაამინელს.

ინვივიდუალურ სახეობებში – თბილისისა და საქართველოს გულშემატიკერად ვარ.

თუ არც თბილისელია და არც ქართველი, რაინდ სხვა ქვეყნის სახელით გამოდიოდეს, მაშინ კავკასიურ რასას ვგულშემატიკერობ.

თუ ხანდაზმული და ახალგაზრდა ხვდება ერთმანეთს, – ახალგაზრდაში ახალგაზრდების მხარეზე ვიყავი, მერე ნელ-ნელა ხანდაზმულების მხარეს გადავედი.

ამ ევროპირველობაზე საქართველო რომ ესპანეთთან დამარცხდა, მომდევნო მატჩებში უკვე ესპანეთის გულშემატიკერობა მოვიწოდებ საერთოობრივად ამბავში და ძალიან გაეზარდები მისი გაჩემპიონებით. ახლა ვარ. მას მერე, რაც მათმა მწვრთნელმა – საქართველოსთვის რვით ერთი უნდა მოგვეგო! არ გრცხვენია, ბიჭო! რა რვით ერთი! ოთხის ერთი გეცოტავენა?! ნესიერი მსაჯობის პირობებში შესვენებაზე წაგებული გახვიდოდი და უკან დაბრუნებული, რა და როგორ მოხვდებოდა კიდევ საკითხავი. თუმცა შენმა ფეხბურთელებმა რა დასაშვეს – მართლა მაგრები არიან. მაგრამ ესპანეთის გულშემატიკერად ვერ ვიქნები.

თუმცა ბევრი ქართველი სწორედ ესპანეთს ვგულშემატიკერობს – ვიტყვი მაინც, რომ მომავალ ჩემპიონთან დავემარცხდითო. მე კი ახლა, ამ შთანაწერის დაწერის დროს, როცა ისიც კი არ ვიცი, ვინ იქნება მერე ფინალისტი, ინგლისის გულშემატიკერად ვიქნები. რაც არ უნდა იყოს, მათი მოგონილია ეს თამაში თუ რაც არის!



თინა ჭაჭია

ბიოგრაფია

ზღვა იდგა, როგორც აკვამარინი ნაპირი იყო თოვლის. ეს ხილვა იყო... მე, ცა ვიყავი და დავყურებდი შორით... ხელისკიდებას კი მოვასწრებდი, მითხრეს, ყოფილა ბროლი... ვატყობ, ხილვები დამაბერებენ და ნატვრებს მოჰყავთ თოვლი, მე ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. ვარ, უპირველეს ყოვლის.

ლოქნი-თოვლოვანი

ო, ნითელი კამელია – ზამთრის დარდი, თოვლი ბარდნის, თოვლი ბარდნის... ეს ხე ასე საოცარი

ახსოვს არვის, ახსოვს არვის, თოვლში მარტო დგას და ყვავის, დიას, მხოლოდ თოვლში ყვავის... და ბალიდან მოჰყავთ ბალლი, ზუსტად ამ ხნის, ზუსტად ამ ხნის... მამამ დარგო, რომ ახარეს გოგაო და შესრულდა კამელია გუმინ სამის. ბავშვი უცებ მისკენ გარბის, თოვლი ბარდნის, თოვლი ბარდნის, თეთრ თოვლში კი ნითლად ფეთქავს კამელია, ზამთრის დარდი... და პატარა გოგოს დედის დიდი სევდა შეფარული, თეთრ თოვლს ნითლად გამოაჩნდა, გულში ჩუმად შემალული... ხე კი ყვავის, ყვავის, ყვავის... თოვლიც ბარდნის, ბარდნის, ბარდნის... და პატარა გოგო მისკენ გარბის, გარბის.

სევდიანი იუმორის

მითხრეს, სახლ-კარს ყიდიათ მაგრამ მივხვდი – შემეშალა, ამიტომაც გამოვედი ჩემი ნებით, ცოტა ჩქარა... არც ვინ იყო ხელის მხლები. ხეზე ესხა უთვალავი ხეჭექური, მეფე-მსხლები... კაცმა ქული მოიხადა, გადაისვა ხუჭუჭ თმებზე მძიმე ხელი, ამ ყველაფერს ხომ ხედავთ? ნუ დამძახავთ, მე აქედან მხოლოდ ხელით გამიტანთ... თქვენ კი, ისე ლამაზი ხართ,

დარჩით, სხვას ვერ მოიწონებთ, ისევ მე თუ ამიტანთო.

ლოქნი-თოვლოვანი

დეკემბრის ქარს, ხმას ვინ გასცემს, თოვლის მიკროფონია, ვინ შებედავს, დირიჟორობს, უკრავს ცის სიმფონიას... გაასწორებს ხმებს წინა დლით, ხმას ჩაუნუნებს ხრინინას, ჩაჩუმდება ცა და მინა, მათ ხომ უკვე იციან, ღამით მოვა შავის მტერი – თეთრი რევოლუცია.

მოვლილი

მოვდიოდი, მოვდიოდი, მოვდიოდი... შუა გზაში ეტლს გაუტყდა ბორბალი. გადმოვვუქე ემადინზე, იყო შორი... გზის იქით და გზის აქეთაც, უსასრულო ზღვად ღელავდა ხორბალი. ემადინი ვერ ფარავდა გრძელ მანძილებს და გავეიდე... აღმასის თვლით ბეჭედი, ისევე ეტლი ვიქირავე ქუთაისს, შენსკენ მოვიჩქაროდი და გეძებდი. რისთვის ვეკევი, რისთვის ვეკევი შორი გზები, თუკი ველარ მოგისწრებდი, ვებრდები... მოვედი და ქართს ვუტეხე ცხრაკლიტული, მოვიარე გოლოვინის პროსპექტი... თქვა მეეტლემ, ვისაც ეძებთ, ქალბატონო, აღარ არის, გაფრინდაო, რა გრჯიდათ... და მაჩვენა, აქ იყო, ზუსტად აქო,

ჰოდა, იქ კი, ცის ბლონდებში, ვილაც ქალი ხელს გვიქნევდა ფანჯრიდან. ხომ მოვედი და მეგონა, აქ იდეტი, შენს სახლს და მტკვრის მარცხენა ნაპირთან, ქართს ვუტეხე ცხრაკლიტული მარტის ბოლოს... შენ კი, თურმე, შენ კი, თურმე, ურცხვი ქარი... მთაწმინდაზე ტყემლის ყვავილს გაყრიდა.

ლოქნი. ცივი წაოვლობა

კართან იდგა ლურჯი სევდა და შემოსვლას აპირებდა, ის კი წერდა... ჰო, ეს სევდა მას სულ სდევდა, ეძებდა და გულსა სტკენდა... ის კი, მაინც წერდა, წერდა... იმ დღეს ოთახს მისწვდა ლურჯად, დადგა ტბორად სინამდვილეში, ფრთხილად ფსკერი გაიკეთა. ის კი, წერდა, წერდა, წერდა, ტბორს სილურჯეს ამატებდა, მის ირგვლივ კი, ლურჯი ფერი თვლემდა, თვლემდა... დატბორილი ოთახი კი, ვერ უძლებდა... ბოლოს ტბორი გაორკეცდა, გაიშალა უფრო მეტად... სხვა რა ექნა, სევდის ტბორში იდგა კენტად... საბოლოოდ კარი მაინც ვერ გაალო, ვერ გაბედა... რადგან სევდამ ფართო ფსკერი საშუადა მოგაიკეთა... უიმისოდ ველარაფერს ვერ დანერდა... ლურჯი ტბორი თვლემდა... თვლემდა... ის კი წერდა, წერდა, წერდა...



ნურბაზარ კობარიძე

ქვის ქიმერებს ქარი ჩასმურჩულებს ნეტა რას, მარტო ცოცხალ-მკვდარი, დგას ტაძართან

ნეტარი. წყდება სიმი გიტარის, გრძნობა არავითარი, თავზე აწვიმთ წმინდანებს, წმინდა სისხლი მონების. სისხლის წვიმას ვინ დალევს, ვინ დალევს და ვანდალი. ტალღას მიაქვს მანდილი, ჩემი ლურჯი დედების. მოდის ღამე ზმორებით, კივის ცრემლის მორევი, მახვილს მიწვდის მხედარი, გველეშაპის მომრევი.

თოვლივით თეთრი თოვლი, მთვარე, თავთუხის მთვარე. ლოცვები სვეტიცხოვლის, ცად მიჰყვებიან ქარებს.

მდორე მდინარე მდორე, დო, რე, მი, რე, დო, ლა, მი. ხმლებით აჩეხილ გორებს, ხელი მოვხვიო ლამის. კვდება აკორდი ბოლო, თითქო სამყარო იძვრის. შორს მაცყლიანი ბოლავს, აქ ჩემი გული იწვის.

ჩემი სასახლე მოვქერნე თავად,

ალიზიტა და ვარდის სურნელით. ამ სამოთხეში შენით ვარ ავად, მჭირს უშენობა განუკურნელი. ვაითუ ჩემი სიზმარიც ახდეს, – წყაროსთან ჩიტი კვდება წყურვილით.

მოეც საზრისი ყოველთა მათა, ვისაც შეცნობის უნარი არ აქვს. ამბოკარი გადასწვდა არაყს, დაიბერტყა მტვრიანი კალთა, განქარდა მისი სილუეტი და გასაგისი.

ზარები რეკენ, შუალამეა, სოფელში ალბათ ავსული დადის. სარკესთან დედას დარჩა კამეა, ჩემი სურათი და ჩემზე დარდი.

ბუხარში ცეცხლი, მთაზე თოვლი, ბაღში ვარდები. მთვარემ აისხა ვარსკვლავები გირლიანდებდა. შავი ფანჯრები. დაშვებული თეთრი ფარდებით. მღვრიე ტოტებში ანგელოზი აილანდება.

სონეტები ჯარისცილებს



თეონა ნუსხიძე

ხან ახალგაზრდა, ხანდაზმული, ხან სულაც ჩუმი, ზოგჯერ უვიცი, სიბრძნისგან უტყვი, ან ფუჭი, უქმი; ხან უსაქმური, ღონე ქანცული, გონით ნასული – ყველაში არის რაღაც ახალი, მიზანმართული. რომელს აირჩევ? – შენთვის გინდა, შენთან ნაიღებ: ხანდაზმულ ბრძენად ვერ იცხოვრებს ყოველი ერთად, ახალგაზრდებმა უვიცობით იაროს ქვეყნად – პირმშოს ვერავინ დააყენებს ქადაგად ერსა! მესამე გზისთვის ვერ ვიმეტებთ ვერავინ შეილსა,

დარაბებს მიღმა, ღია სივრცეს რომ ვერ ვხედავდე, მდაბიობა რომ არ ჰქმნიდეს ღირსების წყურვილს, რომ არ ველოდე სიბნელეში კელაპტრის სხივებს, ზამთრის ყინვაში რომ არ ცვლიდეს ზაფხული სურვილს; სასონარკვეთილს რომ არ მქონდეს ხედვა მომავლის, ამდენ ბოროტში არ ვეძებდე ერგულთ თვისებას, სიმდიდრის მნახველს არ მეტრფოდეს უბრალოება, ასეთ ქაოსში რომ არ შემრჩეს მშვიდი მოთმენა; სიღარიბეში, რომ არ სჩანდეს სულის სიმდიდრე, ურცხვ სურვილებში, რომ სინმინდე აღარ ფასობდეს,

რომ არა მწამდეს, ცხოველ კაცში ღვთისა ხატება, ამ სოფლის მერე, სასუფეველის რომ არ მსჯეროდეს – მაშინ რაღა ექნა, უიმედომ, განსაცდელის ჟამს, მაშინ ცხოვრება ემსგავსება გაცვეთილ ქალაქს!

ვარდი უეკლოდ მოსაკრეფი აბა სად არის? კარგს ცუდის ნახვით დავაფასებთ, მანამ რაღა ვთვლით? მოყვარე მტრისგან არ დავიცვათ, მაშინ რა დავგვლის? რით დავუბრუნოთ, ამ კეთილ კაცს ზრუნვა მრავალგზის?! სიცოცხლით სიკვდილს არ ვებრძოლოთ – რასა ვქმნით ამით? რაღა ვქნათ მაშინ, წუთისოფლად რაღას აქვს აზრი? ავადმყოფს ვკურნავთ, უნუგემოს, ნაქცეულს ვშველით, ამის გარეშე ვის უნახავს, ყოველი ერი?! თუ ერთხელ მაინც არ უსმინე, რა იცი მღერის? თუ თვალი ერთხელ არ უსწორე, რას ნახავ შენით? თუ მუდამ გვემე, დაამდაბლე, ნაქცეულს ებრძვი, როგორღა გინდა ამოიციო მოყვასში მტერი?! თუ ერთხელ ძლიერ არ გიყვარდა, გაუგებ შეშლილს? თუ მწარედ გული არ გატკინეს, რა გესმის შევების? სასონარკვეთილს, სევდამოგვრილს, ცრემლიანს, ზნელში, ერთხელმც თუ დილა არ მოგისწრო, ტკბილ ძილს ვით ეტრფი?!

ნახეთ, თუ მოსჭრით ვრცელსა ტყეში ცალ მხრიდან ხესა, იქნებ, ეშმაკიც შეავედროს მავანმა ღმერთსა!



ბაშუკა დოლიძე

ნადირობა სიბუჯის ნაკრძალში

ამჟღავნა ჩემი მოზღვანობა – მარი ღვინთაშვილისა და გივი დოლიძის ნათელ სოფლას

გამო. მოლოდინი უფრო მამოძრავებს, ვიდრე მოგონება. ამბავი, სიუჟეტი, მოჩვენებითაა. ასე მგონია, საინტერესო ისტორიას ჩავაგლეხელი, ჩახმარს ხელი გამოვკარი და მშვენიერი მოთხრობა ჩამოვიკიდა სანადირო ჩანთაზე, მაგრამ ის აღარ არის ცოცხალი, ის მკვდარია. ნამდვილი ნადირობა ჯერ არ დანეჭეულა, ჯერ არ გამოჩენილა ის უსახელო და შეუცნობელი, ცეცხლივით რომ შემოგენთება და სათქმელს გათქმევინებს. ჯერ ადრეა ნანადირობის ტკობა. უკან მოხედვაც ადრეა.

მარტო ვარ. წინ ბევრი განსაცდელი მელის. სიცოცხლის რისკის ფასად ხდება ეს ნადირობა, დაუკრფლავი გადასვლა ნიშნავს, იმას იქითაც ნასვლას აღნიშნავს, რასაც ვერ ამოწურავს ეს გადატანითი თქმა. იქ, ყოფილი-არყოფის მიღმა, ყველაფერი ფარკვეულია, ცხადზე ცხადია. იქ ხდება სიტყვის, როგორც ქვეყნის ტერიტორიის გამოცხადება.

უფალო შემინყალო! რამდენი შეცდომაა გაპარული ჩემი ცხოვრების ფურცლებზე! ვიღებ ნუთმებს ვენებებს, რომ უკან მოვიხედო და შეცდომები გავასწორო.

– დაგიჭირე, ვაჟბატონო? როგორ ბედავ ნაკრძალში ნადირობას! –

– ნაცხარის სიღრმიდან ცენზორის იერ-სახის არსება გამოცოცდა.

– აქ საიდან გაჩნდი? – გაიოცე – ნაკრძალში მარტო ვარ შემოშვებული.

– მარტო შემოგიშვეს იმ პირობით, რომ წინ ნახვილოდი და უკან არ მოიხედავდი. როგორც კი დასვენება გადაწყვიტე და თვალი გადაავლე გავლენა გზას, მეც საშუალება მომიცა შემოვსულიყავი. შენვე დაარღვეე თამაშის წესი და ან ჯარიმას გადაიხდი, ან ჩაჯდები. – მთელი ცხოვრება ჩამჯდარი არ ვარ? თუკი რამ დამინერია, ყველაფერი ციხეში მაქვს მოფიქრებული.

– თავისუფლება არ არსებობს. ჩემზე უკეთ მოგეხსენება ეს. შენი გულწრფელობა თვალთმაქცობაა. მწერალი ხარ და გინდა მკითხველს თავი მოაწონო.

– რასაც მოვინადირებ, ნახევარი შენი იყოს, თანავეტორად გაგიყვან. – შევთავაზე.

– კარგი, ამჯერად გაპატივებ. ვითომ სულ ვერ გხედავ.

ზურგი შემაქცია. გზა განვაგრძე. ისეთი სილამაზის შემსწრე აღმოვჩნდი, ენა ვერ აღწერს და აზრი ვერ გამოხატავს. ენა საერთოდ ხელს მიშლის. ის უკვე გამზადებულ მასალას მანვდის ხატოვანი სიტყვა-თქმების სახით. გამბედაობა არ მყოფნის ეს გამოთქმები ასო-ასო დავამსხვრიო, სულიერების უმცირეს კვანტებად დავშალე, რომ მოხდეს სასწაული და დისკრეტულ ნაწილაკთა ნაკადი ფიქრის უწყვეტ ტალღად გადაიქცეს.

ჩემი სამეცნიერო ცხოვრების ეს ადრინდელი გზა კვანტური ფიზიკის ბურუსით არის მოცული, რაც აქ, ამ თვალისმომჭრელ ნაკრძალში, გონებას მიმდგრავს. ბუნების იმპრესიული სურათი, როგორც შუქ-ჩრდილთა თამაში შემდგარი მხატვრობა, არ შეიძლება დაემსგავსოს ფიზიკური რეალობის აღწერას. ტყის იდუმალი სულის ტალღურ-დისკრეტული გამონათება არც კლასიკური ფიზიკის სიცხადება და არც კვანტურ-მექანიკური განუზღვრელობა, ერთი ან არც მცირე. აქ, რეალობის ამსახველი სიტყვა ქმნადობის ენერგიად იქცევა. საფანტოვით იშლება და

დროთა სივრცეში გაფრენილი, დენთით ფეთქებადი ხდება. სად იფეთქებს ის და როდის გაისვრის ჩემი თოფი?!

ნისლი ჩამოწვა. ვერაფერს ვხედავ. ბრმაღ მივაბიჯებ. ისიც არ ვიცი, ზაფხულია თუ ზამთარი. ზამთარი უფრო მენატრება. მესიზმრება ბავშვობის სოფელი, ღრმა თოვლი ჩაფლული. ვიღვიძებ და ვხედავ სანისლოს მთიდან ჩამონოლილ ღრუბლებს, თითქოს ვარსკვლავებით მოჭდილი ღამე დღის სინათლეზე გალღვა, ცის კიდობანიდან მოიღვავა და ფიფქებად ჩამოიშალა.

თეთრ სითეთრეში მივაბიჯებ. არ ვიცი, ვის შევეფეთებ, რა მელოდება. ისე მსუბუქად მივსრიალებ, ასე მგონია, სიზმარში ვარ. ნაკრძალის ბლიკი სოფელზე გადის და კოსტაგორაზე გადადის. საბაგირო გზით მწვერვალზე ავდივარ.

„ნეტა თხილამური მქონდეს!“

ვინატრე თუ არა, თვალი მომჭრა მოთამაშე სხივთა არილმა. მიმოვიხედე. მთელი ალპური მდელო ტყით კი არა, ხეებით აღმართული თხილამურებით არის მოფენილი. ფერადი სარკეებით ელვარებენ და ათასფრად ირეკლავენ მზის ცეცხლს.

ინყება სწრაფდაშვების თავბრუდამხვევი ცეკვა-თამაში. მთელი ცხოვრების სათხილამურო გამოცდილება თოვლის ფერდობთან სასიყვარულო ფლირტში გადადის. ფანტელბით მოქსოვილი ტრასა ბავშვობის მიკროსამყაროში მიმაქანებს. ვგრძნობ წარმოსახვის ქმედების ენერგეტიკულ კვანტებს. მესხიერების სერპანტინზე საამო სიმსუბუქით მივსრიალებ მზიური ველის ზღაპარში. მინდა, სულ ვიტყვილო ამ წარმოსახვითი ორბიტაზე, გულივით მფეთქავი ატომბირთვის გარშემო, სადაც დაუნჯებულა სიცოცხლის უსასრულო ძალა. თუ ეს ატომბირთვი გახლიჩა და აფეთქდა, აფეთქების ტალღა გაიშლება ულამაზეს მზიურ მინდვრებად, ან მთვარის ვერცხლისფერ სხივებში აბრწყვილებულ ფერდობებად. მიკროკოსმოსის გალაქტიკების ეს გაფართოება ჩემი სულის სამყოფელში ხდება.

ველარ ვჩერდები. სლალომის საიდუმლოება იმაშია, რომ სულ წინ გადახრილი ხარ, არ უნდა გასწორდე, წელში არ გადაიხნიო, უკან არ მიიხედო, თორემ ფერდობი გაგიბრაზდება და ძირს დაგცემს. კოსტაგორიდან ჩამოსრიალებს ხელოვნება ბავშვობის სამოთხის ერთ-ერთი გასაღებია. როცა სწრაფდაშვების მოხვევას სწორად ვაკეთებ, მოთხილამურე გენიოსების მიბაძვით, ფერდობი მეაღერსება, მესიყვარულება. ვგრძნობ, ისევე პატარა ბიჭი ვარ, გატაცებით რომ ვსწავლობდი ავსტრიულ სამთო-სათხილამურო ტექნიკას. როგორი ადვილია ურთულესი მოძრაობაც კი, როცა მთის მიმართ პირველი სიყვარულის ცეცხლი შემოგენთება და შეუძლებელს შეგადლებინებს.

ღმერთო! თუკი შეიძლება ცადა აღვლენილი სიყვარულის ამქვეყნიური გრძნობებით გამოხატვა, სწორედ ეს ექსპრესია და სიტყვა-თქმა მიმაქანებს აქ და ახლა, რათა ჩამოვსრიალდე წარსულიდან აწმყოში, ის საუკუნოდან ამ საუკუნეში.

– ეს ბოლო ფრაზა შენივე მოთხრობის პლაგიატია! – დამიყვარა ცენზორმა.

– რას იზამ, ყველანი ცოდვის შვილები ვართ – ამოვიხიხე.

სლალომის მეორე წესი ის

გახლავთ, რომ თუ დაეცი, ისევე ფეხზე უნდა დადგე და გზა გააგრძელო.

ნამოვდექი. წლები ჩამოვიფერთხე. ისევე გამიტაცა მთიდან დამხვევის ქარივით ქროლამ. გაირღვა ღრუბელი და ცისარტყელას თაღქვეშ, საქსოფონებით მოელვარე ჯაზ-ორკესტრი გამოჩნდა.

ფირფიტასავით დატრიალდა გარდასული დრო. ფირსაკრავზე ხმაგაბზარული, ნემსით ჩახრინებული სერენადა აჟღერდა. ეს სიმღერა მამინე შეიქმნა, როცა დასრულდა მეორე მსოფლიო ომი და დღის მზე მზიარულად შეეგება არყოფნის სიზმრიდან გამოღვიძებულ სამყაროს.

ჩემი გულისძგერა თანსდევდა სიმღერის რიტმს, სისხლი ჟრუანტელივით დამიბრბოდა ძარღვებში. ყოველ სათხილამურო შემობრუნებას წარმოსახვით ვაგრძელებდი მოსახვევს იქით. ეს წინმსწრები მოძრაობა ქმნიდა საცეკვაო რიტმის მთლიანობას ერთი ამოსუნთქვისგან შემდგარ სერპანტინზე.

ფრენა და სრიალი ერთმანეთს ერწყმოდა. დასახული მიზანი წარმართავდა მოძრაობის გზას. ტკბილი მუსიკა, კოსტაგორის რადიოდან რომ ჩამესმოდა, ახლა სხეულის ენად იქცა. ზეაღმართული ტანი დაბლობს შესცქეროდა, წელი, მუხლები და წვივები კი რიტმულად ირხილდნენ, ქუსლები ხტოდნენ და მთელი ქვედატანი ცეკვავდა.

მთიდან ჩამოსრიალების სიხარული ფერს უცვლის ცასა და მიწას. წუთისოფლის ბინდი, ზესთა სოფლის იდუმალღებაში გადადის. ზებუნებრივი სინათლე გზას მიხსნის უსანოვოდა გაფარდელი ჩემი პაემალის კოხტა გორასთან. სიყვარული მოსათან დაუმრეტელი გრძნობაა. გრძელდება და გრძელდება სწრაფდაშვება სიტყვების თამაშით. სამთო სათხილამურო ნიგინიდან ამოკითხული სტრიქონები საყვარელ სიმღერებთან ერთად ქმნიან იმ თავბრუდამხვევ აურთს, თოვლის კორიანტელივით რომ თანსდევს ამ მსუბუქ ქროლას, სიზმარსაც რომ ეკუთვნის და ცხადსაც.

ბოლო არ უჩანს ჩამოსრიალებას, თითქოს არსაიდან წამოვსულვარ და არსაით მივეჭრივარ. მიზანი ჰორიზონტით გამიჩრბის. თვალსაწიერს მიღმა კი ისევე გრძელდება კოხტა გორასთან სიყვარული ტკობა. ახლა ეს სიყვარული გაუკვალავ თოვლში გადადის, რომელსაც სლალომის სულ სხვა ტექნიკა სჭირდება. თუმცა, სრიალის სიამოვნების განცდა იგივე რჩება. კი არ ვმოძრაობ, ბედნიერების მოლოდინში ვარ შეჩერებული. ყამირი თოვლი, ჯერ რომ არავის გაუკვალავს, პირველი სიყვარულის ქაღალდებრივი ვნებით მოისწრაფის ჩემკენ, მეძლევა მხოლოდ მე და არსებობს მხოლოდ ჩემთვის. ეს აძლიერებს გრძნობას და კოხტა გორის დაფარული მხარე ჩემს წინაშე იხსნის ჩადრს, რათა თავისი პირველქმნილი სილამაზე მიჩვენოს. გატკეპნილი ტრასის ნაცვლად მისრიალვით ფაფუკი თოვლის ღრუბელში.

სად არის ცა, სად არის მიწა? ყველაფერი არაფერია, თეთრი სითეთრის გარდა, გულში რომ ჩამიხუტა და აღარსად მიშვებს. აქ წინ ვერ გადავიხრები, ქუსლებზე უნდა შემოვბრუნდე, თითქოს ზღვის თხილამურზე ვდგავარ. ოცნებას და გზის წარმოსახვას მარტო ვერ შევძლებ. ლამაზი სერპანტინი, იეროგლიფივით რომ მოიქარგა მთის კალთაზე, ჩემი და ფიფქა-ქაღალწუ-

ლის სასიყვარულო მიმონერაა. ყოველი მოძრაობით ასო-ნიშნები გამოჰყავს თოვლის ფურცლებზე. ნერილის წერამ შორს გამიტაცა და სტრიქონების აღმაფრენამ ტრამპლინზე შემეგდო. კლდეს გადავახტი, ცაში გავფრინდი და საშინელი ძალით დავეწარცხე მიწაზე.

– ცოცხალი ხარ? – მომესმა ცენზორის ხმა.

– სხეულს ველარ ვგრძნობ.

– სამაგიეროდ, გონს მოხვალ, – მიპასუხა, – სად არ დაფრინავ, რას არ მიედ-მოედები. გამოფხიზლდი, მიმოიხედე, რა ხდება ირგვლივ!

– ვინა ხარ, რას დამდეგ ჩრდილივით? – დავეღრიალე და თოფი მივეშვირე.

– არ მესროლო, თავს იკლავ? სიტყვის გაგრძელება აღარ ვა-ცადე, ჩახმარს გამოვკარი თითი.

თურმე ცხოვრება არ თავდება და ქვეყანა არ ინგრევა ცენზორის სიკვდილით. პირიქით, თავისუფლების ასეთი უსაზღვროება და სიცოცხლის ასეთი სიჭარბე არასოდეს მიგრძნია. მინდა თხილამურებით გავაგრძელო შეწყვეტილი ნერილის წერა, მაგრამ ყოველდღიური საზრუნავი და სადარდებელი ბოქლომით დაელო ჩემს სიყვარულს კოხტაგორის მიმართ. გულწრფელად რომ ვთქვა, არც არაფერი მაქვს სათქმელი. არაფერია უღიმღამო, უსიხარულო ყოფის თავი და თავი. თუ ამ გაუსაძლისმა ცხოვრებამ ერთმანეთს დაგვაშორა, აღსარებასავით დავენევა ჩვენს სასიყვარულო ნერილს, დავემსხვრე გულიდან ამოხეთქილ სიტყვას – ასო-ასო გავფანტავ, არაფრად ვაქცევ.

აჰ, მოდის, ზღვაგდება უსახელოთა უსახური მასა არაფრად ქცეული სიტყვის გასვენებაში. ტირიან, რათა ცრემლით მიინც მოიხადონ ვალი გარდაცვლილი გრძნობათა მიმართ. სანადიროც აღარაფერია. მოსაწყენი, გული-სამრევი დღეები გამალებით გარბიან. უსაზრისო უწესრიგობის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხი:

ვინ ვარ მე, ან კი საერთოდ ვარ თუ არა ვარ? ჩემი რა გამაჩნია? გამოვდილვები? მოგონება?

ესეც თვალთმაქცობაა. რაც იყო, იმას ველარ აღვადგენ, თუკი სხვისგან არ ვისესხე, უკვე გამზადებული სიტყვები გარდასულ დღეთა შესახებ.

თოვლის გაუკვალავ ქაღალდში შეჭრა, დაუკრფლავი გადასვლას ნიშნავს, სადაც ჩაისახება და სხეულს შეიძენს ის, რასაც მერე შეიძლება სახელი დავარქვა. სახელის დარქმევა სპობს იმ უსაზღვროებას, სადაც განურჩევლად ვარსებობ მეც და ჩემი სათქმელიც. დასახელება უკვე გულისხმობს არსებულის დასრულებას და წარსულში გადასვლას – რაც იყო და აღარ არის.

ისევე გამიტაცა სიტყვების თამაში. ისევე ვარდევ საზღვარს არსებულსა და გამოგონილს შორის, ისევე ვაგრძელებ ნადირობას უმისამართოდ, უმიზნოდ. უნდა ვაღიარო, რომ ვერაფერს ვაღიარებ გულწრფელად. რასაც ვიტყვი, ის შეიძლება არც იყოს ჩემი ნათქვამი.

რა სასაცილოა! კომბოსტოს ფურცლებივით მცვივა გამოგონილი ამბები, მოთამაშე პერსონაჟები, საუცხოო აზრები, გაუცხოებული განცდები. კომბოსტოს გულში კი სიცარიელეა. არაფერია გულის გულში და არაფერია ყველაფრის თავი და თავი. სადაა ის, რაც ჩემს თავში ხდება? არსად არ არის. მოლოდინი, რომ აქედან რამე გაჩნდება, ამაოა. თუკი ბუჩქებიდან კურდღელი გამოხტა, ისიც სანყალი კურდღელია, ავად რომ გახდა და არჩილმა და ხათუნამ რომ მოარჩინეს.

აი, ეს ნაღია! სიმღერა, დე-

დამ რომ მიძღვნა, დაბადებიდან ნანასავით ჩამესმის. რა დიდი სევდაა სულ პატარა ბავშვის გულში, როგორი წრფელი, ინტიმური და ამავე დროს მთელი მსოფლიო სინანულის მომცველი განცდაა! დედის აღერსიან მელოდიაში გახვეული სათამაშო კურდღელი გასროლას არ დაელოდა, თვითონ შემომახტა და ცრემლის სამკაულივით ჩამოეკიდა ჩემს გულს.

იქნებ ეს ნადირობაც სხვა არაფერია, თუ არა ბავშვობის სიმღერების გარდასახვა სიტყვის პოეტურ ხმოვანებაში? მთელი წიგნი რომ დავწერო საყვარელი მელოდების შესახებ, ეს წიგნი სუფთა ფურცლებად იქცევა თუ მის სტრიქონებს შორის არ გაირბინა სანყალმა კურდღელმა და არ დატოვა

ამტიკვებდა ჩემი ტკივილი, დაეცეპები ტკობობის ნიჭით და გავიფიქრებ ფიქრის შესახებ. თვითონ მე ვარ ის, ვისაც დავეძებ სიტყვების ნაკრძალში. მთელი სამყაროც რომ მოვიარო, საკუთარ თავს ვერ გავცდები. ჩემს სასრულ არსებაში დავანებული უსასრულობა, სათამაშოების სიმღერებით რომ გადადის ერთი სიცოცხლიდან მეორეში, მსოფლიო სევდის მხიარული ნათელი ანათებს გულს და ბოლო არ უჩანს ამ ნადირობას, გრძელდება და გრძელდება, წრეზე ტრიალებს თუ სპირალით ადის ფარდობითობის თეორიის კოსმოსში. ეს ყველაფერი მე ვარ.

უფალო, შემინყალე! უფალო, შემინყალე! უფალო, შემინყალე!



მკაჭვარი იპარო ნიკოლაძე

თავისი კვალი – მსოფლიო სევდის და თამაშის სიხარულის გამოხატველი განცდა. თვალწინ მიდგას ფრაგმენტი დედის მოგონებების წიგნიდან – როცა სულ პატარა გოგო ფანჯრის რაფასთან იჯდა და საათობით შესცქეროდა თეთრად აყვავებულ თუთის ხეს, შემდგომში ულამაზეს რომანსად ქცეული ლექსის შთაგონების წყაროს. ეს თუთაც ის ტკბილი ნაყოფია, რომლის გამოც ღირდა შემოსვლა სიტყვების ნაკრძალში.

სათამაშოების სიმღერებით ივსება სანადირო ჩანთა. ოდესღაც მესმოდა და დღესაც ჩამესმის ნაცარა ჩიტის დილა მშვიდობის გალობა. ნარსულის ლანდებისა და ხსოვნის აჩრდილების ტყე ჩემს გარშემო ცეკვავს, ტრიალებს. მე კი, რაც ბავშვობაში ვიყავი, სიბერეშიც იგივე ვარ. ბევრჯერ მიხეტიალია ხსოვნის შუქ-ჩრდილში, მაგრამ ახლა მერმისისკენ მიმინვეს გული. დროთა ფერიცვალებაში გაშლილი ტყე წარსულთან ერთად მომავალსაც სწვდება.

უნდა შეველიო უკან მოხედვას, ნოსტალგიას, ვიარო წინ და წინ, ნაკრძალის ტყე-პარკის ახალი ჰორიზონტისკენ, გადავიარო ყოველდღიური ერთფეროვნება და გადავნიო დრო-ჟამის ფარდა. გავიდე ჩემთვის განწყობილ სცენაზე. ძველი ფურცლების ნაფლეთებში ვიპოვო ახალი პიესის ფრაგმენტები, ამოვიკითხო მერმისის ნათელით გასხივოსნებული სიტყვები, ვიმოდრო, ვიარო სულ წინ, არყოფნასაც გადავბიჯო და გადავიხედო სცენის მიღმა, თუ რა ხდება კულისებში, რას მიმზადებს სტრიქონებს შორის ჩაქსოვილი ბედის დრამატურგია.

სათქმელი უნდა გაჩნდეს, სხვაგვარად არ შეიძლება. ეს ძალისხმევა, ეს სწრაფვა, სულის ეს მოძრაობა სიტყვის ახალი სიცოცხლის გარიჟრაჟია. ის, რასაც დღეს არ აქვს სახელი, ხვალ შეიძლება სრულიად გარკვეული სახით გამოემეტადოს, როგორც ბედისწერის ნაკრძალში უსასრულოდ გაგრძელებული არსებობის სიმბოლო, როგორც სახითა ქმნადობის დაუშრეტელი წყარო.

მივალ, მივდივარ შეუცნობელი მერმისისაკენ, ველოდები იმ გამონათებას, რომლის იქითაც წასვლა აღარ შეიძლება, ჩემი ყოფიერების ბოლო სადგურია, უფსკრულს რომ გადასცქერის. თუ შიში და ძრწოლა გადავლახე, იმ უფსკრულშიც შეიძლება ჩავიხედო, ჩავიდე, ჩავძვრე, ვიდრე არ აღმოვაჩენ, რომ ქვესკნელში კი არ ჩავდივარ, ავდივარ მაღლა და მაღლა უზენაეს მწვერვალზე, ნათლით მოცულ ზესკნელში.

დანახვისი! ჰქვია ამ მწვერვალს, მაგრამ რა უნდა დავინახო? რა უნდა გამოჩნდეს? არც არაფერი. დავინახავ მხოლოდ დანახვას, შევიგრძნობ მხოლოდ შეგრძნებას,

1 დანახვისი - შუა ქართლის სოფელი მთის კალთაზე, მდინარე თემის ხეობაში.

დამნაშავე ვარ იმაში, რაც ხდება და მოხდება ამქვეყნად. ყველაფერზე ვაგებ პასუხს. სხვანაირად ვერ მივალ შთაგონების წყაროსთან, ვერ გავშლი ფანჯრიდან ფრთებს, ვერ დავბრუნდები ბავშვობის სამოთხეში, ვერ ავაშენებ ოცნების კოშკს და ვერ ჩამოვსრიალდები საკუთარი ფიქრის გორაკზე.

გამაჩერეთ, თორემ შეიძლება დაუსრულებლივ ვწერო და ვწერო, რადგან წერტლის ვერ დავეუსვამ იმას, რაც მიზანში ამოვიდე და რასაც აქ ვეხები. ჩემი გულის ჩანთა საესეა ნანადირევით, ველარც იტყვს ამოდენა განცდას და მოჭარბებული ექსპრესია უერთდება მუსიკასავით მიმდინარე დროს.

გამაჩერეთ, თორემ ველარ ვწერდები, რას არ მივედ-მოვედები, იქნებ გადავციდი მოთხრობის თუ ლიტერატურული ესეს ფარგლებს? ცენზორი მივასიკვიდე და აღარავინაა ჩემი გამკითხავი, ვინც ლაგამს ამომდებს და დასახული მიზნისკენ გამაჭენებს.

„არავინა ხართ? მიშველეთ!“ არსაიდან ხმა. ნაკრძალში მარტო ვარ. არც შეიძლება, სხვა მონადირე იყოს. ეს ჩემი ნაკრძალია, ჩემი ტყეა, ჩემი ფერდობი და ჩემი თოვლია. ძალა, რომელიც მამოდრავებს, არსად არ არის. არსად ყოფნაშია მისი უზენაესი ძალმოსილება. განა შეიძლება ეს იაგორას ველი, ეს ყვავილივით თოვლზე ამოსული სოფელი, ეს ფორუზისფერი გუმბათი, ზეციური სამშობლოს ნავსაყუდელი, სხვისი იყოს? გამაჩერეთ, თორემ ბოლო გაჩერებასაც გავცდები და ამ ქვეყნად ვერავინ და ველარაფერი გამაჩერებს.

– ნადირობა დამთავრებულია, შეჩერდი! – მომესმა ხმა.

ტოტების ფარდა გაიხსნა და ჩემ წინ ცენზორი გაჩნდა.

– ისევე გაცოცხლდი?

– მე ვერავინ მომკლავს, – მიპასუხა, – ყოველთვის ვიყავი და მუდამ ვიქნები, თუნდაც იმიტომ, რომ შენი ნანადირევიდან გემრიელი კერძები მოვამზადო.

ნაძვანარის წიაღში ხალხით სავსე, ათასნაირი კერძებით დატვირთული სუფრა გამოჩნდა.

– ყველაფერი აქ არის, რაც მოინადირე, – მითხრა, – კარგად გამოვზიგე, გავრეცხე, სტილისტურად დავხვეწე, სუნელეებით შევკმაზე, საუცხოო გემოვნებით შევამზადე... ისეთი გემრიელია, თითებს ჩაატან! ყველა დაევატიჟე, ვისაც ხელეწიფება გემო გაუსინჯოს შენს ნადავლს.

– ეგ ჩემი ნადავლი აღარ არის! – შემოვტრიალდი.

– საით? – გადამეღობა – იქით გზა აღარ არის. დაიღუპები.

– ნადირობა გრძელდება... ზურგი შევაქციე და მზით გასხივოსნებულ ნაკრძალში ახალი ჰორიზონტისკენ უგზო-უკვლოდ წავედი.

„მერცხალი რომ კიდევ მოჰკლა, მაინც მოვა გაზაფხული“

გვანცა ფიფია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტია. კინომცოდნეობის პროგრამით სწავლობს. პროზასა და დრამატურგიაშიც სცდის ძალებს. მისმა რადიოჟიჟამ უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

დღეს ის პირველად წარსდგება „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა წინაშე. გვანცა ფიფია



სასტუმრო „საქართველო“ თბილისის შუაგულში, მელიქიშვილის ქუჩაზე აღმართული უშველებელი შენობაა, რომელმაც სახელის შესაბამისი ფუნქცია შეითავსა აფხაზეთის ომის შემდეგ; სასტიკი ირონიითა და განუსაზღვრელი დროით იქცა თავშესაფრად საკუთარ ქვეყანაში სტუმრებად ქცეული ადამიანებისთვის. წლების შემდეგ დედაქალაქში დაბადებული, თუმც მაინც სოხუმელი, ბავშვები ჟამკარარეულობის მიუხედავად, მართავენ წარმოდგენებს მეოთხე სართულის ყველაზე ფართო დერეფანში და მოხუც მეზობლებს სიამაყით ურიგებდნენ მათემატიკის რვეულებიდან ამოხეული ფრეცლებით დამზადებულ მოსანვევებს. მათზე დატანილი ტექსტი მარტივი და ლაკონიური იყო, მაგალითად: „კონცერტი მანანას ბართან. საღამოს 7 საათი. გთხოვთ არ დაივიანოთ.“

ზემოხსენებული ბარი ფართო დერეფანში თეჯირით გადატვირთული სივრცე იყო, სადაც მეზობელმა მანანამ სამზარეულო და სასადილო მოიწყო, ვინაიდან, სხვების მსგავსად, არც მას ჰყოფნიდა სახლადქცეული სასტუმროს ნომერი ჩვეულებრივი ცხოვრებისთვის. „ბარის“ ერთ-ერთ კედელზე მანანას მუდღემ ერთხელ უზარმაზარი პოსტერი გააკრა პალმებისა და ლურჯზე ლურჯი ზღვის



გამოსახულებით, რის გამოც დერეფანი ორად გაიყო: მარცხნივ სასტუმრო „საქართველოს“ ჩვეული, მწვანე კედლები ნესტიან და მთელ სართულზე გამოფენილი გაზქურების ცეცხლზე შემოდგმული ქვაბებისა და ტაფების ნარევი ოხმივრით იყენებოდა, მარჯვნივ კი, გადასწვდი თუ არა თხელი ნაჭრის ფარდას, სოხუმის სანაპიროზე აღმოჩნდებოდა და ამ ილუზიის ინსცენირებას შეღებული ფანჯრიდან შემომავალი გრილი ნიავი, მანანას საგულდაგულოდ ნარჩევი, მშრალ ხიდზე შექნილი მელქიორის ფინჯნებში მომზადებულ ნალექთან ყავასთან ერთად თითქმის განურჩევლს ხდიდა რეალობისგან. სასტუმროს ბავშვებისთვის „მანანას ბარში“ შესვლა აკრძალული იყო (ვაი, თუ ქურას ან დანებს გაეთამაშონო), მაგრამ მასპინძელი ლმობიერ გამოწკარის უშვებდა ხოლმე იმ საკრალურ დღეებში, როდესაც პატარები წარმოდგენებს მართავენ და „კულისები“ სჭირდებოდათ.

2008 წლის აგვისტოში, როდესაც ომგამოვლილი მეზობლები გულხელდაკრევილნი ისმენდნენ და კითხულობდნენ განმეორებადი ისტორიის მორიგ ტრაგედიას, თან ციციქნა ოთახებში დიდი ძალისხმევით დატყუილი ხატების კუთხესთან სანთელს სანთელზე ანთებდნენ, ლიზიკომ, თაკომ, ნინიმ და გვანცამ გადაწყვიტეს გაუზარებელი, თუმცა რაღაც

შინაგანი განცდით გასაგები მდგომარეობა განემუხტათ და ნაჩქარევად ამოჭრეს დისპროპორციული მართკუთხედები უჯრებიანი რვეულებიდან, ჩვეული ტექსტით შეამკეს, დაარიგეს და „მანანას ბართან“ შეკრებილ მოხუცებს იმპროვიზაციული პროგრამა წარმოუდგინეს. პატრიოტული სულისკვეთების ლექსებმა, თითქოს, უფრო მეტად დაანაოჭეს წარბმეკრული მეზობლები.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, – დალაქავებულო, მწვანე კედლები ირეკლავდნენ მთელ სართულზე ექოდ გადებული, ასინქრონული ნამღერებით გაჟღერებულ ბგერებს.

„რაზედ მოგინყენია?“ – ხმას თან მოაქვს ხის იატაკისა და ძველი სკამების ჭრაჭუნიც.

„ანმყო თუ არა გწყალობს?“ – ტონალობა აურიეს ბავშვებმა.

„მომავალი შენია!“ – აყენენ აჭრაჭუნებულ სკამებზე მოკალათებული მოხუცებიც.

წარმოდგენა მაინც აპლოდისმენტებით დასრულდა. მანანა ბავშვებს იხუტებდა, ცრემლით უსველებდა თხელ კულულებს, თავზე კოცნიდა და გაიძახდა: „ჩემი ცხოვრების მაჭირხოლები!“

„მაჭირხოლი“ მეგრულად მერცხალს ნიშნავს და იმ ავბედით დღეებში მეოთხე სართულზე შეკრებილ სოხუმელებს, განსაკუთრებით სჯეროდათ, რომ ეს პატარები მართლაც გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები იყვნენ, რომლებიც მაშინ სასტიკი სითეთრით ნასერი დასავლეთისა და აწ უკვე ნაცრით დაფარული აღმოსავლეთის მიწებზე ფერად ყლორტებს აყვავილებდნენ ოდესმე.

კონცერტის შემდეგ მანანამ ბავშვები საგანგებოდ შემოიპატიჟა ბარში, მანდარინის მურაბა ცივ წყალში გააზავა, ჰალვა პატარა ნაჭრებად გაანაწილა თევზებზე და სტუმრები ზუსტად პალმებისა და ზღვის პოსტერთან წამოასკუბა. თვითონ დანარჩენ მეზობლებს დაუბრუნდა და მათთან დარდების, სიახლეთის, ნერვიულობის გაზიარებისას ყური მოკრა ჩურჩულს ბარში:

– ნინი, ვითომ სოხუმში ვართ!

– ჰო, აი, ნახე, ახლა ზღვაში შევცურავ!

მანანას ჩაეღიმა, თან თავისთვის ჩაილაპარაკა: „მერცხალი რომ კიდევ მოჰკლა, მაინც მოვა გაზაფხული!“

თინათინ ანასაშვილი

ვერასდროს დაწერ მამასა და სამშობლოზე,
რადგან ორივე ისე მტკივნეულად შენია,
სიტყვებს ხაოიან ბურთებად გაგჩრიათ ყელში.

და მერე, როცა ცას ნაცრისფერი გადაეკრა
და ჯანლით დაიფარა ქვეყანა,
მამაკაცები ისევ ღრეობდნენ,

და მაშინ ნამოვიმართეთ დედაკაცები,
ჩვენი ფერადი სიზმრები სასთუმალთან დავანწყვეთ,
ჭრელი თავშელები ბანზე გამოვკიდეთ

ჩვენმა პაპებმა
და პაპის პაპებმა
და ჩვენი ქალაქების ბჭებთან
დროშებით ფრიალებდა
ჩვენი თმების ოქროსფერი...

და მერე მშვიდად მიგვეძინა
ჩვენი მკერდიდან დადენილი
სისხლისფერი ყაყაჩოების მინდორზე...

მწუხრში იშლება მშვიდი სიზმრების წყება,
ცხადში მზეა და მზის გან დამწვარი ყანა,
თვლების მლაშე ცრემლით დანამულ თავლში,

თვალი შეასწარ ტყისპირს უბელო ცხენებს,
მხოლოდ ჯაგლაგს თუ დაახვერევენ ლაგამს,
სულში აშენე ოცნების ბროლის კოშკი,

ეგ გულწრფელობა ყელზე შეიბი ლოდებად,
ისე გაცურე ავად მგერგვინავი მდინარე,
ამქვეყნად რადგან სხვა სამკაული არ გაქვს,

ახდენილ ნატვრას დაიკვეხნიან სადაც,
შენ სიზმრებისას და ორი დისას იტყვი.

ჰო, ჯავრსაც უნდა შეაჭმევინო თავი,
უხმოდ გაუწვე მარად სევდას და ტკივილს,
რომ შენი თმების მნიფე თავთუხის ალში
შენზე მონდობილს მოაძებნინო ჩრდილი.

სულში ვიბრუნე ცრემლი,
სულ მთლად ტკივილად ვიქეცი,
ვერ შევაშველე ხელი
სხივში ჩატეხილ იმედს.

ალარც მთქმელია სადმე,
ალარც გამგონი მოჩანს,
და ქრისტეშობის დამლევს,
ქალაქს დუმილი მოსავს.

რით დავუყუჩდეთ ვარამს,
ირგვლივ ტკივილი მეფობს,
ღმერთო, უშველე ქალაქს,
რომელსა შინა ვსხემობთ...

ჭირთა თმენისა ვთქვათ, თინათინო,
დიდი დუმილისა,
თორემ ხალხის ხმას და
სოფლის ლაყავს

ვინ აუვა?
სიყვარულისა ვთქვათ, თინათინო,
დანდობისა,
თორემ მოძულეც და მოსისხარიც
საბრალლოა...

გარანდულ ფიცრამდე ერთგულებისა ვთქვათ,
ბობოქარი ზღვის და
ცად აწვდილი მთების,

ბარემ დოლაბიც მობრუნდეს
ჩვენს კარზე,
სიკვდილის სუსხიან-სევდიანი მზერით...
ჭირთა თმენისა ვთქვათ, თინათინო,

დიდი დუმილისა,
სათქმელს ამოხეთქენ სხვებიც.



ნატა მებრელაძე

საილაშრო

შურისძიება გაშორებს სევდას?
დარდის ჯალათად აქ არის გვემა.
გვემა ცრუ ყოფის, ცოდვილის გვემა.
სამართალია? შენსა გულს ელვად,

ქალის თიქრები

რად მინდა თიქრი,
ამბად ხარ ჩემთან
მარადიული ზეცის ამარა.
ჩამოჰკრავს ზარი, ბებერი ზარი

გაიშრიალებს მუხის ჭალარა.
უკიდევანო დაღმართთა შორის
ვიგრძნობ მწველ ჩანგურს მღერად-ამარად.
დაფდაფთა შორის შენ იქეც ლანდად,

ზაქარია ზიჯინაძე

ფარავნის ტბაზე, ნამდვილ მირაჟზე
მესმა ამბავი გათელილ გმირზე.
ტანად ხოვანი, აბჯაროსანი
დარდის ხელმწიფე, გულის მგოსანი.

ეს იქმნა მწუხრი

და იქმნა მწუხრი აჩრდილდა ფარად,
ნადირთა გრგვინვა მესმა სიზმარად,
მებრძოლთა რისხვა დამყვა ციდან და
იქმნა მწუხრი, იქმნა ზღვის დარად.

ვერცხლის ქვა მომიც

ვერცხლის ქვა მომიც
შენ, მე ქვა ლბილი.
ედემს ეტრფოდი ტურფა გზნიული.

ჩინით უბრალო, ავანგარდული,
ხელებს გიმშვენებს ბროლი და ლალი.
გენიაა თუ გულის გრძნეული
დრო მიჰქრის, მიჰქრის
ვით ლაშქრის ალი.

პანოიანის

ჟანა! ვარდით ელავს
ჟანა! ცისკარს მიჰყვება
შამპანურით ითვრება
ნეტავ დრო რად ილევა?
გარმონივით ირხევა,

კილიმანჯაროს მთებს ჩვენც კი დავიპყრობთ.
დასტურად მოგცემ, ნითელ დროშას, არა საომრად.
ნითელი ფერის ალმურს შენ ხომ ნაზად შეიგრძნობ
ჰემინგუეიც კი გავაჟღერე, ხედავ? დასტურად.

ნოემბერი

ნოემ, ბგერა მონაბერა
ნოემ, ბერი ააღლევა
ფიქრის სევდად გააჟღერა
ნოემ ბერა ბგერა ცერად.
ცეცხლის ალად, ბასი სახტად,
ლა მინორი, მაჟორს ფარად.

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს." №10

დიონისური ლგოლის სტრიქონები რაზო ზინაიძის მიერ



„Wo ist sie, die sich dir nicht leicht ergibt, / für Ehrentat nicht hielt, zu gebären für dich?“ სად ვპოვოთ ქალი, რომელიც ადვილად არ დაგნებდებოდა და პატივად არ მიიხრევადა, შენთვის ნაყოფი ეშვა?

გეორგეს თანამედროვე ავსტრიელი პოეტი, ლიტერატორი და ესთეტიკოსი კარლ კრაუზი აქაც მისთვის ნიშანდობლივი დახვეწილი მეტყველების დამცველად გვევლინება. მის მიერ გამოყენებული სემანტიკური ერთეულები ბევრად გვაახლოებენ დედნისეულ იდეასთან (თანამეცხედრე), რაც მამაკაცთან თანაცხოვრებით ჩვილის მოვლინებას გულისხმობს.

„Denn wo ist sie, daß, brach, ihr Schoß / Dir Wirt und Ehemann weigerte dein Pflügen?“ მამ, სად ვპოვოთ ქალი, რომელიც შენ, მის პატრონსა და თანამეცხედრეს, უარს გეტყობდა, მისი ნიაღვი დაგემუშავებინა?

ვალტერ ფროინდი თავის თარგმანში მამაკაცის ფუნქციას აორმაგებს (პატრონი) და ქალისგან სავარაუდოდ უარს წარმოუდგენელს ხდის. კომპონენტები აქაც სტანდარტულია.

Какая смертная не будет рада / Отдать тебе нетронутую новь? რომელ მოკვდავ ქალს არ გაუხარდებოდა, შენთვის დაუშუშავებელი ყამირი მოქლენა?

ცნობილი რუსი პოეტი სამუელ მარშაკი იმავე სემანტიკური ერთეულების ფარგლებში რჩება, ოღონდ მდებარეობს განცდას სიხარულის სახით წარმოადგენს.

Где лоно невозделанное то / Что оттолкнуло б дивный этот плуг? სად ვპოვოთ ის ხელუხლებელი ნიაღვი, რომელიც ხელს შერყავდა ამ საოცარ გუთანს?

ალექსანდრე ფენკელი ფრაზას დამატებითი კომპონენტით ტვირთავს. გამოყენებულია მინის სახნავი მოწყობლობა გუთანის ბელტის მჭრელი რკინის სახნისითა და საკვეთით, რომლებიც ემსახურებიან გუთანის გატანას.

Где женщина, чья девственная нива не признает твоих хозяйских прав? სად ვპოვოთ ქალი, რომლის ხელუხლებელი (მოუშველი) ყანა არ აღიარებდა შენს უფლებას მეპატრონისა?


სერგეი სტეპანოვის თარგმანში ნიაღვი შენაცვლებულია სიტყვით ყანა. ხორბალი როგორც მასაზრობელი საკვები კულტურა ადამიანს ნაყოფის მოლოდინით აღავსებს.

აზრის ევფონიურად გადმოცემის მიუხედავად მაგალითებში ნათლად იკითხება დიონისური აღქმისა და ლტოლვის შეუღლებული ბუნებრიობა, ბუნებრივ გრძობათა მარადიულობა, კაცობრიობის გამარჯვების მიზნით ღმერთისგან მიჩიქებული უფლება ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებისა; განახლების მიზნით სექსისადმი ბუნებრივი ლტოლვის მარადიულობა, რაც ადამიანს თავის საწყისთან აახლოებს. გამოყენებულ ზმნებს ახასიათებთ შესიტყვეების სხვადასხვაგვარი მეტაფორულობა: ინდივიდუალობის განცდა, ახლის დაუფლება, რაც შეიძლება ძალადობრივად იყოს, სიამაყე, თავდავიწყება, ხელუხლებლის ათვისება, დახშული სივრცის გარღვევა და ა. შ.

სულ სხვა განწყობილებას ბადებს კიდევ ერთი ქართული თარგმანი, რომელშიც რეზო თაბუკაშვილი, მისთვის ჩვეული ნატიფი აზროვნებით, აბოლონური აღქმის სივრცეში მოგვაცქევს -

„ყველა ქალისთვის სანატრული მამაკაცი ხარ, / ყველა ქალწული შემოგწირავს თავის მშვენებას“

ამ ფრაზაში თითქოს უცნაურად ფლერს ზმნა „შემოგწირავს“, თუმცა იგი არ გულისხმობს ფილოსოფიურად განზოგადებული საყოველთაო განწირულობის განცდას. მთარგმნელი ამ ზმნას საღვთო სიყვარულის კატეგორიებით განსაზღვრავს. ის გაიგება როგორც სიყვარულის განცემაზე გაუფრთხილებლობა, ღმერთისადმი ჯერ კიდევ კულტის თავყვანისცემაში ჩასახული მსახურება. ეს იმ ფუნქციის გამოხატულებაა, რომელიც კაცობრიობის გამარჯვების მიზნით მიენიჭა მანდილოსანს. ეს არის ბუნებრივი სიყვარული, ინსტიქტური სულიერი ლტოლვა საკეთისა და ნათლისაკენ, რომელიც ქალისა და მამაკაცის შეერთებით, ღვთაებრივი განგებულებით დადგენილი წმინდა ქორწინების თანახმად, ადამიანს მდებარეობის განმარტავს და წრფელი, სულიერი და ამბულბული განცდით მაღალი იდეალებისაკენ უკავფავს გზას.



უდი ალენი „ჩემი აპოლოგია“. ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა უდი ალენს შეუძლია წეროს სიკვდილზე და თან, ილინოს.

რეჟისორმა, მწერალმა, სცენარისტმა და მსახიობმა უდი ალენმა საკუთარი „კარნავალისთვის“ ყველაფერი თავად შექმნა: ენა, სცენა, დეკორაცია, ფულის ნომინალი, დიეტა, ტყუილი, სიმართლე, ჩიტი და ღმერთი.

მეოცე საუკუნის არტისტი, რომელსაც ყველაზე დიდი გამოწვევები ოცდამეორე საუკუნეში დაატყდა თავს, არ დაიბნა, - კიდევ უფრო გაჯიუტდა და კიდევ უფრო მობილიზდა; დასცინა სხვებსაც და საკუთარ თავსაც. მან ყველა მედიუმში მოსინჯა ძალები: პროზაულ-ესეისტური აბზაცებით, თუ ფართო კუთხიანი კამერით, რომლის წინ და უკან ყოველთვის თავდაჯერებული იდგა.

უდი ალენს აინტერესებს ყველა თემა, - სიყვარული, სულმოკლეობა, შიში, გაუცხოება, - ყველაფერი, რაც სასონარკვეთილ, სევდიან, მოწყენილ თუ ჭკუასუსტ თანამედროვე ადამიანებს ანუხებთ.

არტისტის ექსცენტრულობა, რატომღაც, არასოდეს გაიგივებულა სიგჟესთან, - მას სითამამეს უფრო მიანერდნენ. ალბათ, სითამამეა საჭირო (იქნებ, სულაც, სისასტიკე), რომ მზით გაბრწყინებულ, ზღვით დამშვიდებულ, უზრუნველყოფილ ქალაქში, მოულოდნელად, ძმას ძმა; ქალში გულწრფელად შეყვარებულ კაცს კი სწორედ ის, ყველაზე ძვირფასი, მოაკვლევინო.

ეს ფილმების გახსენებისას... ფურცელზე კი უფრო მეტი საშუალებით და ნაკლები ბიუჯეტით თავანკარა მოზარდი-

„კუდიანები“ ანუკი ბურდულის სადებიუტო რომანია, რომლის ცალკე დებიუტიც წიგნის მთავარი პერსონაჟისთვის მაშინ შედგა, როდესაც გზად შემხვედრი კუდიანები შემოიკრიბა, მათი ყველა ემოცია გაიზიარა, დააგროვა და 33 წლის ასაკში გადამწყვიტა ჯადოქარი გამხდარიყო და დაიწყო კიდევ წერა. ეს არის რომანი, რომლის სიუჟეტური ხაზი ფურცლებზე დაბეჭდილი უსწორმასწორო წინადადებებით ვითარდება. სწორედ ეს ქმნის იმ „ხელშეწყობას“, რომელიც სხვაში არავითარ შემთხვევაში არ აგერევათ.

წიგნი მოთხრობილია ამბავი ქალისა, რომელსაც ოჯახის წევრების ტრაგედიამ უბოძა ადამიანებში ის ემოციები მოეძებნა, რომელსაც ძირითადად მალავენ არა გამოჩნულად, არამედ იმიტომ, რომ ამ ემოციების მიმართ გულგრილები არიან, უმნიშვნელოდ მიიჩნიათ ან უბრალოდ ემოციამეჩვენებლებს ავიწყდებთ, რომ მათში კუდიანი ცხოვრობს, კუდიანი, რომელიც უეცრად გასცემს ხოლმე თავს და მეორე დილასვე ავიწყდება თავისი სხეულით ხარბად მოყოლილი ემოცია. წიგნი რამდენიმე მთავარი მოქმედი პირი და ცალკე მოქმედი პირად შეიძლება აღვიქვათ სხეულებიც, თავისი ჩანარებისა და ამბებით, რომლებიც მთხრობელს ცალკე, თავისებურად უყვარს.

ოჯახი - შიზოფრენიით დაავადებული დედა, ძმა და მამა ნაწილია იმ ოჯახური ტრაგედიისა, რომელიც მთხრობელზე დიდ გავლენას ახდენს. განსაკუთრებით კი დედა, რომელსაც პერსონალურად ფსიქიატრულში აკონსულტავენ. პირველი თავი იწყება წინადადებით - „იმ ღამით საღაცე, ვიღაცის სახლში გამეღვიძა“, მეცხრე თავი კი „იმ

აპანბიურისის აპოლოგია

ვით გავრთო; ფაქტობრივად, საკუთარ და სხვის ცხოვრებებს ისე მოექცა, როგორც მოუნდა. ამის მტკიცებულებაა „ჩემი აპოლოგია“, ვუდი ალენის მოთხრობების სრული კრებული, რომელშიც თავმოყრილია 1971-1980 წლებში შექმნილი ორმოცდაექვსი ნაწარმოები.

უდი ალენმა ისეთი რაღაც იცის, რაც არ ვიცით ჩვენ. ის შლის ზღვარს რეალობასა და გამოგონილს შორის და ამ მოქნილი ფორმით, განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის ყველა მისეულ ვერსიას.

ვკითხულობთ, თუ როგორია მწერლის აღწერილი ბრუკლინი და პარიზი; ნეომიანი დღე. ავტორი გვიყვება, თუ რა მოხდებოდა იმპრესიონისტების რომ დანტისტიკო ყოფილიყვნენ... ვინ დანერა ჰამლეტი? როგორ აღმოჩნდება ნიუ-იორკში მადამ ბოვარი? დიონისე რომ ცოცხალი ყოფილიყო, სად ისაღილებდა ხოლმე? როგორია პასტა, - ეს იტალიური ნეორეალიზმის პროდუქტი? სლენგის წარმოშობის ისტორია რას გულისხმობს? კრებულში თავმოყრილი 46 ნაწარმოების მასალაა კრიმინალური ქრონიკაც და ანტიკური საბერძნეთიც.

„1940 წლის გაზაფხულზე, კონიშპტრასეს 127 ნომერში მდებარე ჩემი სადალაქის წინ დიდი „მერსედესი“ გაჩერდა და ჰიტლერმა შემოაბოჯა. მითხრა, ოდნავ შემისწორე და ზემოთ ბევრს ნუ აიღებო“, - წერს ალენი მოთხრობაში „შმიდის მემუარები“ და ჩვენც დაკვირვებით ვკითხულობთ ჰიტლერის თმის გამოშრობის და გაუხეშების ამბავს.

სოკრატეს კანში შეძრომის უდიდეს სურვილში უდი ალენი ისეთი გულწრფელია... ისეთი ადფრთოვანებულია ბრძენთა შორის უბრძენსით, ვინც სიკვდილის პირისპირ აღმოჩენილმა თავისი შეხედულებები მაინც არ უარყო და განირა კიდევ სიცოცხლე თავისი შეხედულებების დასაცავად...

უდი ალენი ბავშვითაა და ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ამიტომ, მოულოდნელად, ოცინა წლებში მიგვიძღვის: გვიყვება ჩიკაგოში პირველად ჩასვლის შესახებ, როცა ერნესტ ჰემინგუეი ახლდა თან. იგონებს, რომ

გერტრუდ სტაინთან ერთად ჰემინგუეის მის დაუსრულებელ რომანზე ემასხრებოდნენ. დანერს: „იმ ზამთარს, მე, ელის ტოკლასმა და პიკასომ სამხრეთ საფრანგეთში ვილა ვიქირავეთ. იმ დროს ერთ რომანზე ვმუშაობდი, რომელსაც, ჩემი აზრით, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ამერიკულ ლიტერატურაზე“.

აქაა ჰაიდლერი ამბები; ამონარიდები რევოლუციონერის დღიურიდან და აფორიზმები. ნარატორი ხან ოცდათვრამეტ კალიბრიანს წმენდს და ხანაც სინდისის ქენჯენა აქვს: „ო, ღმერთო, დანაშაულის შეგრძნება რატომ მანუხებს? მამაჩემი რომ მძულდა, მაგიტომ ხომ არა?... ახლაც მახსოვს, რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაიგო, რომ მწერლობას ვაპირებდი. მხოლოდ ბუსთან თანამშრომლობით თუ შეძლებ, რამე დანეროო, წარმოდგენა არ მაქვს, რას გულისხმობდა. რა საწყალი კაცი იყო“.

გაისხენებს ახალგაზრდა კაცების ცეკვას, რომლებიც ჩახლართულად მოძრაობენ არაპარამიონული მუსიკის თანხლებით და დაეძებენ უზარმაზარ კარაქიან ფუნთუშას, რომელიც ფონად ჩანს?

საიდანაც მოიგონებს მესამეპირას? ორი ინჩისოდნა ჩიტს, რომელსაც ლაპარაკი კი შეუძლია, მაგრამ თავის თავს მესამე პირში მოიხსენიებს, აი, ასე: „განა ეგ პატარა ჩიტი დიდებული ვინმე არ არის?“. ასეთია ამერიკელი არტისტი, - შეკითხვაზე გვიყვარვარ? პასუხად იტყვის:

- კი. ნეტა, არ მიყვარდე. ერთი შეხედვით, ავანტიურისტი მთავარი მოთამაშე ყველა გამოწვევისთვის მზადაა, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ შესაძლოა, გულში რაღაც სხვაზე ხდებოდეს.

არაა ადვილი სიკვდილებით გახდე პოპულარული. არც ის, - სიმართლენარევე მძიმე ბრალდებებს გაუძლო.

რეალურად, საგანგაშო აღგზნების დროს დილინიც რთულია. მაგრამ, უდი ალენი ღიღინებს. მისი დასაცავი სიტყვაც ესაა.

წესთან წესი კვინიკაჰი

მესაპირიებნი კუდიანების თემაზე



დილით ჩემს სახლში გამეღვიძა“ ფრაზით. სხვის სახლში გაღვიძებით მოთხრობელი სხვა კუდიანებს გადაწყდება, თავის სახლში გაღვიძებით კი კუდიან მეზობლებს აღმოაჩენს. სწორედ ამ ადამიანებში ნაპოვნი ნიჭის გაგრძელებით მოთხრობელი ინყებს თავისი ტრაგიკული ცხოვრების ნაწერებში განვითარებას და სრულყოფას.

„კუდიანებმა“, მე, როგორც მკითხველი, კუდიანების მნიშვნელობაზე დამაფიქრა. მითოლოგიური ენციკლოპედიის თანახმად, კუდიანი არის ადამიანი, უმეტესად ქალი, რომელსაც აქვს კუდი, არის ჯადოქარი და გრძნეული არსება და ის ხალხისგან დაფარულია. გვახსოვს ფრანცისკო გოიას კუდიანებიც, ის კუდიანებიც ხომ რქებითა და საშიში სახეებით არიან. ანუკის „კუდიანები“ სრულიად სხვა ხედვას გვთავაზობს. წიგნი კუდიანები მხოლოდ ქალები არ არიან. კუდიანია ხის კაციც, ტყის კაციც, მთხრობელიცა და მთხრობელის გზად შემხვედრი მთავარი პერსონაჟებიც. ეს კუდიანები ზემოთნახსენებ ერთ-ერთ განმარტებასაც მოიცავენ, ისინიც ხალხისგან დაფარულნი არიან, მაგრამ არ არიან გრძნეულები. ადამიანები არიან, რომლებიც ცდილობენ ემოციების გამზიარების მოძებნაში და ამისთვის მთხრობელს ცალკე, თავისებურად უყვარს.

ოჯახი - შიზოფრენიით დაავადებული დედა, ძმა და მამა ნაწილია იმ ოჯახური ტრაგედიისა, რომელიც მთხრობელზე დიდ გავლენას ახდენს. განსაკუთრებით კი დედა, რომელსაც პერსონალურად ფსიქიატრულში აკონსულტავენ. პირველი თავი იწყება წინადადებით - „იმ ღამით საღაცე, ვიღაცის სახლში გამეღვიძა“, მეცხრე თავი კი „იმ

ცალკე ამბავი. პირველად, როდესაც ეს წიგნი წავიკითხე, ვთქვი, სკანდინავიური სულის წიგნია-მეთქი. არა იმიტომ, რომ ერთ-ერთი მთავარი გმირი საქართველოში შეედითიდან, კერძოდ, გოტენბორგთან არის ჩამოსული, არამედ იმიტომ, რომ სკანდინავიური კინოცა და ლიტერატურაც მგონია, რომ ადამიანური სიბნელის განათების წარმატებული მცდელობაა.

მგონია, ავტორის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იმ ეპითეტების გამოყენებაა, რომელიც წიგნში მოთხრობის ყველა ამბავს ხელშეწყობს ხდის იმგვარად, რომ ვიცით ამბის სურნელი, გემო და გემოსგან დატოვებული შეგრძნებაც.

ყველაზე მეტად იმ კუდიანების არსებობა მიყვარს, რომლებიც მოვლენების მიმართ ყველაზე გულგრილები არიან. ამ კუდიანების მეზობლებიც მიყვარს, რომლებმაც მთავარი პერსონაჟს თავისი ოჯახური ტრაგედიის ნაკითხვა და სრულყოფა ასწავლეს. ასე იწყება მთავარი გმირის წერის მიმართ სიყვარული, რომელიც „ყველა ნაკითხულ წიგნს ალტერნატიულ ფინალს უწერდა“.

და აუცილებლად მინდა ვახსენო წიგნის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟი - მამა, რომელმაც ჩემთვის კიდევ ერთი კუდიანის დამახასიათებელი შტრიხი დამანახა - დღევანდელი კუდიანები ჯადოქრობას საკუთარი თავის უეცარი გაცემით სჩადიან. მეტიც, ის ადამიანიც კუდიანი იყო, მთხრობელი ავტობუსში რომ გადააწყდა, უეცრად რომ გარდაიცვალა და მისი კუდიანობა მძლოლის ფრაზამ გასცა - „თვითმკვლელობა არ უნახავთ ამ მობოლქალებსო“.

ანა ფაცაცია

ნონა პოპალია მთავარი მრეწველი



ყრმა სამყარო და პაცობრიობა

იმ ბევრ შიშს შორის, რომელიც ადამიანს და ზოგადად კაცობრიობას აქვს, არის ასეთი შიშიც – ცის, სამყაროს და ზოგადად, კოსმოსის უსასრულობის შიში. შეიძლება ამ შეგრძნებას მედიცინაში ხარ, გავიჭირდება. მთავარია, ცასა და შენს ხედვას არაფერი უშლიდეს ხელს, ცასთან პირისპირ უნდა დარჩე და ამ დროს თუკი ნელ-ნელა ან მაშინვე ზაფრა შეგვიყრობს, ნიშნავს, რომ შენმა ტვინმა შეცდომით წარმოიდგინა, რომ სინამდვილეში ხარ, არა სახურავზე განოლილი, არამედ ამ ცისფერ სივრცეში მარტო დარჩენილი ხარ და ამ სივრცესაც ბოლო არ უჩანს, სრულიად უნაპიროა. შეიძლება ეს ასევე იყოს მარტოდ-მყოფობასთან დაკავშირებულიც, მაგრამ როდესაც უსასრულობა მარტობას ერწყმის, ეს მეტად საშიში ხდება. ამ გრძნობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საგნების აღქმა თრგუნავს, რაც გვაძლევს იმის გააზრების შესაძლებლობას, რომ გარშემო სამყარო გარკვეული საგნებით, ქუჩაში მოსიარულე ადამიანებითა თუ შენობებით არის შემოფარგლული. ეს გარკვეული შემოფარგულობის, სასრულობის ილუზიას გვაძლევს, რაც გვეხმარება იმაში, რომ რეალური უსასრულობის გააზრებისგან არ შევიშალოთ. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოვიდგინოთ პირველყოფილი ადამიანი, ჩვენი საკმაოდ ადრეული წინაპარი, რომელიც ამ უსასრულო სამყაროსთან პირისპირ დგას, ჩვენგან განსხვავებით არც მეცნიერებითაა შეიარაღებული და ყოველი საგანი თუ ობიექტი, რომელიც უნდა იცავდეს მას ამ უსაზღვრობისგან, სრულიად ამოუცნობი და უცხოა მისთვის. როგორც ახალშობილი ბავშვი, რომელიც საგნებს პირველად ხედავს და ყოველი წამი მისთვის გაოცება ან საფრთხის მოლოდინია – ბუნებრივი ინსტინქტი, რომელიც ეუფლებს ადამიანს, მისთვის სრულიად მოუხელთებელი და უცნობი პროცესისა თუ ობიექტის ხილვისას.

თავში ადამიანის შიშებთან ერთად კაცობრიობაც ვახსენე, საქმე ისაა, რომ პირველყოფილი ადამიანის შიშები უკვე არა მხოლოდ ერთ ადამიანში რჩება, არამედ ეს გაუცნობიერებლობა და ზაფრა ბადებს საზოგადო მოსაზრებებს და იდეებს სამყაროსთან დაკავშირებით.

ნონა ქობალიას ნარკვევების კრებული „მთავრის მოზაიკა“ სწორედ ის ნიგინა, რომელიც ჩვენი წინაპრების, ძველი კოლხი ხალხის მითების, რწმენა-წარმოდგენების, ოკულტიზმისა თუ ვარსკვლავთმრიცხველობის შესახებაა მოთხრობილი. სწორედ ცოდნის სიმწირემ, უცხო პირველად ხილვამ და ამ უსასრულო გარემოს წინ პირისპირ სრულიად შიშველმა დგომამ უზიდავს ჯერ კიდევ ყრმა მყოფ კაცობრიობას, გარკვეული ახსნა მოეძებნა მათ გარშემო მიმდინარე პროცესებზე. „ვარსკვლავებით მოჭედული ცა (მურიცხე-ფით მოჭადლი ცა) ყველა დროში ინვედა

მითების ნისლი გახვეული ქველი კოლხეთი

ადამიანის შიშეულ ფიქრებს სამყაროს უსასრულობაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, წარმავლობასა და მარადისობაზე და შთაგონებდა მხსნელის ძიებას სამჭედლოს ჭერქვეშ, რომელსაც ღამეული ცის გუმბათს ამგავსებდა. სად თუ არა იქ, სადაც იჭედება ვარსკვლავი, უნდა ეძებნა ნუგეში ამ არამყარ, ცვალებად სამყაროში, სადაც იბადებიან და კვდებიან ვარსკვლავებიც და მით უფრო, ადამიანები, რომელთა სხეული მყიფეა, სული – პასუხ-გაუცემელი კითხვებით სავსე...“

ამაზე უკეთ ამ პროცესს ალბათ ვერც გამოვხატავდი, თან როდესაც აშკარად იგრძნობა ავტორის პოეტური, მოქნილი ენა, რომელზეც ცალკე ვისაუბრებთ, მანამდე მითებს და მათ შემნახველ ცოდნას მივყვით.

მეგრული ოკულტიზმი და ვარსკვლავთმრიცხველობა

წიგნის დასაწყისში ვეცნობით ნარკვევებს ძველი კოლხების რწმენა წარმოდგენებისა და მათ გარშემო არსებული სამყაროს მათეულ გადააზრებაზე. შეიძლება ბევრისთვის არც იყოს ცნობილი, რომ კოლხეთში განვითარებული იყო ოკულტიზმური და ვარსკვლავთმრიცხველური ცოდნისა და სკოლის საგანისა. აქ ამ ცოდნის კვლავწარმოება ხდებოდა. ის, როგორც ახლა, ყოველთვის სხვადასხვა კულტურის გზაგასაყარზე მდებარეობდა. ერთი მხრივ, ეს იყო დასავლური, ძველი ბერძნული კულტურა და მითოსი და, მეორე მხრივ, აღმოსავლური კულტურა, რომელიც მთავარი ნაწილია ორიენტალიზმისა. გზაგასაყარზე ყოფნა მას მეტად ავსებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ადგილი, სადაც დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს ხვდებოდა და სრულიად ახალს ბადებდა.

ამიტომაცაა, რომ ავტორი ზოგ ნარკვევში დასავლური პულსაგური კულტურის წეს-ჩვეულებებზე გვესაუბრება, ზოგ ნარკვევში კი – აღმოსავლური გავლენის ცოდნაზე. ერთ-ერთი მსგავსი თუთაშებისა და ქადაგების რწმენაა, რომლებიც ღმერთებთან ახლოს მყოფი ადამიანები იყვნენ. ისინი, თორბის სხვადასხვა საშუალებით ტრანსში გადასულნი, ჭერქვდნენ მომავალს, გადადიოდნენ მეოთხე სკნელში (გალენში ორთაში), მიღმეურ სამყაროში, გადიოდნენ სიკვდილის გზას, იმავე კლინიკურ სიკვდილს, და ეს ყველაფერი ეხმარებოდა მათ, რომ მიღმეური საზრისი ხალხისთვის გაენდოთ.

ეს ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნეების წინაა დავროვილი, დაფარულია ბურუსით, ნისლით, ისეთივე ბუნდოვანია მისი გადააზრება, როგორც თავად პირველყოფილი ადამიანის მსოფლმხედველობა.

ნარკვევებში ვეცნობით ჯერ კიდევ ყრმა კაცობრიობის რწმენა-წარმოდგენებს არსებულ გარემოზე. საგულისხმოა, რომ პირველყოფილი ადამიანს უფრო მეტად აქვს კავშირი ბუნებასთან. ეს მის წარმოდგენებშიც იკვეთება. ბუნება და მის გარშემო მიმდინარე პროცესები მისთვის გაიგივებულია მიღმეურ, მეტაფიზიკურ ძალებთან. ასეთია მზე, მთვარე, ქარი, წყალი თუ უზღავეც ჭაობი. ეს უკანასკნელი საკუთარი სახითაც ქმნის ბუნდოვანებას. სწორედ ამ სტიქიებსა და ციურ სხეულებზე იქმნება პირველყოფილი ადამიანის მიერ წარმოსახული მისტერიები. მისტერიები თავის მხრივ წეს-ჩვეულებებსა თუ ტრადიციებზე ახდენენ გავლენას. სწორედ ამიტომაც ავტორი ეთნოგრაფიასაც უთმობს საკმაოდ ადგილს, იმ ჩვეულებების კვლევას, რომელიც სწორედ მითოსური საზრისით არის ნაკარნახევი.

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილის მიუხედავად, ნუ ვიფიქრებთ, რომ მათი მითოლოგიური თუ ოკულტიზმური ხედვები შორს

დგას რეალობისგან. რა თქმა უნდა, ყოველივეს შექმნას თუ წარმოსახვას თავისი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეგვიძლია თუთაშების მოძღვრება მოვიყვანოთ, რომელთა აზრითაც მთვარეზე კრატერები დედამიწიდან გასროლილი ცის ნატეხების გამო გაჩნდნენ. ავტორი ამ საკითხს შემდეგნაირად განაგრძობს:

„1959 წელს, როცა პირველად მოხერხდა მთვარის იმ მხარის დასურათება, რომელიც დედამიწიდან უხილავია, აღმოჩნდა, რომ კრატერები მხოლოდ ჩვენკენ მოქცეულ ნახევარსფეროზეა გაჩენილი, ანუ ახალი თეორია რალაცით თანხვედრა თუთაშების საზრისს, რომ კრატერების დაჩენა მთვარის ზედაპირზე დედამიწიდან ასროლილი ცის ნატეხების დაცემის შედეგად მოხდა“.

მართალია, მათი ხედვა ზუსტი არ არის, მაგრამ ის გადაიკვეთება მეცნიერულ ცოდნასთან.

რაც შეეხება ვარსკვლავთმრიცხველობას, რთულია, ვისაუბროთ მასზე და არ შევეხოთ მეგრული ფოლკლორის გამოჩენულ ლექსს: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი – და დო ჯიმა ჩქიმი“

ეს არის ყველაზე პრიმიტიული და ყველაზე ლამაზი ლექსი, რაც კი შეიძლება დაინეროს და მისი საინტერესო განმარტება შეგვიძლია ავტორისგან გავიგოთ, რომელიც განმარტებისას ორ ხაზს მიჰყვება.

პირველი, ეს არის ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება ეს ლექსი საერთოდ არაა პრიმიტიული-საბავშვო სახეობა და აქ ირეკლება მარტობაში ჩაძირული ადამიანის სევდა. და მეორე არის ის, რომ:

„იქნებ, ხვიჩა მურიცხი ბეთლემის მოტყინარე ვარსკვლავია, რომელიც მაცხოვრის დაბადებამდე საუკუნეებით ადრე იხილა მებრეშა წარმართმა – თუთაშმა თუ მენახირე ბიჭმა, რომლის სული, მრისხანე კერპების ფერხთაქვეშ გართხმული, თუ მათ ძალმოსილებაში დაეჭვებული, ითხოვდა განახლებას, აღორძინებას, უფრო დიდ იმედსა და სინათლეს...“

ყოველ შემთხვევაში, ორივე ხაზი საბოლოოდ ერთმანეთს კვეთს. ესაა მკაცრი კანონების წინაშე დარჩენილი მარტომყოფი ადამიანის ნალველი, რომლის ბოლოშიც ვარსკვლავები ილიმიან, რაც იმედის ნიშანი უნდა იყოს.

ქრისტიანობა, კერპთაყვანისმცემლობა და ოკულტიზმი

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ დაიწყო არაქრისტიანული მრწამსის მკაცრი დევნა. როგორც ერთ-ერთ ნარკვევში ვეცნობით, კოლხეთში მრავალი მზის ტაძარი იყო, რომლებშიც მზისადმი მიძღვნილი სხვადასხვა რიტუალი ტარდებოდა, თუმცა არსებული ტაძრები სრულად განადგურდა ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ.

როგორც ვიცით, ქრისტიანობამდე ქართველურ ტომებში განვითარებული იყო კერპთაყვანისმცემლობაც. აქ შეუძლებელია არ გავახსენდეს არმაზის კერპი, რომელიც მცხეთის შემოსასვლელში, მთაზე იდგა, მის გვერდებში კი იყო ვაცისა და გაიმის კერპებიც. წმინდა ნინოს ცხოვრების მიხედვით, კერპები მისი ლოცვის შედეგად განადგურდნენ, ისინი ღვთის ნებით მოვლენილმა სეტყვამ განადგურა. მეორე მხრივ, არის ისტორიის მეცნიერული გადაანალიზებაც, რომლის მიხედვითაც, კერპები სწორედ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგია და დამკვიდრების შემდეგ განადგურდნენ. საინტერესოა, კერპები რომ არ განადგურებულიყო, როგორი იქნებოდა ახლანდელ მცხეთაში მათი ხილვა, ან ახლანდელ კოლხეთის დაბლობზე მზის ტაძრების მონახულება. აშკარაა, ისინი უფრო მეტს გვეტყობდნენ იმ სამყაროზე, რომელიც ჩვენს ქრისტიანობამდე წინაპრებს უნევედათ ცხოვრება.

თუმცა ნულარ ვიფიქრებთ, რომ ქრისტიანობამდელი ჩვეულებები თუ მრწამსი სრულიად გაქრა ადამიანების ცნობიერიდან და

ზოგადად კულტურიდან. ის მალევე შეერწყა ქრისტიანულ რელიგიას. ნონა ქობალია თავის ნარკვევებში რამდენიმე მსგავს შერწყმავს გვესაუბრება. ერთ-ერთი არის ბარბარობის დღესასწაული.

„ბარბარობა (ბარბალობა) თავის თავში აერთიანებს წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების თავსებად და არათავსებად ნიშნებს, როგორც ეს გვაქვს ბევრი სხვა საეკლესიო და წარმართული დღესასწაულების – დღახუების, დღარ ხვამების, დღა ბედი-ნერების შემთხვევაში, დაწყებული თანაფა – აღდგომიდან. ბარბარობა, როგორც მზის დღესასწაული, დიდი ხნით ადრე აღინიშნებოდა საქართველოში, ვიდრე აქ ქრისტიანობა შემოვიდოდა ან დაიბადებოდა ფინიკიელი ბარბარე. ეს იყო პროტოქართველთა უძველესი საახალწლო დღესასწაული“.

ავტორის თხრობის სტილი

წიგნში ნაკითხულ მისტერიებთან ერთად შეუძლებელია არ აღინიშნოს თავად ავტორის თხრობის სტილი და მისი ენა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში სამეცნიერო ნარკვევებს ვეცნობით, ავტორი არ წერს მკაცრად აკადემიური ენით, როგორც დასასწავლი ალენიმნეთ, მას დროდადრო ერთვის პოეტური ენა, რომელიც ტექსტს მიმზიდველს, კითხვის პროცესს კი მეტად საინტერესოს ხდის.

ნარკვევებში შიგადაშიგ თავად ავტორის პარალელურად ვაწყვებით თანამედროვეობასთან, მის მოსაზრებებს, რომლებიც სწორედ უახლოესი წარსულის ერთ ანმეოს მოვლენებზე რეფლექსირებს. ერთ-ერთი მსგავსი ნააზრევი გვხვდება მაშინ, როდესაც ის ქართან დაკავშირებულ მითებზე გვესაუბრება.

„დაბოლოს, ქარისადმი შეუპოვრობის ნიშანი იყო გამოთქმა: როცა დიდი ქარები ქრიან, ხეების წვეროკინები ეხლებიან ერთმანეთს, მაგრამ მძლავრად ეხლართებიან ერთმანეთს ფეხვებით, რომ ნაქცევის საშუალება არ მისცენ მოძმეს, გაუძლონ და გააძლიერონ ერთმანეთი. ეს გამოთქმა არსებობს აფხაზთა საზრისშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ჩვენ და ვერც აფხაზებმა ბოლომდე ვერ გავაცნობიერეთ ეს“.

ეს გვახსენებს ჩვენს უახლოეს ტრადიციულ წარსულს, გვიბიძგებს მისი გადააზრებისკენ და, ამასთანავე, გვაგრძნობინებს, რომ ავტორი ამ ტექსტებში უბრალო დამკვირვებელი და აღმწერი არაა.

ენა — მითოლოგიური საზრისის მატარებელი

ნონა ქობალია ერთ-ერთ თავის ინტერვიუში, რომელშიც მამის, ალიო ქობალიას, მიერ შედგენილ ქართულ-მეგრული ლექსიკონის გამოცემაზე საუბრობს, ინტერვიუს ბოლოს მეგრული ენის ბუნებას, მის წარმოშობას ეხება და ამბობს, რომ მეგრული ენა მითოსური საზრისის მატარებელია. ეს ამბები არ ინერბოდა ფურცლებზე, ეს ამბები რჩებოდა ზეპირსიტყვიერებაში, გადადიოდა მშობლიდან შვილზე, მაგრამ მისი გადამტანი ენა იყო. სწორედ ენამ დაიცვა და შემოინახა ისინი.

მითებმა და ლეგენდებმა, სახამ ჩვენამდე მოაღწევდნენ, დიდი გზა გაიარეს, მათი პირველყოფილი სახე სუბიექტური ჭეშმარიტება იყო. იმის თქმას ვცდილობ, რომ მათი ჭეშმარიტება ისეთივე რეალური იყო პირველყოფილი ადამიანისთვის, როგორც ამჟამად ჩვენთვის მეცნიერული დებულებებია. თავის მხრივ, ენაც არაა უცვლელი ფენომენი, ის გამუდმებით იცვლება.

ახლა შეგვიძლია დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა სახით მივიღეთ მითოლოგია და ფოლკლორი, რომელიც კოლექტიური ცნობიერების პროდუქტია და როგორი იქნებოდა მისი პირველქმნილი სახე. რა თქმა უნდა, ბევრად განსხვავებული და ბევრად მეტი იმასთან შედარებით, რაც ვიცით მათზე. მრავალი კულტურა სრულიად გაქრა ისტორიიდან, მრავალი ცოდნა დაიკარგა ისტორიის ფურცლებზე, ან დიდმა კულტურებმა ჩაყლაპეს და სახე შეუცვალეს. რასაც ვიგებთ, ეს მხოლოდ წარსულის ადამიანების ყრუ ექოა, რომელიც ენიდან და ზეპირსიტყვიერებიდან ისმის.

ილია ჭანტურია

ოქროს წყაბა

ანტიკური ბერძნული ეპოქის დროს ყირიმის მეზობლად მდებარეობდა ძველი დაკების ქვეყანა, რომელთაც სამკედრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდათ გამოცხადებული რომის იმპერიისათვის დაუმორჩილებლობის გარეგნული სახით. ამ დაკების ტომს ჰქონდა ადრეული მიღებული რიტუალი, როდესაც სახეებით უმანკო, სრულიად ჯანმრთელ ახალგაზრდა ბელადის შთამომავალს მსხვერპლად სწირავდნენ თავიანთ ღვთაებას, რაც თითქოს უზრუნველყოფდა შემდგომში ამ ტომის სიძლიერეს და გამარჯვებას მტერზე. აღნიშნული მსხვერპლშენიერება ბიბლიის ძველ აღქმებში დაგმოხილია და დანყველილი, რადგან „მოლოქის“ მომსახურე მოდგმა გულისხმობს მამების ამ კერპის თავყვანისცემის სამსახურის დასრულების შემდეგ მათი შვილების მსხვერპლად შეწირვას. აი, ასეთი შედეგის მომცემია სხვადასხვა ენის აღრევა, რაც იწვევს სხვადასხვა აღმსარებლობითი შედეგების შეუთავსებლობას.

რის საფუძველზე ჰქონდა მინიჭებული ყირიმის მმართველს ესოდენ მაღალი პოლიტიკური რანგი?

ამ კითხვაზე პასუხს თავად ყირიმის ნახევარკუნძულის ძალზე ღრმა ისტორია გვაძლევს. ანტიკური ეპოქიდან მას ტავრიკას (ბერძ. Ταυρικη) უწოდებდნენ, რაც უძველესი დროიდან აქ დასახლებულ ტომს ტავრებს ეფუძნება. თანამედროვე ფლერადობა დამკვიდრდა XIII საუკუნის შემდეგ ქალაქ ქირიმის სახელწოდებიდან, როდესაც აქაურობას ოქროს ურდო დაეპატრონა. ქალაქის სახელი კი, ალბათ, ნახევარკუნძულზე დასახლებული ტომიდან - ქიმერიელებიდან მომდინარეობს, რაც სრუტის სახელწოდებაშიც – „Qirim“ აისახა.

ქიმერიელები იყვნენ მომთაბარე ირანულენოვანი ნარმოშობის ტომები, რომლებმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში დაიპყრეს წინა აზიის, ამიერკავკასიისა და ყირიმის ნახევარკუნძულის გარკვეული მიწები. მათ აგრეთვე უწოდებდნენ სკვითთა წინა დროის ხალხებსაც. მათზე ცნობები მოიპოვება ძველბერძენ ავტორებთან და ასურული ლურსმული დამწერლობის საარქივო ტექსტებში. ისინი მოიხსენიება დიდი ჰომეროსის „ოდისეაში“. მათ სამყოფელად მოიაზრება ცენტრალურ ანატოლიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ბაბილონის შორის მდებარე მიწები, რაც დაახლოებით კაპადოკიის მიდამოს შეესაბამება. მეცნიერები აგრეთვე თვლიან, რომ ეს სახელწოდება ქალღმერთ ქიმერისიდან მომდინარეობს.

მოგვიანებით, ჩვენს წ-მდე 480 წელს ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულებზე აგებული ქალაქების საფუძველზე შეიქმნა ბოსფორის სახელმწიფო. მისი დედაქალაქი იყო პანტიკაპეი (ამჟამად ქერჩი). აქ არის დაფუძნებული ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა ფანაგორია, გერმონასა (ტამანი) ტამანის ნახევარკუნძულზე, ფეოდოსია, ტირიტაკა, ნიმფეი ქერჩის ნახევარკუნძულზე, გეორგოპია (თანამედროვე ანაპა), ტანაისი — დონის შესართავთან.

ამ სახელმწიფოს დამაარსებლები იყვნენ მილეთიდან გადმოსახლებული არქანაქტიდები, რომლებიც მმართველობდნენ აქ 480-438 წლებში. ეს უკანასკნელნი შეცვალა 438-109 წლებში სპარტოკიდების დინასტიამ. აქ განვითარებული ეკონომიკა მოქმედებდა, რის მეშვეობითაც შემოჰქონდათ ღვინო, ზეთი, ქსოვილები, რკინისა და კერამიკის ნაწარმი. ხსენებულ ქვეყანაში ისეთი მაღალი სამშენებლო კულტურა სუფევდა, რომ გათხრების შედეგად პანტიკაპეის აკროპოლიც კი იქნა აღმოჩენილი. ტაძრებში ნაპოვნი იონური და დორიული ორდერების ნარჩენები.

107 წელს აქ იფეთქა აჯანყებამ სავაკის მეთაურობით. მათ მოკლეს მეფე პერსიდა V და დამარცხდნენ პონტოს მეფე მითრიდატ VI ევპატორის ჯართან. მათ გამუდმებით არბევდნენ გოთთა, გელურთა, ბორანთა და სხვათა ტომები. ჰუნების ტომის დარბევის შედეგად ბოსფორის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წელს აქ რომი დამკვიდრდა, VII საუკუნეში – ხაზარები, ხოლო 1441 წლიდან ყირიმულ სახანოდ იქცა.

აღწერილი ისტორიული თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ქერჩის სრუტესა და ორივე ნახევარკუნძულზე განლაგებულ ამ საზღვაო-სახმელეთო პლაცდარმს.

ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე წარმართული რომის მემკვიდრეობა გამოხატა იმაში, რომ ახალმა ქრისტიანულმა იმპერიამ, განასახიერებდა რა თავის ყოფით ზეციური სამეფოს ანარეკლს მიწაზე, მოავლინა ერთდროულად ორი მმართველი – საერო და საეკლესიო. ამგვარად წარმართული orbis terrarum გარდაიქმნა tota christianitas. ხოლო ვის ეკუთვნოდა ამ ტახტისა და კვერთხის მართვა, სადავო იგებდა დასავლეთი ასეთად მიიჩნევდნენ რომის იმპერატორს და პაპს, ბერძნულ აღმოსავლეთში - ბიზანტიის იმპერატორსა და პატრიარქს.

როდესაც რუსეთის დაქვერივებული დიდი თავადი ივანე III ვასილის ძე (1440-1505) დაქორწინდა ბიზანტიის იმპერატორის მემკვიდრე სოფია, იგივე ზოია პალეოლოგზე (1472 წელი), მან ჩაიტანა რუსეთში ბიზანტიური გერბი ორთავიანი არწივის გამოსახულებით, რომელიც რუსეთის სახელმწიფო გერბი გახდა, რაც ზემოთაღნიშნული ორი ხელისუფლების შერწყმულ „სიმფონიას“ ნიშნავდა. იგი 326 წელს მიიღო კონსტანტინე დიდმა, ხოლო სოფია პალეოლოგს ერგო როგორც მზითველი და ამიტომ სრულიად კანონიერად მიიღო ახალ რუსულ სამშობლოში სახელმწიფო მნიშვნელობა.

ბიზანტიური იმპერიისათვის ამგვარი აგებული სახელმწიფო სიმბოლიკა ლოგიკურია, რადგან მათი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი ბოსფორის სრუტის ორივე აზიურ და ევროპულ ნაპირებზე თავისი მდებარეობით აერთიანებდა ამ ორ კონტინენტს, რითაც გეოპოლიტიკური გზაშესაყარის ფუნქციას იქნებდა.

მაგრამ ორთავიანი არწივით დამშვენებული სიმბოლიკა არ იწყება ბიზანტიის სახელმწიფოდან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ამდაგვარ არწივს ვხვდებით ინდოეთში, ხოლო კიდევ უფრო ადრე, II ათასწლეულში — ხეთების მესოპოტამიაში.

XX საუკუნის 20-30-იან ბობოქარ წლებში ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა მრავალ ღირსშესანიშნავ კულტურულ სანყის ჩაუყარა საფუძველი. მათ შორის გამოირჩეულად უნდა დასახელდეს რუსთაველის თეატრის სარდაფში გახსნილი კაფე „ქიმერიონი“, რომელსაც მანამდე „ანონა“ ერქვა. კაფეს კედლები მოხატეს ისეთმა ცნობილმა მხატვრებმა, როგორებიც იყვნენ ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, სერგეი სუდეიკინი და სიგიზმუნდ ვალიშვილი.

ვეფქრობ, ქართულმა ინტელიგენციამ სახელწოდების შერჩევასა და გიზარა გრიგოლ რობაქიძის მოსაზრება საქართველოს კულტურულ ვექტორთა სიღრმის თაობაზე, რომელიც რამდენიმე წლით ადრე იოსებ გრიშაშვილის მიერ ჟურნალი „ლილიას“ დაარსებას ამგვარი გეოპოლიტიკური ხედვით შეეხებინა: „... დასავლეთი ძვირფასია, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთის ვერ დაესტომობთ. უმჯობესია მათი ქორნილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ“.

ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა ზუსტად ასახავს ყირიმულ ისტორიაში ანტიკური ჰერას რომაული ანალოგის ოუნონას ღვთაებიდან ქიმერიელების დროინდელ საძირკვლებამდე ჩაღრმავებას.

II მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მოკავშირეები იყვნენ. მაგრამ ამ სახმედრო გამოვლინებას ბევრად უფრო ღრმა ცხოვრებისეული ფესვები ჰქონდა. 20-30-იან წლებში ორივე ეს სახელმწიფო განიცდიდა ძალზე მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რომლის დასაძლევადც მათმა ლიდერებმა – ფრანკლინ დელანო რუზველტმა და იოსებ სტალინმა (ამერიკელებმა სხვადასხვა შტატებში განსხვავებული კანონების გეოპოლიტიკური დრეკადობით, საბჭოელებმა კი ტალონების შემოღებით) ფაქტობრივად თამაშარე მდგომარეობაში ჩააყენეს ფული, რომლის ქმედითუნარიანობა ზომავს მეტად გაჯერებულ იყო მანკიერი სანყისებობა და ამიტომ ვეღარ ეხმარებოდა სალი ცხოვრების სასურველ მზარდ რიტმს. საბჭოთა ბელადმა მიიხმო დიდი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე და (შეზღუდულ პირობებში) ათარგმნინა „ვეფხისტყაოსანი“. გამოთქვამ მოსაზრებას, რომ „რუზველტისა“ და „რუსთაველის“ გვარების უღერადობის თითქმის იდენტურობა დაფიქრების ღირსია.

ასევე მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა ლიდერთან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს, რომე-

ლიც ქალიშვილთან ერთად ეწვია მას. მაგრამ პიტლერიზმთან გამკლავების შემდეგ ფაშისტის საპრონონდ აღმოცენებული მუშათა და გლეხთა ძლევამოსილება აღარავის აძლევდა ხელს. ხატოვნად რომ გამოთქვათ, რომელ კრასუსს, პომპეუსს ან ლუკულუსს დაეხატება გულზე, რომ ერთ მაგიდაზე ისხდნენ სპარტაკთან და ზოგ საკითხებში მის გადაწყვეტ სიტყვასაც კი იზიარებდნენ. თუმცა წიგნების მიხედვით, ცეზარი მასთან მოლაპარაკებებს ანარმოებდა, რაც ფილმში ასახული არ არის.

1945 წლის თებერვალში გამართა ყირიმის კონფერენცია, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის რეკვიემი უკვე აშკარა იყო. ამავე წლის ივლისში პოტსდამის კონფერენციის მეორე ნაწილზე ჩერჩილი აღარ ჩავიდა, რადგან მისმა პარტიამ არჩევნები წააგო (ან წაიგო).


1946 წლის 5 მარტის ჩერჩილის ფულტონის შეკრებაზე გამოხატა ითვლება ცივი ომის დასაწყისად საბჭოეთის წინააღმდეგ, თუმცა მისი საფუძვლები უკვე ყირიმში იყო ჩაყრილი: შემდგომში ამერიკული დაზვერვის დამაარსებელი ალენ დალესი უშუალოდ იყო ჩართული მხარეების მოლაპარაკებებში და რომლის ცნობილი დოქტრინა დღესაც, პოსტსაბჭოურ ეპოქაშიც ქმედითუნარიანობით ტოლს არ უდებს არავის.

1951 წელს ჩერჩილი ისევ აირჩიეს პრემიერ-მინისტრად.

1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ სტალინი, რომლის ადგილი დაიკავა ნიკიტა ხრუშჩოვმა. მან 1954 წლის 19 თებერვალს ყირიმში უკრაინას მიუერთა, რასაც არავითარი ისტორიული საფუძველი არ გააჩნდა.

ასე განიცადა დიმიტრი ყიფიანის „ყირიმულმა ჯვარცმამ“ რეინკარნაცია ბრიტანეთის კუნძულზე, ხოლო ლიტვანატურის დარგში 1953 წლის ნობელიანტმა უინსტონ ჩერჩილმა 1955 წელს პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ კიდევ 10 წელი იცოცხლა და თავის რანჩოში მხატვრობით სულდგმულობდა.

ქართულ-რუსული ურთიერთობის თემის დასასრულებლად გაიხსენებ XX საუკუნის ბოლოს მომხდარ ერთ „კონგენიალურ“ ეპიზოდს. 1983 წელს მოსკოვში და თბილისში ფართოდ აღინიშნა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის 200 წლისთავი. საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი (ლავრენტი ბერისა მძახალი ქორწინებაგარეშე შვილის მხრიდან). მან ორ სამეფო სახლს შორის დადებული ხელშეკრულების იუბილეს აღსანიშნავად ლენინის ორდენით დააჯილდოვა საბჭოთა საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, რომლის „ნაღვანის ნამდვილი სულისჩამდგმელი და სპონსორი“ ქართული ღვინის შაქრით გამაზებული აგროსამრეწველო კომპლექსი იყო, რის „გაქალებულ ვარიანტსაც“ ამჯამადაც ვიძკით.



ჩვეულებრივ სტატიის ძირითად ნაწილს წინ უძღვის შესავალი, რომლითაც ავტორი მკითხველისათვის თემის დედაზრამდე მისადგომ ბილიკს სახავს. მოცემულ შემთხვევაში მე მომიწია ნაწილის 6/7 მიმედვნა იმ კულტურულ-ისტორიული გარემოებებისათვის, რომელთა მნიშვნელობამ და სიღრმემ განაპირობა მოცემული პროექტის შექმნა.

წინამდებარე ნაშრომში გეომეტრიულად არის წარმოდგენილი ქართული ასომთავრული და მხედრული ანბანების ჰერმეტიკული მნიშვნელობათა შენაკრებების ურთიერთმიმართება სამ განზომილებიან სივრცეში. არის ასევე ნაჩვენები ოქროს კვეთის მეშვეობით მიღებული მოცულობის გეომეტრიული სახე და მისი შეფარდება ქართული ანბანის ჰერმეტიკული მნიშვნელობასთან.

ავაგობთ პირამიდა ABCDP, რომლის მოცულობა იქნება 59995 ერთეული. ამისათვის დავშალეთ ეს რიცხვი უბრალო ნამრავლებად: 59995=5X13X13X71. კვადრატთან მიახლო-

ვებული ქვედა სიბრტყის ზომის მისაღებად გავამრავლოთ პირველი ორი მაჩვენებელი (AB=71; BC=5X13=65) – მივიღეთ პირამიდის ფუძე S=71X65=4615.

პირამიდის მოცულობა ითვლება ფორმულით V=. ამიტომ სასურველი შედეგის მისაღებად სიმაღლე MP-თვის დარჩენილ 13-ს ვამრავლებთ სამზე, შედეგად ვიღებთ =59995.

მხედრულ და ასომთავრულ ანბანთა ჰერმეტიკული მნიშვნელობათა შენაკრებების ურთიერთმიმართება შემდეგია: 42927 : 59995 = 0,7155096258.

ძირითადი პირამიდის ABCDP ამგვარი მოცულობის მქონე ნაწილის მისაღებად გავავლოთ ჰორიზონტალური სიბრტყე IJKL სიმაღლით OP. მიღებული პირამიდის ზომებია: IJ=46,6961283729, JK=42.7499766792, OP=25,6499860076. IJ X JK X OP : 3 = 17068, ანუ იმ ასოთა ჰერმეტიკული მნიშვნელობების ჯამი, რომლებიც ამოღებულია მხედრულ ანბანში: Q(8)+O(60)+P(7000)+H(10000)=17068.

ასომთავრული ანბანის ჰერმეტიკული ჯამის ოქროს კვეთის მოცულობის მქონე ნაწილის მაჩვენებელია 59995 X 0,61803398874 = 37078,9491544, რომლის მცირე ნაწილის მოცულობა უდრის 59995-37078,9491544=22916,0508456.

ძირითადი პირამიდის ABCDP ამგვარი მოცულობის მქონე ნაწილის მისაღებად გავავლოთ ჰორიზონტალური სიბრტყე EFJH სიმაღლით NP. მიღებული პირამიდის ზომებია: EF=51.5149467482, FG=47,1615709666, NP=28,2969425798. EF X FG X NP : 3 = 22916,0508456; 22916,0508456 : 59995 = 0,38196601126.

გამოვავლოთ მიღებულ ოქროს კვეთის მოცულობის მქონე ნაწილს ანბანთა ურთიერთმიმართების მაჩვენებელი: 22916,0508456 - 17068 = 5848,0508456.

აქვს თუ არა ამ ყოველივეს გამოვლინება ლინგვისტურად?

პროექტის დასაწყისში ნაჩვენებია ქართულ მხედრულ და ასომთავრულ ანბანთა ჰერმეტიკულ შენაკრებთა ურთიერთმიმართება 42927 : 59995 = 0,7155096258. ავიღოთ ამ რიცხვის პირველი ოთხი ციფრი მიმის შემდეგ და გავამრავლოთ H(10000)-ზე: 0,7155 X 10000 = 7155. ნავიკითხოთ მიღებული რიცხვი ქართული ანბანის მეშვეობით: P(7000) რ(100) ნ(50) ე(5). მესამე და მეოთხე ასოების შენაცვლებით ვკითხულობთ ხ რ ე ნ, რაც რუსულად პირშეშას ნიშნავს – მრავალწლოვანი ბოსტნეული მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა; აქვს ცხარე გემოს ფესვი, რომელსაც ნაყავენ და საქმლის შესაკაზმად ან უბრალოდ სანებლად ხმარობენ, როგორც ჩვენში ტყემალს, აჯიკას ან პომიდორის ნაზავს. სლენგზე მას ცუდის ან უვარგისის მნიშვნელობითაც ხმარობენ - „ხრენოვი“.

დავითვალოთ ამ სიტყვის ქართული შესაბამისი პირშეშას ჰერმეტიკული მნიშვნელობა: პ(80)+ი(10)+რ(100)+შ(900)+უ(400)+შ(900)+ხ(600 0)+ა(1)=8391.

გამოვავლოთ მირებულ ქართულ რიცხვულ მაჩვენებელს რუსული:

8391 - 7155 = 1236. გავყოთ მიღებული რიცხვი ორზე: 1236 : 2 = 618.

სახეზე გვაქვს ოქროს კვეთის მაჩვენებლის დიდი ნაწილი: 0,618 + 0,382 = 1.

ნავიკითხოთ ჰერმეტიკულად ოქროს კვეთის რიცხვს ან-ჰოიურ კრიპტოგრაფიულ სისტემაში შესაბამისი მნიშვნელობა: ჭ-ყ, ყ-ლ, მ-ღ, უ-ძ: ვ(6)+ლ(30)+ლ(700)+ძ(3000)=3736.

ნავიკითხოთ ჰერმეტიკულად სიტყვა ხოტბა: ხ(6000)+ო(70)+ტ(300)+ბ(2)+ა(1)=6373. როგორც ვხედავთ არაბული წარმოშობის სიტყვას (ხუტბა - ქება-დიდება, მეფის მოსახსენიებელი პარასკევის ლოცვა მეჩეთში), სადაც მარჯვნიდან მარცხნივ წერენ ზუსტად ეს რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

პოემა „ვეფხისტყაოსანში“ იგი მესამე ტაეპში მოიხსენიება:

ვის შევინს, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შომშერისა,

– მეფისა მზის თამარისა, ღანვე-ბალახს, თმა-გიშერისა, –

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შე, რისა,


მისთა მჭერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მი, შერისა.

არქიტექტორი
მერაბ აბესაძე

▶▶ დასასრული იქნება

სიფიზის კლა

„და ამ პატარა მინის ნაგლეჯზე შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი“
ოთარ ჭილაძე



„ოთარ ჭილაძის ნაწარმოების კითხვის დროს, თითქოს შემოქმედების იდუმალ აქტს ვესწრებით - ჩვენივე თანამონაწილეობით ხდება არსებული სინამდვილის სიტყვად გარდაქმნა და მერე სიტყვიდან ახალი სინამდვილის მოვლინება. (...) მის მიერ შექმნილი სამყარო მშველელის, მხსნელის, გადამრჩენის მოლოდინით არის გამსჭვალული და მისივე უკიდურესობამდე დაჭიმული ძარღვებით დაბმული ამქვეყნიურ სინამდვილეზე.“ - ვკითხულობთ თამაზ ჭილაძის წერილში „კიდევ ერთი ბედნიერი ტანჯული“.

მართლაც, თარ ჭილაძის შემოქმედების მონუმენტური ბუნება, მისი, ასე ვთქვათ, სინტაქსის სიმბურვალე, მკითხველს, ერთი მხრივ, არქაული რიტუალის თანამონილედ აქცევს, მეორე მხრივ კი, შუა საუკუნეების ცინესიმაგრეების მსგავსი სიპირქუშისა და სიდიადის განცდას უჩენს. ამ განცდის სანყისებ (შეგრძნების დონეზე) შეგვიძლია ლირიზმის სიმძაფრის, ყოფიერების ეკლიანი სხივებისა და სამყაროს ტრაგიკული მსოფლაქტის ჰარმონიული სინთეზის სახით მოვიხილოთ.

მე ყველა სიტყვის წარმოქმნა მტანჯავს, თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ და სანამ ქარი მისინჯავს მავას, მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

ჰო, მისი სიტყვა, სიტყვის უხილავი ენერგეტიკული ველი სწორედ ტანჯვისა და ტკივილის პირშია. კატასტროფის შეგრძნების შედეგად წარმოქმნილი ცოცხალი არსებაა. თარ ჭილაძის პროზის ვეებერთელა აბზაცები, ელექტროგადამცემი ხაზების მსგავსად, მეტაფორის მალალი ძაბვითაა დაქსელილი.

„ღრუბელი“ თარ ჭილაძის დიალოგების (სპეციალურად არ ვუნდებ ინტერვიუებს, რადგან სცდება კითხვა-პასუხის კონტე-

ქსტს და განსჯის, უწყვეტი რეფლექსიის, ფიქრთა დინების სასიცოცხლო სივრცედ იქცევა) კრებულია. აქაც, მისი გენიალური რომანებისა თუ პოეზიის მსგავსად, უარსებითაა მწერლის ფოლადივით მჭლერი ხმა, ხმის ინტონაცია, სიბასრე. გახსოვთ, ალბათ, თამაზ ჭილაძის ფრაზა თარის ჩანაწერების წიგნზე დათრული ესედა: აქ, „როგორც ნიჟარაში, მისი ხმა თითქოს ჩარჩენილი, რომელიც აკომპანიმენტად არის ქცეული გულანდობის იშვიათი წუთებისა. მისი ხმა, მართლაც რომ, განსაკუთრებით აღსანიშნავი რამ გახლავთ. როცა საკუთარ ნაწერს კითხულობდა, თითქოს რომელიღაც საიდუმლო ეზოთერიულ რიტუალს ასრულებდა - ხმა თითქოს სხვა, იდუმალ სამყაროში იყო ჩასახული, როგორც პურის მარცვალი - ხნულში...“

„ღრუბელი“ შეწვილი ხმა მკაცრი და დაუნდობელია. დაუნდობელია იმდენად, რამდენადაც თარ ჭილაძე, თანამედროვე სალიტერატურო პროცესის ანალიზთან ერთად, საკმაოდ დიდ დროს უთმობს რუსეთ-საქართველოს პათოლოგიური ურთიერთობის, მონობის მეტასტაზების, ნიჟილიზმის, მედროვეობის, გაუნათლებლობის, აგვისტოს ომის, ემიგრაციის, თავისუფლების მეტად კომპლექსურ და მტკივნეულ საკითხებს.

პირველივე ტექსტში „წინ მარადისობაა!“ ამბობს: „ჯერ კიდევ ბევრ ჩვენთან უჭირს საუკუნოვანი მონობის ტკბილად აქოთებული ლოგინის მიტოვება და დღემდე სჯერა ორი სამშობლოსი და ორი მშობლიური ენის არსებობის შესაძლებლობა. ასე რომ, როგორც არ უნდა გვეტკინოს გული, როგორც არ უნდა გვიჭრდეს ამის აღიარება, მიუხედავად ოფიციალური (ალბათ, უფრო ფიქტიური) განთავისუფლებისა, ჯერ კიდევ მონებად დავრჩით,

თუნდაც გააზრებულ მონებად.“ პრაქტიკულად, „გოდორი“, მისი ყველაზე შემზარავი რომანი-დიაგნოზი, ხომ ამ საუკუნოვანი მონობის შედეგად ტრავმირებული ფსიქიკის დეგრადაციას იკვლევს.

კრებულში წარმოდგენილი მონოლოგები თანდათან ცნობიერების ნაკადებად ტრანსფორმირდება. ფიქრის ოდისეა კი ქმნის იმ იდეურ ბირთვს, რაზეც შენდებოდა თარ ჭილაძის მხატვრული სამყარო.

„ჩვენი მთავარი სისუსტე ჩვენი სიბეცეა, ჩვენი ახლომხედველობა, მიმდინარე პროცესებში გაურკვეველობა და ამის მიზეზიც ისევ და ისევ მშობლიური ლიტერატურის უგულვებელყოფაა. ჩვენ ლიტერატურის ქვეყანა ვართ, გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ გვაღიზიანებს, სიმართლე ასეთია (...) და სრულებითაც არ არის გამორიცხული, სწორედ იქ (ლიტერატურაში) იმალებოდეს ჩვენი უკვდავების საიდუმლო, რაკი სხვა ყველაფერი დაგვაკარგინა ჩვენმა უჭკუობამ და სხვათა სიჭკვიანემ“ - ამ ფრაზით თარ ჭილაძე კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი მუდმივი (ლამის მანკიერ ციკლად ქცეული) ქაოსის, ძალაუფლების სიმლევისა თუ სიძულვილის გამომწვევი მიზეზები. ჰო, „ჩვენი მთავარი სისუსტე ჩვენი სიბეცეა, ჩვენი ახლომხედველობა“, ხედვის ამღვრეული ფოკუსი, მონობის შლამისგან დაჭუჭყიანებული ლინზა, ხოლო აგდებულნი, ნიჟილისტური დამოკიდებულება ლიტერატურისადმი კი წარმოქმნის უნიათობის, სიბრყველის ბინდის, სიჩლუნგის სიჯიუტის შეუქცევად ფაზებს.

მონტესკიეს ფრაზა რომ დავიმონწოთ, ჯერ ცუდი მოქალაქე უნდა იყო, რათა შემდეგ კარგ მონად იქცე. თარ ჭილაძე პათანატონივით იკვლევს მონობის მეტასტაზებს, მის არსს, სანყისს. დღიურში უწერია: „საქართველოს ჭირს პროგრესული დამბლა - ფსიქიკის თანდათანობითი დაქვეითება - ერთგვარი ნერვულ ფსიქიკური დაავადება, რომელსაც სიფილისი იწვევს, ხოლო ვინ შეჰყარა საქართველოს სიფილისი, ალბათ, უთქმელადაც იცით ყველამ.“ მისი ყოველი მონოლოგი, მარადიულ შუქურას მაგონებს, რომლის მჭახე ნათებაც შედეგებული სიბნელის კანს სერავს და ნაპირისკენ (ხსნისკენ) მომავალი გემებისთვის ერთგვარ სულიერ კომპასად იქცევა.

სიფიზზე ოთარ ჭილაძისთვის „გაურკვეველობის ბურუსიდან“ თავის დაღწევის უმნიშვნელოვანესი იარაღია, ფიზიკური გონება გაცილებით უფრო ადეკვატურად აფასებს მოვლენებს, რეაქციაც მძაფრი, მყისიერი და გათვლილია. სიფიზზე განათლებული, წიგნიერი ადამიანი და ცოცხალი სალიტერატურო პროცესი წარმოქმნის. სწორედ ამიტომაც საუბრობს ასე ვრცლად მწერლის ღირსებაზე, ლიტერატურის ფუნქციის მნიშვნელობასა და მკითხველის თუ კრიტიკის როლზე პროცესის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად:

„მწერლის ძირითადი საქმიანობა წერაა. ის თავის სამუშაო მაგიდასა მიჯაჭვული სამუდამოდ, ამირანით და ღმერთმა წუქნას, თავი აიშვას როდისმე. თავაშეხებული ანუ მოვალეობისგან განთავისუფლებული მწერალი, თავაშეხებული ამირანისგან განსხვავებით, უმწეო, უფერული არსებაა - ვერც შურისმაძიებლად გამოდგება, ვერც ახალ-ახალი გმირობების ჩასადენად.“ - სამუშაო მაგიდა მწერლის სანგარია, ის სივრცეა, სადაც პერსონალური კოსმოსი იქმნება. ჭილაძისული ოქსიმორონი „ბედნიერი ტანჯული“ ხომ ერთდროულად წერის, როგორც მტკივნეული აქტის, სულის სიმშვიდის და ნეტარების თანხვედრის (გადაკვეთის) ნერტილია.

შენ ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ, ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო, დაუღველო სამშობლო ჩემო.

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგძებ, როგორც დაეძებს საქმელს მშვიერი, და ამ პატარა მინის ნაგლეჯზე შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი.

„შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი“ - როგორი შემზარავია, თავისი კამერტონული სიზუსტით, სიღრმით, ზუსტი ფინალური აკორდი, ყოველგვარი ეგზალტაციური რისხის გარეშე. ამბობდა კიდევ: „სამშობლოზე უნდა ილაპარაკო მოკლედ და გასაგებად, როგორც მომაკვდავები ლაპარაკობენ“.

„ღრუბელი“ კიდევ ერთი დიდი მიახლოებაა თარ ჭილაძესთან, კლასიკოსთან, ვისი შედეგების სიცოცხლისუნარიანობაც მარადისობის „ბეჭდითაა“ დამონებული.

გუზა მგელაძე

განცხადება

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს კოეზიში.

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით (დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონვენტზე, ასევე შიგთავსზე). ერთი კონვენტით იგზავნება საკონკურსო ლექსები, მეორე კონვენტით - ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (როგორც კონვენტზე, ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟურნალის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებული პრემიები:

- პირველი პრემია - 1500 ლარი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;
- მეორე პრემია - 1000 ლარი - კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;
- მესამე პრემია - 600 ლარი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;
- მეოთხე პრემია - 400 ლარი - თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.
- საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არა უმეტეს ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.
- კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთაველაში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე“ - შოთაობაზე.
- საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე: 0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა N3.
- გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

უეპვლრა: აპოკრიფი-ნიგნი-პიიტოპული

27 ივნისს მწერალთა სახლში ლიტერატურული პრემია „მუზა 2023“-ის საუკეთესო პიესის ნომინაციაში გამარჯვებულმა, მწერალთა სახლმა და გამომცემლობა „სეზან ფაბლიკონგმა“ წამოიწიეს ლიტერატურული პრემია „მუზა 2023“-ის გამარჯვებულ იმ ავტორებთან შეხვედრების ციკლი, რომელთა ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით წიგნად გამოიცა. კობა ცხაკაია წიგნში შესული სხვადასხვა ჟანრის 10 მოთხრობა გამსჭვალულია იუმორით, ტრაგიზმით და ასევე საჭირობოროტო სოციალურ-ფსიქოლოგიური თემატიკით. ჟანრთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხრობები განკუთვნილია 12-იდან ზევით ასაკის მკითხველისათვის, რადგან იქ ასახული პრობლემები, საკითხები და თემატიკა მნიშვნელოვნად პასუხობს მკითხველის ამ დიდი ასაკობრივი პლასტის გრძნობებს, ინტერესებსა და შეხედულებებს. 5 პიესა ასევე სხვადასხვა ჟანრისა და დრამატიზმით, ტრაგიკომიზმით და სიუჟეტების დინამიკური განვითარებით, დღევანდელი პრობლემების მაქსიმალური, ღრმა გააზრებაა, ანალიზია და ყოფის რეალისტური ასახვაა, მხოლოდ თავისებური ორიგინალური, ზოგჯერ ფანტასმაგორიული შტრიხებითა და გადანწყვით; დასკვნით ნაწილში კი ცხოვრების „ბარიერების“ გადალახვის მისაღები გზების მინიშნებებით.

მანონ კაცაძე

როცა სხვათა შინა

გაბაასება „საიდუმლო ბრილიანტისა“ და სხვა მრავალი წიგნის ავტორის, 20 წლის წინ გარდაცვლილი ჩემი ძმის, 26 მაისს დაბადებული შოთა კაცაძის სულთან.

ირიჟრაჟა, მძლავრმა სიომ ცას ღრუბლები მიმოფანტა, ჩიტუნების ნაზ გალობას ბუღბუღლთ სტვენაც მიემატა, ჭიკჭიკებენ, ფლურტულენ, გააცოცხლეს არე მარდად, ფერხულს გუნდად ჩაბმულებმა ცის კამარა შეჰკრეს სხარტად.

მზის სხივების უხვი ფრქვევით, ტოროლების ცაში ფრენით არემარეს შეძახილი ეფინება მძლავრი ხმებით - 26 მაისია, სამშობლოს ნანატრი დღეა, დღეს ახალი გაზაფხული, სულ სხვაგვარი აისია.

კელაპტარი აკიფდა, ნელა იწვის, მოუთმენლად ველოდები სულის ხლებას, მოულოდნელ გაოცებას ველარ ვუძლებ, სული არა, თვით შოთა რომ მოდის ჩემთან.

თვალთა ჩვეულ შორსმჭვრეტელი ელვარებით, ჩუმი ღიმით, მრავლისმეტყველ მღელვარებით მესალმება, მეფერება, თვალის ცრემლით ენამება, ეჰ, რამდენი დრო გავიდა... 20 წელი... მენანება...

გახსოვს? წიგნში „საიდუმლო ბრილიანტი“ რუსეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა - ივერი ქართველიშვილი სამშობლოს რომ არ აკადრა იქიდან ჩამოტანილი განძი ტბაში როგორ მოისროლა - ამ ქმედების დიდი არსი...

ზარმა დაჰკრა და სულს განშორების ჟამი ამცნო, სიომ ნაზად დაუბერა და ბურუსი სახეს აქრობს, მოიცადე, არ ნახვიდე, სხვა წიგნებს არ შევხებივართ. - ახლა ვერა, დრო აღარ მაქვს, - ხმა მომესმის შორეთიდან.

ჩუმი სევდით და განცდებით, ფიქრთა მორევი ჩაძირული, დინჯად ვტოვებ უფლის სახლს და ქუჩისაკენ ვეშურები, ხალხის უწყვეტ ძალას ვუცქერ ხუთჯვრიანი დროში ხელში, მოღელავენ ყმანვილები, მეც მათ ნაკადს ვუერთდები.

მომავლის დიდ იმედით, სიამაყით მიძგერს გული, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლას ახლა უფრო სწვდება სული. შიმნის ჟღერის ახალ ჰანგებს, ახალ შემართებას ვუსმენ, თავისუფლების დიდებას და დიდებულ მამულს ვუძღვრ.



ჰანდეკი - უჩუარი გენიოსი

„არავინ არაფერს მეკითხება ჩემს წიგნებზე, მხოლოდ ის აინტერესებთ, როგორ მიიღო სამყარომ ეს ამბავი... არა, ამ სისულელეს არ ვუპასუხებ... სასწრაფოდ მოშორდით აქაურობას! - წაეჩხუბა პეტერ ჰანდეკი ჟურნალისტს, რომელიც მასთან იმ კრიტიკის შესახებ დალაპარაკებას ცდილობდა, ნობელის პრემიის ლაურეატობის გამო რომ დაატყდა თავს.“

საერთოდ, პეტერ ჰანდეკი დიდი მოთინებთა და თავაზიანობით არ გამოირჩევა. მემბოხე და ჯიუტი კაცია, უხეშობამდე პირდაპირი, ცოტა ბავშვურიც და თან ძალიან უცნაური. ოღონდ, თუ მხოლოდ მის წიგნებს ნაიკითხავთ, ხოლო მის ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებს არ გაეცნობით, ამ სიჯიუტისა და უტაქტობის შესახებ ვერასდროს შეიტყობთ.

„მისი შემოქმედება პერიფერიას ენობრივი გენიალურობითა და ადამიანური გამოცდილების სპეციფიკურობით იკვლევს“. - ასე დასაბუთა ნობელის აკადემიამ პეტერ ჰანდეკის ლიტერატურის დარგში პრემიის მიწიჭების გადაწყვეტილება, რომელიც ბერლინის მიუღებელი აღმოჩნდა იმ პოზიციის გამო, მწერალს იუგოსლავიის ომების დროს რომ ჰქონდა.

უნდა ითქვას - თანამედროვე ევროპულ კლასიკოსთაგან ჰანდეკს სახელსა და ბიოგრაფიას, ალბათ, ყველაზე მეტი სკანდალი და განხილვა უკავშირდება. თუმცა, რასაც ვერასდროს ვერავინ დააყენებს ეჭვქვეშ, ეს მისი მწერლური ოსტატობაა. არ იქნება ზედმეტი, თუ ვიტყვით, რომ მას - როგორც დიდ ავანგარდისტ მწერალს - ყველაფერი შეუძლია. დიას, მას შეუძლია აბსოლუტურად ყველაფერი აქციოს ამბად. ის მოგვიყვება ლიმონის კურკაზე, „დიდი დაცემის“ მთავარ გმირს რომ ძირს დაუვარდა. მერე, კი როცა აღებას ცდილობდა, თითბეშორის გაუსხლტა და საწოლის ქვეშ შევარდა, თან ისე შორს, რომ ცოცხტი ვერ მისწვდებოდა. ვერც საწოლს გამოსწვდა - ეს უკანასკნელი კედელზე იყო მიმაგრებული. ჰოდა, განოლიდა საწოლთან ეს კაცი მუცელზე, ფანრიტ ხელში, და უყურებს სიბნელეში მზინავ ლიმონის კურკას, რომელსაც ვერაფრით მისწვდება. მერე რა, რითა ეს ამბავი განსაკუთრებული? შეიძლება არაფრით, მაგრამ, როგორც კი ნაიკითხავ, ისეთი მოუსვენრობა აგიტანს, მთელი დღე რომ გაგყვება და მოგვიანებითაც, სულ სხვა რამეზე ფიქრისას, უტებ შეიძლება დაგიდგეს თვალწინ ეს სურათი, მტკივნეულად და ცხადად...

„მხოლოდ წერისას ვმთლიანდები... სხვა დროს კი დანაწევრებული ვარ, ფრაგმენტული... თუ იმ დროს არ ჩავთვლით, როცა ვმუშაობ, მთლიანი არასდროს ვარ“. - ამბობს პეტერ ჰანდეკი ერთ-ერთ ინტერვიუში. წერა რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმიანობაა, ამაში მისი 57-წლიანი ბიბლიოგრაფიაც დაგვემონწმება - უამრავი ვრცელი მოთხრობა, პიესა, თარგმანი თუ სცენარი.

პეტერ ჰანდეკი 1942 წელს ავსტრიაში დაიბადა, მაშინდელი იუგოსლავიის საზღვარ-თან ახლოს. დედა სლოვენი იყო (ამან, როგორც ჩანს, მისი იუგოსლავიისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს), მამა კი ცოლიანი, ავსტრიაში დროებით მივლინებული გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც დედამისი მიატოვა. ქალი ფეხმძიმედ იყო პეტერზე, როცა ადოლფ ჰანდეკი დაქორწინდა. მომავალმა მწერალმა 18 წლის ასაკში შეიტყო, რომ ის კაცი, ვის გვარსაც ატარებდა და ვინც სასტიკად ექცეოდა მასაც, დედამისსაც და მის და-ძმასაც, მისი ბიოლოგიური მამა არ იყო.

ტრავმირებული, შიშითა და მოუსვენრობით სავსე ბავშვობის კვალს კარგად ჩანს მის შემოქმედებაშიც. თუმცა, ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია მისთვის, კარგი მოსწავლე ყოფილიყო და საუკეთესო ზოგადი განათლება მიეღო.

1965 წელს, როგორც კი იგრძნო, რომ მხოლოდ ის უნდოდა, სიცოცხლის ბოლომდე ეწერა, დამამთავრებელ კურსზე, სახელმწიფო გამოცდის წინ მიატოვა გრაციის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. არადა, წარჩინებული სტუდენტი იყო. 1966 წელს კი ჯერაც სრულიად ახალბედა ავტორმა უკვე სახელმწიფო მწერლები სასტიკად გააკრიტიკა და მათ შემოქმედებას „აღწერის იმპოტენციის“ დიაგნოზი დაუსვა.

თუმცა, მისი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო სკანდალური ამბავი მაინც 90-იან წლებში იუგოსლავიის ომებში სერბებისთვის მხარდაჭერაა, შემდეგ კი, 2006 წელს სლობოდან მილოშევიჩის დაკრძალვაზე ჩასვლა და იქ წარმოქმნილი სიტყვა. მას არასდროს მოუხდია ბოდიში ამ ფაქტის გამო, თუმცა, სხვადასხვა ინტერვიუში ამბობს, რომ ყოველთვის დამარცხებულების მხარესაა და დაკრძალვაზე ჩასვლაც მისთვის იუგოსლავიისთან საბოლოო გამომშვიდობება უფრო იყო, ვიდრე მილოშევიჩისადმი გამოსატყობი პატივისცემა.

და, მიუხედავად ამისა, 2019 წელს ჰანდეკს ნობელის პრემია მიანიჭეს. თუკი კითხვას დავსვამთ ასე: იმსახურებს თუ არა ჰანდეკს შემოქმედება უმაღლეს ჯილდოს, პასუხი ცალსახა იქნება - რა თქმა უნდა, იმსახურებს.

საბედნიეროდ, პეტერ ჰანდეკს ყველაზე უფრო გამოირჩეული, საეტაპო ნაწარმოებების ნაკითხვა ქართულადაც შეგვიძლია. 2020-2022 წლებში გამომცემლობა „ინტელექტმა“ მისი ხუთი წიგნი გამოსცა. და რადგანაც ამ წიგნებზე არაჩვეულებრივმა მთარგმნელებმა: მაია ფანჯიკიძემ, მზია გალდავაძემ და რუსუდანი ბრეგვაძემ იმუშავეს, ქართველ მკითხველს ნამდვილად აქვს შესაძლებლობა, პეტერ ჰანდეკი მთელი თავისი დიდებულიებით გაიცნოს და შეიყვაროს.

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით დასაფასებელია მთარგმნელთა ნიჭი, შრომა და ამ შრომის წარმატებული შედეგი, რადგანაც პეტერ ჰანდეკი, თავისი ენობრივი ექსპერიმენტებითა და თხრობის მანერით, განსაკუთრებით რთულად სათარგმნელი ავტორებს განეკუთვნება.


პეტერ ჰანდეკი ერთ-ერთი ინტერვიუში წერს, რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმიანობაა, ამაში მისი 57-წლიანი ბიბლიოგრაფიაც დაგვემონწმება - უამრავი ვრცელი მოთხრობა, პიესა, თარგმანი თუ სცენარი.

პეტერ ჰანდეკი 1942 წელს ავსტრიაში დაიბადა, მაშინდელი იუგოსლავიის საზღვარ-თან ახლოს. დედა სლოვენი იყო (ამან, როგორც ჩანს, მისი იუგოსლავიისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს), მამა კი ცოლიანი, ავსტრიაში დროებით მივლინებული გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც დედამისი მიატოვა. ქალი ფეხმძიმედ იყო პეტერზე, როცა ადოლფ ჰანდეკი დაქორწინდა. მომავალმა მწერალმა 18 წლის ასაკში შეიტყო, რომ ის კაცი, ვის გვარსაც ატარებდა და ვინც სასტიკად ექცეოდა მასაც, დედამისსაც და მის და-ძმასაც, მისი ბიოლოგიური მამა არ იყო.

ტრავმირებული, შიშითა და მოუსვენრობით სავსე ბავშვობის კვალს კარგად ჩანს მის შემოქმედებაშიც. თუმცა, ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია მისთვის, კარგი მოსწავლე ყოფილიყო და საუკეთესო ზოგადი განათლება მიეღო.

1965 წელს, როგორც კი იგრძნო, რომ მხოლოდ ის უნდოდა, სიცოცხლის ბოლომდე ეწერა, დამამთავრებელ კურსზე, სახელმწიფო გამოცდის წინ მიატოვა გრაციის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. არადა, წარჩინებული სტუდენტი იყო. 1966 წელს კი ჯერაც სრულიად ახალბედა ავტორმა უკვე სახელმწიფო მწერლები სასტიკად გააკრიტიკა და მათ შემოქმედებას „აღწერის იმპოტენციის“ დიაგნოზი დაუსვა.

პეტერ ჰანდეკი



მეკარის შიში
თავიანთი
მალჩინში

ეს ის წიგნია, რომელმაც პეტერ ჰანდეკს პირველი



1971 წლის 19 ნოემბერს ჰანდეკს დედამ, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა მძიმე დეპრესიით, თავი მოიკლა. მწერალმა კი ეს ტრაგიკული



1971 წელს დაიწერა მზია გალდავაძის მიერ ქართულად 2021 წელს ნათარგმნი



2008 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში ჰანდეკი ამბობს,



ჰანდეკს ქართულ თარგმანთაგან უკანასკნელი, დიდი დაცემა 2022 წელს გამოიცა (მთარგმნელი - მზია გალდავაძე).
ამ წიგნის კითხვისას ჰანდეკს თავყანისმცემლური კიდევ ერთხელ იგრძნო-

1. მეკარის შიში თარიღებითა და მთავარი თემატიკის მიხედვით (1970)

დიდი აღიარება მოუტანა. მაია ფანჯიკიძის მიერ შესრულებული თარგმანი კი 2020 წელს გამოიცა.

ამბავს წიგნის მთავარ გმირზე - ყოფილ მეკარეზე, რომელიც საზარელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ერთ-ერთ საზღვრისპირა სოფელს აფარებს თავს - ყოვლისმცოდნე მთხრობელი გვიამბობს. ის თითქოს ვიდუოკამერით შეიარაღებულია და მთავარი გმირის სულიერ კრიზისს აკვირდება. სწორედ

2. უსურვილო უბედურება (1971)

ამბავი დედაზე რამდენიმე კვირაში დაწერილი წიგნით - „უსურვილო უბედურებით“ - გამოიგოვა. ვრცელ მოთხრობას ასე იმ გერმანული გამოთქმის (wunschloses Glück) საპირისპიროდ დაარქვა, რომელიც აბსოლუტურ, ყველაფერს იტანჯებოდა მძიმე ნიერებას გულისხმობს. ეს წიგნი რუსუდან ბრეგვაძის ქართული თარგმანით 2021 წელს გამოიცა.

თხრობა პროვინციულ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობით იწყება 51 წლის დიასახლისის შესახებ, რომელმაც თავი მოიკლა. ზოგა-

3. მოკლე წერილი, ხანგრძლივი დამშვიდობება (1971)

მორიგი წიგნიც - „მოკლე წერილი, ხანგრძლივი დამშვიდობება“.

ეს წიგნი პირველ პირშია დაწერილი და მწერლის ავტობიოგრაფიულად შეიცავს გარკვეულ მომენტებს, ამიტომ, კითხვისას უფრო მეტად იგრძნობა მთავარი გმირისა და თავად ავტორის სიახლოვე.

პირველ ნაწილში, რომელსაც მოკლე წერილი ჰქვია, ავსტრიიდან ოჯახურ პრობლემებს გამოქცეულ

4. მორავული ღამე (2008)

რომ, როგორც იქნა, დაწერა წიგნი, რომლის ნაკითხვაც შეუძლია ურჩიოს ნაცნობებს, როცა ჰკითხავენ ხოლმე, შენი წიგნებიდან რომელი წაგიკითხოთო. ამ წიგნის სათაურია „მორავული ღამე“ და ის ქართულად 2021 წელს გამოიცა მაია ფანჯიკიძის თარგმანით.

წიგნის თემა ბალკანეთია, კრიტიკოსები მიუთითებენ ამ თხზულების კავშირს 90-იან

5. დიდი დაცემა (2011)

ბენ დიდი მწერლის უნარს - მკითხველი საკუთარ გმირში ისე ჩაასახლოს, რომ ფიზიკურად აგრძნობინოს ტექსტში გადმოცემული მოვლენები, მთლიანად მოიცვას მისი გონება აღწერილი დეტალებითა და თხრობით გამოწვეული შთაბეჭდილებებით.

წიგნში მთავარი გმირის, მსახიობი კაცის, ერთი დღეა აღწერილი დიდიდან - როცა გარეუბანში, საყვარელი ქალის სახლში მარტო მყოფი, ქეჩა-ქუხილისას იღვიძებს - გვიან საღამომდე - როცა მიაღწევს მეგაპოლისის ცენტრამდე, სადაც მასთან საზეიმო შეხვედრაა დანიშნული - უნდა დააჯილდოვონ. კაცი დიდიდან ემზადება და ტყის, პარკისა და ავტო-

აქ ჩანს ჰანდეკს მწერლური ოსტატობა - ის პერსონაჟის გარე სამყაროსთან გაუცხოებას, ტყილსა და დანაწევრებას მისი ვერბალური გამოხატვის კრიზისის აღწერით, აღსანიშნავა და აღმნიშვნელ შორის ერთიანობის დამოკიდებულებას წარმოგვიჩვენს. თითქოს არაფერი ხდება, თუმცა, მკითხველს საფრთხის შეგრძნება და შიში არ ტოვებს. სულ ბოლოს კი დაისმის შეკითხვა - რატომაა ძნელი, თერთმეტმეტრიანის დანიშნისას

დად, ჰანდეკს არ ახსიათებს საკუთარ წიგნებში ავტობიოგრაფიული ფაქტების რეალისტური სიზუსტით გადმოტანა, თუმცა, „უსურვილო უბედურებაში“ სწორედ ამას აკეთებს - შეფასებისა და ინტერპრეტაციების გარეშე, ფაქტობრივი სიზუსტით გვიყვება საკუთარი დედის ამბავს მისი ბავშვობიდან თვითმკვლელობამდე. გვიყვება მეორემსოფლიომ გამომავლილ ევროპაში, სიღარიბეში, უამრავი ყოცნობით იწყება 51 წლის დიასახლისის შესახებ, რომელმაც თავი მოიკლა. ზოგა-

დად, ჰანდეკს არ ახსიათებს საკუთარ წიგნებში ავტობიოგრაფიული ფაქტების რეალისტური სიზუსტით გადმოტანა, თუმცა, „უსურვილო უბედურებაში“ სწორედ ამას აკეთებს - შეფასებისა და ინტერპრეტაციების გარეშე, ფაქტობრივი სიზუსტით გვიყვება საკუთარი დედის ამბავს მისი ბავშვობიდან თვითმკვლელობამდე. გვიყვება მეორემსოფლიომ გამომავლილ ევროპაში, სიღარიბეში, უამრავი ყოცნობით იწყება 51 წლის დიასახლისის შესახებ, რომელმაც თავი მოიკლა. ზოგა-

ბურთსა და თავდასხმებს კი არა, მეკარეს ვუყუროთ? რატომ ვამჩნევთ მას მხოლოდ მაშინ, როცა ბურთი უკვე კარისკენ მიექანება?

ნაწარმოები გერმანულენოვანი სკოლების სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. 1972 წელს კი რუჟისორმა ვიმ ვენდერსმა ამ წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღო. სცენარისტი თავად პეტერ ჰანდეკი იყო, რომელიც ვენდერსთან ერთად სხვა ფილმებზეც მუშაობდა

მცხოვრები ქალის ისტორიას, რომელსაც არ მიეცა საშუალება საკუთარი თავი ეთოვა.

მიუხედავად იმისა, რომ დედაზე წერს, ჰანდეკი ამ ტექსტშიც მწერალია და არა შვილი, აღმწერია და არა შემფასებელი. მისი, როგორც მწერლის მომხიბვლელობა და განსაკუთრებული ბუნობაც ხომ სწორედ ესაა - ის უბრალოდ აღწერს, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ მკითხველს სხვა გზა არ აქვს: საკუთარი ცნობიერების ბნელ კუნჭულში უნდა ჩაიხედოს და იქ მიმალული შიშებისა და შფოთვის პირისპირ დადგეს.

მათ შორის მშვიდობიანი, ხანგრძლივი დამშვიდობება კი წიგნის მეორე ნაწილში, მხოლოდ ხელახალი შეხვედრის შემდეგ ხდება შესაძლებელი.

გარდა იმისა, რომ ერთდროულად გადმოგვცემს მთავარი გმირის საკუთარი თავიდან გაქცევისა და მასში ჩაღრმავების სურვილს, წიგნს განსაკუთრებულ მომხიბვლეობას ანიჭებს რთული, ჩახლართული ცოლქმრული თანაცხოვრების აღწერა.

დიდი ხანია ცხოვრობს - მას შემდეგ, რაც წერას თავი დაანება. შეკრებილ მეგობრებს ის ამ უკანასკნელთათვის სრულიად მოულოდნელად, ქალთან ერთად დახვდება, შემდეგ კი მათ ევროპაში თავისი მოგზაურობის შესახებ უამბობს. ეს მოგზაურობა საკუთარი იდენტობის ძიება უფროა და უამრავ ამბავს იტევს, ჰანდეკის სული ემოციური სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით გადმოცემულს.

დასასრულისთვის მინდა მისი 2012 წლის ერთ-ერთი ინტერვიუდან გავაცნოთ ფრაგმენტი, რომელიც, ვფიქრობ, უზუსტად ახსიათებს მას, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ავტორს:

„ - რა უნდა ეწეროს თქვენი საფლავის ქვაზე? - ჩემი ეპიტაფიაა: „უკან ვარ“.

- ნესით, „ქვევით ვარ“ არ უნდა იყოს?

- არა. აი, როგორც მაშინ, როცა ვილაძას შეუვლი, ვინც [სახლის უკან] ბაღში მუშაობს და კარზე აბრა დაუტოვებია წარწერით - „უკან ვარ“. თქვენ მატერიალისტები ხართ, მე კი მეოცნებე. მეოცნებეები უკან არიან, მატერიალისტები კი ქვევით“.

გვანცა შუბითია

მუსიკით გასოსხლებული წარსული

გასული საუკუნის დასაწყისში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ააშენეს ახალი საკონცერტო დარბაზი,

გამკლავებდა ახალი ათასწლეულის მოთხოვნებს. ამ პროცესში შენობას კიდევ ერთი ახალი დარბაზი დაუმა-



რომელსაც კონცერტჰაუზი უწოდეს. იმთავითვე გადაწყდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო კეთილმოხილი მუსიკის კულტივირების და ახალი შემოქმედებითი გზების ძიების ადგილი; სახლი მუსიკისთვის და სახლი ვენისთვის. ამ მიზნის მისაღწევად კი სამი ხერხი შეარჩიეს; ცოცხალი კავშირი წარსულთან და ტრადიციებთან, გაბედული პროგრამით აუდიტორიის მოზიდვა და სიახლეებისათვის კარის გახსნა.

ტეს (400 მაყურებლისთვის). ამ დარბაზს 2009 წლიდან იტალიელი კომპოზიტორის, ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ლუჩიანო ბერიოს სახელი ეწოდა. სწორედ კონცერტჰაუზის დიდ დარბაზში, სადაც ასე არიან შეხმატკბილებული წარსული, ანმყო და მომავალი, ამა წლის 29 ივნისს გაიმართა კონცერტი, სადაც XX საუკუნის საგუნდო მუსიკის ორი შედეგური შესრულდა.

შენობა ავსტრიელმა არქიტექტორებმა ისე დააპროექტეს, რომ სამი (დიდი 1865 მაყურებლისთვის, მოცარტი 704 მაყურებლისთვის, შუბერტი 366 მაყურებლისთვის) დარბაზი ერთ სართულზე იყო განლაგებული და სამივეში ერთდროულად შეიძლება კონცერტის გამართვა ისე, რომ ხელი არავის ეშლებოდა. კონცერტჰაუზი 1913 წლის ოქტომბერში საზეიმო კონცერტით გაიხსნა, რომელსაც ავსტრიის იმპერატორიც დაესწრო. მაშინ დიდ დარბაზში რიხარდ შტრაუსის მიერ საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის დაწერილი პრელუდია და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია შესრულდა. ეს პერფორმანსი, რომელმაც მსმენელს თანამედროვე ხელოვნებაც წარუდგინა და ძველი შედეგებიც არ დაივიწყა, იქცა ვენის კონცერტჰაუზის შემოქმედებით ხელწერად. ამ ტრადიციას დანესებული და დღემდე არ ღალატობს და კვლავაც სათანადო პატივს მიაგებს წარსულს და იმავდროულად ხარბად ენაფება სიახლეებს.

პირველ განყოფილებაში მოვისმინეთ ფრანგი კომპოზიტორის ფრანსუა პულენკის (1899-1963) „გლორია“. ეს არის 1960 წელს შექმნილი მუსიკალური თხზულება ორკესტრის, სიმფონიისა და გუნდისთვის. ამ ნაწარმოების ტექსტად გამოყენებულია ადრექრისტიანული ჰიმნი Gloria in excelsis Deo (დიდება მაღალთა შინა ღმერთსა II-III სს.). მუსიკა გიჟყობს ცოცხალი ტემპითა თუ ტონალობით, არცერთი წამით არ გაძლევს საშუალებას მოდუნდე ან ფიქრებს მიეცე-როგორც კომპოზიტორი ამბობს, „გლორიას“ შექმნისას მისი შთაგონების წყარო ყოფილა ბენეზო გოცოლის (1420-1497) ფრესკა რიკარდი მედიჩის სასახლიდან (ფლორენცია), სადაც ერთ-ერთ ანგელოზს ენა აქვს გამოყოფილი და ფეხბურთის მოთამაშე ბერები, რომლებიც მას ერთ-ერთ მონასტერში უნახავს. და მართლაც, ეს მუსიკა საოცრად ითავსებს ჰიმნისთვის ჩვეულ პომპეზურობას და ხალისიან სათამაშო, საღალბო განწყობას.

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, როგორც მთელი ევროპისთვის, ვენის კონცერტჰაუზისთვისაც მიიმე იყო. მაგრამ 1945 წლიდან მოყოლებული ამ დარბაზმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავსტრიაში მუსიკალური ცხოვრების გაცოცხლებაში. აქ იმართებოდა თანამედროვე მუსიკისა და ჯაზის ძალიან მნიშვნელოვანი კონცერტები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ვენის კულტურულ ცხოვრებას. აქ მოსულთ ასმენინებდნენ ძველ მუსიკას, ჯაზს და თანამედროვე მუსიკას. რეპერტუარი აქ ყოველთვის გემოვნებით იყო შერჩეული, ხოლო შემსრულებელი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. მეოცე საუკუნის მინორულს (1998-2001) კონცერტჰაუზი საფუძვლიანად განაახლეს, რათა ის უკეთ

მეორე განყოფილებაში მოვისმინეთ გერმანელი კომპოზიტორის კარლ ორფის (1895-1982) კანტატა კარმინა ბურანა (ბურენის სიმღერები). ეს ნაწარმოებიც ორკესტრისთვის, სოლისტი ვოკალისტებისა და გუნდისთვის არის შექმნილი. ამონარიდები და მოტივები ამ თხზულებიდან დღემდე ძალიან ხშირად გამოიყენება ფილმებსა და სატელევიზიო გადაცემებში. კარლ ორფმა ტექსტი თავისი კანტატისთვის XIII საუკუნის ხელნაწერიდან ისესხა. XIX საუკუნეში ბენედიქტაუერნის (გერმანია) მონასტერში აღმოაჩინეს ხელნაწერი, რომელიც მოიცავს XI-XIII საუკუნეებში შექმნილ სიმღერებსა და რამდენიმე რელიგიურ დრამას. ამ თხზულებების ავტორებად მოხეტიალე მეცნიერები და სტუდენტები, გოლიარდები არიან მიჩნეული,

რომლებიც თავიანთ სიმღერებსა და ლექსებში ბოჰემურ ცხოვრებას განდიდებდნენ. ამ კრებულში გვხვდება სასიყვარულო, რელიგიური და პასტორალური ჟანრის სიმღერები ლათინურ და გერმანულ ენებზე. ამ კრებულში სატირასაც შეხვდებით, რომელიც ეკლესიასა და ხელისუფლებას აკრიტიკებს. კრებულში ტექსტის ნაწილს მუსიკალური სიმბოლოებიც ახლავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ლექსები იმთავითვე სიმღერისთვის იყო შექმნილი. კარლ ორფმა ხელნაწერიდან 24 ლექსი აიღო და მათთვის მუსიკა შექმნა. კომპოზიტორი მუსიკის შექმნისას ვერ დაეყრდნობოდა ხელნაწერში არსებულ მუსიკალურ სიმბოლოებს, რომლებიც ჯერ არც იყო შესწავლილი. ასე რომ, 1937 წელს კარლ ორფმა სრულიად ახალი, თავისებური უდერადობა მიანიჭა შუა საუკუნეებში შექმნილ სიმღერებს. კანტატა სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: (1) „ადრე გაზაფხულზე“ (Primo Vere) გვთავაზობს ახალგაზრდულ ენერგიულ საცეკვაო მუსიკას; (2) მეორე ნაწილს შეიძლება „დუქანში“ (In Taverna) ვუწოდოთ და აქ ბახუსისა და თავაშვებული დროსტარების ხმა ისმის; მესამე ნაწილი - „სიყვარულის სამსჯავრო“ (Court d'Amour) სასიყვარულო მელოდიებს ეთმობა. ყველაზე სახელგანთქმული მელოდია კარმინა ბურანადან არის ეგრეთ წოდებული „ოჰ, ბედისწერა“ (O, Fortuna), რომელიც კანტატის პროლოგიც არის და ეპილოგიც. ამბობენ, რომ მისი შექმნის იდეა ორფს მაშინ დაებადა, როცა კარმინა ბურანას ხელნაწერის ყდაზე გამოსახული ბედისწერის ბორბალი ნახაო. აქ გაუღერებული ძლიერი აკორდები, რომლითაც კანტატა იწყება და მთავრდება, ბედისწერის ბორბლის შეუჩერებელ ბრუნვას შეგვახსენებენ. კანტატის სადა ორკესტრირების, დასატყმელი ინსტრუმენტების მიერ შექმნილი რიტმული ფონისა და მელოდიურობის ჰარმონიული შერწყმით, კომპოზიტორი ახერხებს არქაული თუ „მიამიტი“ მუსიკის ეფექტი შექმნას. ალბათ ამიტომაცაა, რომ მოტივები ორფის კარმინა ბურანადან ასე ხშირად ისმის კინოფილმებში, როცა მოქმედება შუა საუკუნეებში, ან რომელიმე მომავალ ეპოქაში ხდება.


ვენის კონცერტჰაუზის სცენაზე კი ეს საოცარი მუსიკა არტისტების დიდმა ჯგუფმა გააცოცხლა. აქ იყვნენ - ავსტრიის საზოგადოებრივი მაუწყებლობის რადიოს სიმფონიური ორკესტრი, სოლისტი ვოკალისტები ალინა ვუნდერლინი, კასპერ სინგი და დანიელ შმუცვარდი, ვენის სინგაკადემიის გუნდი, ვენის გოგონების გუნდი და გუნდი იუვენტუსის გოგონები. არტისტების ამ დიდ კოლექტივს კი უძღვებოდა დირიჟორი თობიას ვოგერერი.

ასეთი იყო საოცარი კონცერტი ვენის კონცერტჰაუზში. ეს წარმოდგენა სამი ათასწლეულის განმავლობაში იქმნებოდა. ჰიმნი Gloria in excelsis Deo (დიდება მაღალთა შინა ღმერთსა) ჩვენი ნელთალრიცხვის პირველ ათასწლეულშია შექმნილი, კარმინა ბურანას ტექსტი და ორივე ზემოხსენებული ნაწარმოების მუსიკალური ნაწილი - მეორე ათასწლეულში; სცენაზე მდგარმა შემსრულებლებმა კი მოახერხეს მესამე ათასწლეულში გაეცოცხლებინათ საუკუნეების წინ შექმნილი ხელოვნება.

თქვა ფარულავა
ვენა, 10 ივლისი, 2024

ლიტერატურული კონკურსი „ილია თანამედროვე პოეზიაში“

„ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი“ აცხადებს კონკურსს „ილია თანამედროვე პოეზიაში“.



კონკურსის ფარგლებში ავტორების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ილია ჭავჭავაძის შესახებ /თემაზე სპეციალურად საკონკურსოდ შექმნილი ან ჯერაც გამოუქვეყნებელი ლექსი.

კონკურსის მიზანი: ილიას ფენომენის/არსისა და იდეის აქტუალიზაცია სალიტერატურო და საჯარო სივრცეში; ილიას შესახებ საჯარო დისკურსის ხელშეწყობა და მედიუმად ლიტერატურის გამოყენება; ილია ჭავჭავაძის პერსონის და მოღვაწეობის გააზრება და გადაზრება თანამედროვე კონტექსტში, ერთიანი ეროვნული და ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე.

ილიას შესახებ ახალი ლიტერატურული/პოეტური ნიმუშების შექმნა და პოპულარიზაცია.

კონკურსის პირობები: მონაწილეობის მსურველებმა უნდა შექმნან/დაწერონ და გამოაგზავნონ ილიას შესახებ, მისი მოღვაწეობის თემაზე, ან ილიას ნაწარმოებების ინსპირაციით ერთი (ან რამდენიმე) ლექსი (ერთ ავტორს უფლება აქვს სურვილის და შექმნის შემთხვევაში გამოაგზავნოს ერთზე მეტი ნამუშევარი);

კონკურსში მონაწილეობისათვის არაა შეზღუდული ლექსის ფორმა. ის შეიძლება იყოს ბოლომდე იყოფილი, კონვენციური, ვერლიბრი, თავისუფალი ლექსი, თეთრი ლექსი და სხვა;

საკონკურსოდ გამოგზავნილი ლექსი სასურველია შექმნილი იყოს სპეციალურად კონკურსისთვის. თუმცა, ასევე მიიღება ილიას შესახებ ადრე დაწერილი ლექსიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ ის არ ყოფილა საჯაროდ გამოქვეყნებული;

ასევე, კონკურსი დასრულებამდე, საკონკურსო ლექსი არ უნდა იყოს დაბეჭდილი ან გამოქვეყნებული ნიგნში, კრებულში, ჟურნალში, გაზეთში, ელ. ჟურნალში, ლიტ.საიტზე, სოც.ქსელში და სხვა.

სანინალმდევოს აღმოჩენის შემთხვევაში ნაწარმოები და ავტორი მოიხსნება კონკურსიდან;

კონკურსის გამარჯვებულ 3 საუკეთესო პოეტურ ნამუშევარს შეარჩევს ლიტერატურისა და კულტურის სფეროს პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული 5-კაციანი ჟიური. ჟიურის წევრების ვინაობა დაჯილდოების ცერემონიაზე გახდება ცნობილი;

დამატებით ერთი გამარჯვებული მონაწილეთა შორის კითხვების სიმპათია გამოვლინდება სოციალური ქსელში მიღებული უმაღლესი შეფასების, დადებითი რეაგირებების (მონონებების) მიხედვით; კონკურსის მიმდინარეობისას ყველა საკონკურსო ლექსი გამოქვეყნდება ორგანიზატორის სოც-ქსელის ოფიციალურ გვერდზე; კონკურსში გამარჯვებული თითოეული ავტორი დაჯილდოვდება ლაურეატის სიგელით და ფულადი პრემიით -1000 ლარი;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია: ნებისმიერ ქართულენოვან ავტორს;

კონკურსის მონაწილე საჯალდებულოა იყოს საქართველოს მოქალაქე;

კონკურსის მონაწილე საჯალდებულოა იყოს სრულწლოვანი;

კონკურსის მონაწილეს აუცილებელია გამოქვეყნებული ჰქონდეს ბეჭდური ან ონლაინ სახით კრებულში, ლიტერატურულ პრესასა თუ ნებისმიერ სხვა სახის პერიოდიკაში, ან ნებისმიერ ლიტერატურულ ონლაინ პლატფორმაზე რამდენიმე ლექსი.

საკონკურსო მასალები მიიღება 2024 წლის 4 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით ელექტრონულად, ელ. ფოსტის მისამართზე: poetry-contest@iliafoundation.com

გამოგზავნისას სათაურის ველში მიუთითეთ „კონკურსი-ილია“. ელექტრონული ვერსიის სახით (Word-ის ან PDF ფაილი) საკონკურსო ნამუშევართან ერთად უნდა გამოაგზავნოთ: ავტორის მოკლე ავტობიოგრაფია (CV), პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფოტოსურათი (1 ცალი), საკონტაქტო ნომერი.

კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით +995 595090982 ან მოგვწერეთ ელ-ფოსტის საშუალებით.

კონკურსის „ილია პოეზიაში“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ქ. თბილისში, 2024 წლის 12 სექტემბერს.

პროექტის ავტორი და ორგანიზატორი: „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი“

ოფიციალური მხარდამჭერი: ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრაველი**
ფინანსური მენეჯერი **ქატიპან დამატრაველი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველო“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

პაპიმი პაპიმი 2 პაპიმი პაპიმი
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
772720854003